

ნანა მჭედლიშვილი

ლევან თედიაშვილი
ფალავანი
და მოქალაქე

Нана Мчедлишвили

ЛЕВАН ТЕДИАШВИЛИ
НА КОВРЕ И
В ЖИЗНИ

თბილისი
1997

ძვირფასო მკითხველო!

წიგნი ეძღვნება თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოში აღიარებული ფალაენის, ორგანის ოლიმპიური თამაშების, ხუთჯინის მსოფლიოს, მრავალჯინის ევროპის და უოფილი საბჭოთა კავშირის ჩამპიონის ლევან თედიაშვილის მიერ განკლებილი სპორტული და სამოქალაქო ცხოვრების გზას. იგი მოიცავს პერიოდს 70-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე და ატეხულია ეურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე.

მკითხველს ვთხოვთ, სწორად შეაფასოს მეუღლის დაუმკვლავლი სურვილი, თავისებურად უკვდავეუო და შეძლებისდაგვარად ხელმისაწვდომი გაეხადა მომავალი თაობებისათვის დიდი ფალაენის და მოქალაქის, საშობლოს ერთგული შვილის სახელი და მიიღოს იგი, როგორც მოკრძალებული მადლობა საოცრად მძიმე, ნერვიულობითა და მოლოდინით აღსავსე, მაგრამ მაინც უსაზღვროდ ლამაზი, თბილი და მრავალმხრივი მთაბეჭდილებებით დატვირთული წლების გამო, რომლებიც ერთმანეთს გვაკავშირებს.

მსურს მადლიერების გრძნობა გამოვხატო ჩვენი ოჯახის მეკავშირების ხელი ნადარეიმვილის და ნათელა ჰატარქალიძვილის მიმართ, ამ წიგნის შექმნის მთელ პერიოდში მუდმივი თანადგომისათვის.

ჰატეისცემით ნანა მხადლიშვილი

„კიდევ ერთი ფალაშანი საგარეჯოდან“

სამ დღეს (30-31 იანვარი 1 თებერვალი) გრძელდებოდა დაძაბული ბრძოლები თავისუფალ ჭიდაობაში თბილისის IX ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონობისათვის.

ამ ფრიად საპატიო შეჯიბრებაში რომელსაც მსოფლიოს მცირე ჩემპიონატს უწოდებენ, გამარჯვებისათვის ერთმანეთს ერკინებოდნენ შვიდი ქვეყნის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ირანის, მონღოლეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, სსრ კავშირის სახელოვანი ათლეტები. რომელთა შორის იყვნენ გამარჯვებული მოჭიდავეები, თავიანთი ქვეყნების მრავალგზის ჩემპიონები, საქვეყნოდ აღიარებული სპორტსმენები.

ამ შეჯიბრებაში სსრ კავშირის პირველი ნაკრების ღირსებას საშუალო წონაში იცავდა საგარეჯოელი სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, სსრ კავშირის გასული წლის მეორე პრიზიორი ლევან თედიაშვილი. ჭიდაობის სპეციალისტები ლევანს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ და მსოფლიო ჩემპიონობის ფავორიტად თვლიან.

იგი აღმზრდელთა და გულშემატყვიართა იმედებს ამართლებს. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა ისეთი დიდი მასშტაბის შეჯიბრებაში გამარჯვება, როგორც თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირია. ლევანმა ყველა შეჯიბრება აღმავლობით ჩაატარა. აშკარად დაჯაბნა ყველა მეტოქე და ფინალში ნოლი საჯარიმო ქულით შევიდა. სადაც შეხვდა თანამემამულე ალ. ილურიძეს. დაამარცხა იგი და გამარჯვებულის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მას ტურნირის დამბულებს აახახმად მიენიჭა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდებაც.

ლ. თედიაშვილს წელს კიდევ ერთი პასუხსაგები სსრ კავშირის ჩემპიონატი აქვს ჩასატარებელი, რომელიც ქ. მახაჩყალაში გაიმართება. ამ შეჯიბრებაში მას გზა ეხსნება მსოფლიო პირველობისაკენ.

გუსურვით წარმატება ახალგაზრდა სპორტსმენს!

ნ. ჭანტურია.

გაზეთი „იურის განთიადი“, 3 თებერვალი, 1970 წ.

„რაინლი მულამ რაინლია“

ლ. თედიაშვილმა (82 კგ.) ფინალური ბრძოლის წინ ფრედ დაამთავრა შეხვედრა ვ. სიულუჩინთან. ფინალში მისი მეტოქე სახელგანთქმული მოჭიდავე ი. შახმურადოვი (რსფმრ) იყო. ჩვენი აზრით, ეს ორთა ბრძოლა საუკეთესო გახლდათ ამ ტურნირში. მეტოქეებმა შეუპოვრად შეუტიეს ერთმანეთს, მაგრამ თანდათან გამოირკვა ჩვენი ფალაჯანის უპირატესობა. თედიაშვილმა მეორე პერიოდში გადაწყვიტა შერკინების ბედი: მან ჯერ პირქვე დაამხო შახმურადოვი, მერე კიდევ ერთი ქულა აართვა, ბოლომდე აქტიური ბრძოლით გამარჯვებას მიაღწია და ოქროს მედალი დაისაკუთრა. ტაში დაიმსახურა დამარცხებულიმაც. შახმურადოვმა გულითადად მიულოცა გამარჯვება ქართველ მეტოქეს.

გაზეთი „ლელო“, 25 ივლისი, 1971 წ.

„თასი - ჩვენს კაპიტანს“

ბოლო დროს ჩვენი ქვეყნის ნაკრების სიას უცვლელად უდგას სათავეში მახაჩკალელი სპორტსმენი იური შახმურადოვი, (81 კ.გ.) ამ მაღალი კლასის სპორტსმენის გამოსვლას ყოველთვის ინტერესით ელოდება მაყურებელი. მისი მეტოქე იყო ძლიერი ათლეტი ლ. თედიაშვილი, მათი შეხვედრა ჭეშმარიტად შეჯიბრების მშვენიერება იყო. ლევანი საგანგებოდ ემზადებოდა ამ გადამწყვეტი შეჯიბრებისათვის, შეხვედრისათვის. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ჯერ კიდევ ორთაბრძოლის დაწყებამდე ა. შახმურადოვი მორალურად იყო გატეხილი, სამი ქულის უპირატესობით გამარჯვება და პირველი ადგილიც მეტოქეს დაუთმო.

უ. ჭიჭინაძე

გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 27 ივლისი 1971 წ.

„უშიშარი, ვითარცა უხორცო“

„უშიშარი ფალავანი“ ასეთი იყო მაყურებელთა საერთო აზრი ქართველი მოჭიდავე ლ. თედიაშვილზე. ტანმადალმა, შავგვრემანმა. ფალავანმა, სპარტაკიადაში საყოველთაო ყურადღება მიიქცია. არის ამ ვაჟკაცში ისეთი რამ, რაც უმაღლესი მშაბათიურად განაწყობს ჭიდაობის მოყვარულთ.

„უშიშარი, ვითარცა უხორცო“ - კონსტანტინე გამსახურდიას ეს სიტყვები იქნებ ყველაზე სრულყოფილად გამოხატავდეს თედიაშვილის ვაჟკაცურ ბუნებას, შემართებას, სულისკვეთებას. ეს იაფფასიანი კომპლიმენტი არ გეგონოთ: ქართველმა რაინდმა საესებით დაიმსახურა ყველაზე მქუხარე ეპითეტებიც კი.

მისი სასპარტაკიადო, ორთაბრძოლებიდან განსაკუთრებით გესურს გამოვეყოთ ერთი; ყველაზე მთავარი, ყველაზე შეუქოვარი, იქნებ ყველაზე საუკეთესო თედიაშვილის სპორტულ ბიოგრაფიაში. ფინალური შეხვედრა ი. შახმურადოვთან - სახელგანთქმულ მახარყალელ ფალავანთან. შახმურადოვს რეკომენდაცია არ სჭირდება მას იცნობს ყველა, ვისაც ოდნავ მაინც უყვარს ჭიდაობა. თავისებურ საჭიდაო ეპოქად წარმოგვიდგება მახარყალელის გაუთავებელი დავა გ. საღარაძესთან სსრ კავშირისა და მსოფლიოს საუკეთესო ფალავანის ტიტულისათვის. დიდი ხანი არ არის, რაც ეს საჭიდაო მარათონი დასრულდა.

და აი, შახმურადოვი მოსკოვში კვლავ შეხვდა ქართული ჭიდაობის „ახალი ტალღის“ წარმომადგენელს. თედიაშვილს საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი საღარაძე - შახმურადოვის გაუგონარი დაძაბულობით აღსავსე შეხვედრები. მან კარგად იცოდა. ვისთან ჰქონდა საქმე სპარტაკიადის ბოლო ეტაპზე.

ამ შეხვედრისათვის ქართველი ფალავანი წლობით ემზადებოდა, ემზადებოდა გულდაგულ, სერიოზულად, დიდი პასუხისმგებლობით. ეს სტოიკური, თუ გნებავთ, ფანატიკური ვარჯიში ჭიდაობის უსაზღვრო სიყვარულით იყო განპირობებული. საჭიდაო ხალიჩა მისთვის ისეთივე ორგანული და ბუნებრივია, როგორც სუნთქვა, სიარული... ამაში ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა თედიაშვილთან შეხვედრამ ბორჯომში, სადაც იგი ივნისის

დამდეგს სპარტაკიადისათვის ემზადებოდა. საჭიდაო დარბაზიდან გამოსული თედიაშვილი ხარბად ისუნთქავდა ბორჯომის კამკამა ჰაერს, რამდენიმე წუთს დინჯი ნაბიჯით დასკირნობდა ჩრდილიან ხეივნებში, რომ მერე ისევ დაბრუნებოდა ხალიჩას. იცვლებოდნენ მისი ოფლად გახვითქული სპარინგ-პარტნიორები, დაძაბულ ვარჯიშში სწრაფად გადიოდა საათები, ლევანი კი შესაშური მონდომებით ემზადებოდა მოსკოვის ორთაბრძოლებისათვის.

თედიაშვილზე ამბობენ, ჭიდაობისთვის არის დაბადებულიო. და რაოდენ სასიამოვნოა, როცა ბუნებით ასე უხვად დაჯილდოებული ფალავანი ასკეც ტყავს იძრობს, რათა ვაჟკაცურად იჭიდაოს და არა იბლლარძუნოს, რასაც სამწუხაროდ, საკმაოდ ხშირად ვხვდებით ხალიჩაზე.

თედიაშვილის აზრით, ნამდვილი მოჭიდავე მეტოქეს ზურგს არ შეაქცევს, აკრძალულ ილეთებს არ იხმარს და სადემონსტრაციო საათისკენ არ დაიწყებს მაღიმაღლ მზერას. ერთი სიტყვით, ჭეშმარიტი მოჭიდავე ხალიჩაზე მარტო ქულებისათვის კი არ გამოდის, არამედ სახელისა და ღირსებისათვის. აი, ასეთ ფალავანს გადაეყარა ფინალში შახმურადოვი. ხალიჩაზე იყო ორი ისეთი ვაჟკაცი, ნებისმიერი მასშტაბის ფალავანთა პაექობას რომ დაამშვენებდა. ორივე მხოლოდ მოგებაზე ფიქრობდა. ამ გამარჯვების მისაღწევად ორივეს მხოლოდ ღირსეული, რაინდული საშუალებები ჰქონდა მომარჯვებული.

მუდამ საინტერესოა, როგორ იქცევიან მოჭიდავეები მატჩის წინ კულისებში. ზოგი მოუთმენლად ცმუჟავს, ზოგიც აგრესიულად ბერავს მკერდს...

თედიაშვილი ლითონის ჯოხს ათამაშებდა: ხან გაღუნავდა, ხანაც გაასწორებდა. თითქოს ლითონის დამჯერე ჯოხთან თამაშში მთელ თავის ძალასა და უნარს უხმობდა.

მეტოქე, რა თქმა უნდა, რკინის ჯოხზე მაგარი შეხვდა. იმის აღწერა, თუ რა ძალა შეაღია თედიაშვილმა ფინალურ შეხვედრაში ორი ქულის მოპოვებას, ძნელია, მაგრამ ერთი რამ კი ნათელი იყო - თედიაშვილმა შეძლო მრისხანე და გამოცდილი მეტოქისთვის თავისი ნება მოეხვია და ჭიდილი სასურველი გზით წარემართა. ეს იყო ორი ძლიერი ხასიათის უშედავათო დავა, სადაც ყველაფერი შემართებას, გამბედაობასა და იერიშს

უნდა გადაეწყვიტა. შახმურადოვი ბრძოლის დასასრულს უფრო მორალურად დაღლილი გამოიყურებოდა, ვიდრე ფიზიკურად. ერთხანს იგი ცდილობდა ხალიჩის შუაგულს არ მოშორებოდა და ვაჟაკურ პაექრობაში სწორედ ამ ადგილზე გადაეწყვიტა შეხვედრის ბედი. მაგრამ გადიოდა წუთები და თედიაშვილს უკან ვერ დაახევინა. ქართველი ათლეტის გამუდმებული იერიშებით დაქანცული, მაშინაც კი, როცა ბრძოლა იწურებოდა და ორ ქულას აგებდა, შახმურადოვი ვეღარ ბედავდა გულდაგულ შეეცნა მეტოქისთვის. და ამას თვით შახმურადოვი ვეღარ ბედავდა!

ა. გოგელია.

სპორტის ოსტატი. (ჩვენი სპეც. კორ.) მოსკოვი - თბილისი.
გაზეთი „ლელო“ 21 აგვისტო, 1971 წ.

„ჩემპიონთა აღმზრდელი“

მიხეილ თიკანაძე:

ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაზე რსფსრ-ს გუნდის წევრი შახმურადოვი ოქროს მედლის მთავარი პრეტენდენტი გახლდათ. გაზეთ „სოვეტსკი სპორტი“ ერთერთმა ჟურნალისტმა ისიც კი დაწერა, ახლა ჩვენს პლანეტაზე არ მოიპოვება მოჭიდავე, შახმურადოვს ხალიჩაზე ბეჭი დაადებინოსო. შახმურადოვის წონაში ჩვენგან ლევან თედიაშვილი გამოდიოდა. ლევანი ძალზე ძლიერი მოჭიდავეა, მაგრამ მისი ფსიქოლოგიური მომზადება მაინც იყო საჭირო. როცა მსაჯებმა თედიაშვილი და შახმურადოვი გამოიძახეს ხალიჩაზე, ლევანის სეკუნდატობა მე ვიკისრე. დავარიგე, ტემპში ეჭიდავეა, მეტოქის იერიშს არ დალოდებოდა, თვითონ შეეცნა. დამიჯერა, ინიციატივა ხელთ იგდო. აქტიურ ჭიდაობას ქულებიც მოჰყვა. საჭირო იყო მოპოვებულის შენარჩუნება. შესვენების დროს შევაქე და ვთხოვე, ჭიდაობა ისევ ტემპში და ღიმილით გაეგრძელებინა. ლევანმაც ვითომ სალალობოდ მიდისო, ისე გახედა მეტოქეს, საკუთარი გამარჯვება იწამა და მკერდი ოქროს მედლით დაიმშვენა.

გაზეთი „სამშობლო“, 27 აგვისტო, 1971 წ.

„მიზანს სსვადასხვა გზით აღწევინ“

სოფია, 31 აგვისტო. თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატში, ისე როგორც ყველა დიდსაერთაშორისო ტურნირში, ფავორიტები მიზნის მისაღწევად სხვადასხვა გზით მიდიან ეს გზა უაღრესად მომქანცველია, ზოგისათვის მუხთალი. არიან ბედით გათამამებულნიც, რომლებიც სხვებზეც უფრო მარჯვედ აღწევენ საწადელს მაგრამ საჭიდაო ოლიმპისაკენ მიმავალი ბილიკები, როგორც წესი, არასდროსაა უეკლო და არხეინად გასაველელი.

ექსჯერ გამოვიდა ხალიჩაზე 23 წლის თბილისელი სტუდენტი ლევან თედიაშვილი. ექსჯერ დატოვა მან სარბიელი მაყურებლების ტაშის გრიალში. ქართველმა ჩემპიონმა 5 ბრძოლა ვადამდე დაამთავრა და ჩემპიონატის თავისებური რეკორდიც დაამყარა: ბოლო შეხვედრაში გერმანელ კ. შტოტმანისტერთან იგი, ფაქტიურად, უკვე ჩემპიონი იყო, მაგრამ მეტი დამაჯერებლობისათვის მეტოქე ამჯერადაც დაამარცხა (ქულებით). შტოტმანისტერი ხელწამოსაკრავი ათლეტი როდია. იგი ევროპის შარშანდელი ჩემპიონია და ლევანის საბრძოლო ნუსხა ამ გამარჯვებამ განსაკუთრებით დაამშვენა.

გაზეთი „ლელო“, 2 სექტემბერი, 1971 წ.

“НАШ СЧАСТЛИВЫЙ ДЕНЬ”

В финале Леван Тедиашвили побеждает за явным преимуществом японца Сасаки, а затем борца из ГДР Штотмаистера - и тбилисец чемпион!

- Вашей победе, безусловно, рады все. Но кто по-вашему, будет особенно счастлив?

- Мое родное село Сагареджо, где я родился и начал заниматься национальной борьбой чидაоба.

- Ваша мечта?

- Свой путь в спорте я начал с крупных побед, постараюсь

получить путевку в Мюнхен.

Газета "Советский спорт", 1 сентября, 1971 год.

“ВЫСОКИЕ ЗВАНИЯ”

Всесоюзный комитет по физкультуре и спорту отметил высокими званиями победителей чемпионата мира по вольной борьбе.

Звания заслуженного мастера спорта удостоены впервые ставшие чемпионами мира Леван Тедиашвили, Загалав Абдулбеков, Юрий Гусев.

Наставнику Л. Тедиашвили, заслуженному мастеру спорта Вахтангу Балавадзе присвоено звания заслуженного тренера СССР.

Газета "Вечерний Тбилиси", 2 сентября 1971 года.

„ჩემპიონები ერთმანეთის უმსახუბ და ჭიღაობაზე“

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ოქროს დიდი მედლის კავალერები შოთა ლომიძე და ლევან თედიაშვილი თბილისში დაბრუნდნენ. ჩვენი კორესპონდენტი დიდხანს ესაუბრა გამარჯვებულებს და ბევრი საინტერესო დეტალიც გაიგო ამ ტურნირის შესახებ. ებეჭდავთ საუბრის შინაარსს.

ჩემპიონატის შედეგებით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი იქნებით. მაგრამ ერთი რამ გვაინტერესებს, გჯეროდათ თუ არა თქვენი გამარჯვებისა, ან როდის ირწმუნეთ პირველად, რომ ჩემპიონები გახდებოდით?

შ. ლომიძე: მიუხედავად იმისა, რომ ბულგარეთში გამგზავრებამდე ბევრი უსიამოვნო წუთი განვიცადე, ერთხელ არ შემპარვია ეჭვი იმაში, რომ უეჭველად ჩემპიონი გავხდებოდი. პირდაპირ გეტყვით, რომ ჩემს რწმენას საფუძველი ჯერ კიდევ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის დღეებში ჩაეყარა. ეს პასუხსაგები ტურნირი მთელი ძალით ჩავატარე და მივხვდი,

რომ მსოფლიოს სტარტებისათვის კარგად ვიყავი მომზადებული.

ლ. თედიაშვილი: შოთა ჩემზე გაცილებით უფრო გამოცდილი სპორტსმენია და მას უფლება ჰქონდა კიდევ ასე ეფიქრა. მე კი გამოვიტყდებით, ბოლო მომენტამდე არც კი მჯეროდა, რომ შინ ჩემპიონის მედლით დავბრუნდებოდი. ეს ალბათ ახალგაზრდობის და გამოუცდელობის ბრალია და დარწმუნებული ვარ ყველა ახალბედა იგივეს გრძნობდა, როცა სანუკვარ მიზანს უახლოვდებოდა.

რა მომენტი, ან რომელი ამბავი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად სოფიაში?

ლ. თედიაშვილი: ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ჩემპიონატის ბოლო დღე. მე ერთობ მძიმე გამოცდის ჩაბარება მომიხდა მთავარ ფავორიტებთან. დილით შევხვედი რუმინელ იორგას და დავამარცხე ანგარიშით 7:1. საღამოთი კიდევ ორჯერ მომიხდა ლეიბზე გამოსვლა. იაპონელ სასაკის მოვუგე 15:0, ევროპის ყოფილ ჩემპიონს, გერმანელ შტოტმაისტერს კი 5:1. სამი შეხვედრა ოქროს მედლის მთავარ პრედენდენტთან და სამივეში წარმატება - განა მაქვს უფლება უკმაყოფილო ვიყო შედეგით?

პრესაში ბევრი საქები სიტყვა გამოითქვა ბულგარელი მაყურებლების მიმართ. ეთანხმებით თუ არა ამ შეფასებებს.

ლ. თედიაშვილი: ბულგარელი გულშემამტკივრები ჭიდაობის დიდებული სპეციალისტები არიან. მათ გამოცდილ არბიტრებზე არანაკლებად იციან ჭიდაობის წესები და ობიექტურად აფასებენ სპორტსმენის ძალას, ოსტატობას, თავგანწირვას. ვიტყვი იმასაც, რომ ჩემპიონატი უნაკლოდ იყო ორგანიზებული. უფროსი ამხანაგების გადმოცემით, ასეთი ღირსეული ტურნირი დიდი ხანია არ უნახავთ მოჭიდავეებს.

საბჭოთა გუნდის რომელმა წევრმა დატოვა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

შ. ლომიძე: მე მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩვენს გუნდში უძლიერესი ლევან თედიაშვილი გახლდათ. იგი ტურნირისთვის კარგად იყო მომზადებული, იბრძოდა გაბედულად და რაც მთავარია, ლამაზად, ტექნიკურად. ისე კი უნდა გითხრათ, რომ ჩვენს ბიჭებს უცხოელებთან შედარებით ჭიდაობის უფრო მაღალი კლასი აქვთ. ეს ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა, განსაკუთ-

რებით კი მაშინ, როცა რაიმე სიახლის ათვისებასთან გვაქვს საქმე.

ლ. თედიაშვილი: ისე ნუ გაგვიგებთ, თითქოს ერთმანეთს ვაქებთ. გულწრფელად გეუბნებით, რომ შოთა ლომიძეს ამ ჩემპიონატში არ ჰყავდა ბადალი. სოფიაში რომ ყოფილიყავით, ამის ფიცი არ დამჭირდებოდა.

უცხოელ მოჭიდავეებზე რაღას იტყვით?

შ. ლომიძე: უდავოდ ბრწყინვალე ოსტატები არიან, ირანელები ჯავადი და გარბანი, აგრეთვე ამერიკელი გეიბლი.

ლ. თედიაშვილი: დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე ამერიკელმა გეიბლმა. იგი ერთადერთი სპორტსმენია მგონი, რომელიც არ ითელის ქულებს და პირველიდან ბოლო წუთამდე ჭიდაობს მთელი ძალით.

თქვენის აზრით შეიცვალა თუ არა ძალთა შეფარდება ევროპისა და აზიის მოჭიდავეებს შორის.

შ. ლომიძე: აშკარად შეიცვალა ევროპელთა სასარგებლოდ.

ლ. თედიაშვილი: დაეუმატებ, რომ საკმაოდ მკვეთრი ნაბიჯი გადადგეს წინ ამერიკელებმაც. ჩვენი აზრით აშშ-მ სოფიაში არ ჩამოიყვანა თავისი უძლიერესი ათლეტები, ისინი ვინც უკვე შემოწმებული არიან. აქედანვე ოლიმპიური თამაშებისათვის ემზადებიან. სოფიაში მათ ახალგაზრდობას მოუსინჯეს კბილები.

ახლა ორიოდე სიტყვა თქვენ გეგმებზე?

შ. ლომიძე: მაქვს ერთადერთი სურვილი გავხდე ოლიმპიური ჩემპიონი.

ლ. თედიაშვილი: მეც იგივე სურვილი მაქვს, მაგრამ საამისოდ ჯერ საჭიროა მტკიცედ დავიბედლო ადგილი ნაკრებში.

ვინ არის თქვენი იდეალი ჭიდაობაში?

შ. ლომიძე: მსოფლიოს 3-გზის ჩემპიონი, მსოფლიოს თასის მფლობელი და მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი გივი კარტოზია.

ლ. თედიაშვილი: მე, როგორც უფრო ახალგაზრდას, მოჭიდავის იდეალად მსოფლიოს ექს-ჩემპიონი გურამ საღარაძე მიმაჩნია. სხვათა შორის სწორედ მისი დამსახურებაა, რომ მე მოჭიდავე გავხდი.

ჭიდაობა რომ არა, რომელ სპორტის სახეობას აირჩევდით?

შ. ლომიძე ბავშვობიდან მიყვარდა ცხენოსნობა, დოლი,

შეჯიბრება სისწრაფეში. მაგრამ ვინ იცის გაუძლებდა ცხენი ჩემს წონას?

ლ. თედიაშვილი: თავდავიწყებამდე მიყვარს ტანვარჯიში და ვარ დრონოვას ტალანტის დიდი თაყვანისმცემელი.

გიყვართ თუ არა ხელოვნება და თუ გიყვართ რომელ დარგს სცემთ მეტ პატივს?

შ. ლომიძე: მსუბუქი, ე. წ. ჯაზური მუსიკა და სახელოვანი „ორერას“ ანსამბლი.

ლ. თედიაშვილი: მიყვარს კინოხელოვნება, კარგი ქართული ფილმების ნახვა.

ვინ არის თქვენი საყვარელი მწერალი?

შ. ლომიძე: კონსტანტინე გამსახურდია.

ლ. თედიაშვილი: გიორგი ლეონიძე. ნუ დაგავიწყდებათ, რომ საგარეჯოელი ვარ, პატარძეულის მეზობელი.

გაზეთი „ლელო“, 11 სექტემბერი, 1971 წ.

„ბრწყინვალე გამარჯვება ფინიშზე“

შახმურადოვი - თედიაშვილი. პრესაში რატომღაც ცნობა გამოჩნდა, თითქოს თედიაშვილის გამარჯვება მოულოდნელი იყო. ეს არ არის სწორი. ჩვენ დაგეგმილი გეკონდა, რომ იგი აუცილებლად ჩემპიონი უნდა გამხდარიყო. შახმურადოვთან შეხვედრის ტაქტიკა წინასწარ იყო შემუშავებული. ლევანი უფრო ძლიერი, გამძლე და სწრაფია თავის მეტოქეზე. მან ორჯერ გადაიყვანა შახმურადოვი ჩოქბჯენში.

მეოთხე დღეს V სპარტაკიადის 3 გამარჯვებული (ყოველ წონაში) სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტულისათვის უნდა შეხვედროდა ორ გამარჯვებულს კომიტეტის პრიზზე.

თედიაშვილი სარბიელზე გამოვიდა, რათა კვლავ შეხვედროდა შახმურადოვსა და სიულჭინს, მაგრამ არც ერთი მეტოქე საჭიდაოდ არ გამოცხადდა. ლევანმა მოუგო ტიმირაევს (ორჯონიკიძე) და სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა.

ი. ალიხანოვი

დოცენტი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწერთნელი
გაზეთი „ლელო“, 12 სექტემბერი, 1971 წელი.

მოულოდნელი შესვენრა

ჩემს სამუშაო ოთახში ახლანდელი ჭაბუკი შემოვიდა მორიდებით იკითხა, შეიძლებაო და უკვე მის მძლავრ მკლავებში მოვექეცი მერე ხელი შევეშვი ერთმანეთს, მაგიდასთან ახლოს მივიდგი სკამი, ჩამოჯდა და ღიმილით მომაჩერდა.

მეხუთე კლასში იყო მაშინ, კაფანდარა ბიჭი მუდამ მოუსვენარი აქეთ-იქით აცეცებდა ცისფერ თვალებს მაგრამ არ გამორჩებოდა მასწავლებლის არცერთი სიტყვა, მალე ითვისებდა ყველაფერს. მაშინ არც შეგვეძლო წარმოგვედგინა როგორი დიდი სიხარულის მოწმენი გავხდებოდით.

ახლა კი ჩემს გვერდით ზის მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ლევან თედიაშვილი. მინდა რამდენიმე შეკითხვა მივცე, ვესაუბრები და თან ვფიქრობ რა შევეკითხო. ლევანი არ მეთანხმება ინტერვიუს მოცემაზე.

ჩემს თავზე ლაპარაკი არ მიყვარს, მასწავლებელო, ხომ მიცნობთ, რაც გნებაეთ ის დაწერეთ.

მე განზე ვწევ ქაღალდებს და კალამს, სიგარეტს ვუკიდებ და საუბარს ვიწყებთ - ჩვეულებრივ საუბარს. რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს იღებს:

- როგორ იმოქმედა შენზე წარმატებამ ლევან?

- ძალიან მინდოდა ძლიერი მოჭიდავე ვყოფილიყავ, მაგრამ თუ ასე ახლოს ვიყავი მიზანთან, არ მეგონა. ყველა მილოცავს ჩემპიონობას, მე კი სულაც არ მგონია რომ მიზანი უკვე მიღწეულია. ჯერ ხომ სულ 23 წლისა ვარ. ახლა მთავარია არ შევირცხვინო თავი, მთელი ენერგია მოვახმარო ჩემს მიზანს, ჩემს მიღწევებს და უფრო განვამტკიცო ის.

- შენს მწვრთნელებზე რას გვეტყვი?

- ბევრ მწვრთნელსა და მოჭიდავეს მიუძღვის წვლილი ჩემს მიღწევაში მაგრამ არასოდეს დამევიწყდება ვანო მეკოკიშვილი. მან ხომ პირველამა ჩამინერგა სპორტს სიყვარული, როგორც იტყვიან, ფეხი ამადგმეინა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ვახტანგ ბალავაძემ კი საბოლოოდ გამიყვანა დიდ ასპარეზზე და დამავაჟაკა.

- რომელ მოჭიდავესსცემ პატივს?

ეს კითხვა ჩემთვის ჩვეულებრივია, ბევრი შემკითხებია

მუდამ დაუფიქრებლად ვპასუხობ - გურამ საღარაძეს, იმიტომ კი არა სხვა მოჭიდავეებს არ ვაფასებ, არა. 1966 წელი იყო, ახლად ვიწყებდი ჭიდაობას, სკოლიდან გავიპარე თბილისში ჭიდაობის საყურებლად. იმ საღამოს ვნახე მისი შერკინება სანათკანასთან თუმცა საღარაძემ ეს შეხვედრა წააგო, მაგრამ გულახდილად გეტყვით, ვნატრობდი გურამისთანა მოჭიდავე გავმხდარიყავი, ამას ახლაც ვნატრობ.

- სპორტის რომელი სახეობა მოგწონს.

ტანვარჯიში. ჩემი საყვარელი ტანმოვარჯიშეა დიდი მომავლის მქონე ნინა დრონოვა.

- კიდევ რა გიტაცებს სპორტის გარდა.

- ნადირობა, თევზაობა.

- თუ გიყვარს წიგნები, რომელი მწერალი მოგწონს?

ეკითხულობ სათავეადასაველო წიგნებს, პატივს ვცემ დიუმას. ქართული ლიტერატურიდან ჩემი საყვარელი საკითხავია გიორგი ლეონიძე. მიყვარს კინოც. განსაკუთრებით - „ჯარისკაცის მამა“ და „ბაში-აჩუკი“.

გაზეთი „იურის განთიადი“, 18 სექტემბერი, 1971 წ.

“ЗА СТАРТОМ СТАРТ”

В нашей стране имя Левана Тедиашвили - борца вольного стиля - было уже известно, но на мировой спортивной арене он прогремел совсем недавно. Дебитуя на чемпионате мира, молодой грузинский богатырь уверенно выиграл золотую медаль, еще раз доказал, что его успехи на внутрисоюзных соревнованиях были не случайны. Леван занял свое достойное место в когорте грузинских борцов - чемпионов мира.

Газета “Вечерный Тбилиси”, 30 сентября, 1971 года.

„წალკანო ლეკან თეღიაშვილი“

დაიბადა საგარეჯოში. პირველი მასწავლებლები საგარეჯოელი მოჭიდავეები ანზორ ზურაბაული, თამაზ და ბიძინა კეკელიშვილები, ვაჟა და როინ ქაიხოსროშვილები (ამ ფალაენებს მასწავლებლებს, ანუ მწვრთნელებს პირობითად ვუწოდებთ, რადგან თავიანთი ხალასი ოსტატობით ჩაუნერგეს ახალბედა სპორტსმენს ქართული ჭიდაობის სიყვარული).

პირველი მწვრთნელები - ვლადიმერ მეკოკიშვილი და გურამ სონიშვილი.

ამჟამინდელი მწვრთნელი - ვახტანგ ბალავაძე.

სპორტული ნადავლი - საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონი ქართულ, თავისუფალ და სამბოს სტილით ჭიდაობაში, „ოლიმპიური იმედის“ ორგზის ჩემპიონი, თბილისის საერთაშორისო ტურნირის ორგზის გამარჯვებული, სსრ კავშირის ჩემპიონი, V საკავშირო სპარტაკიადაში გამარჯვებული, მსოფლიოს ჩემპიონი.

განათლება: საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ამჟამად თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.

საყვარელი მწერლები: გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია...

ეს ჭაბუკი მხოლოდ 23 წლისაა. იგი მთელი არსებით მომავლისკენ ისწრაფვის. როგორც უკვე დავინახეთ, მისი ბიოგრაფია ჯერ მხოლოდ რამდენიმე სტრიქონით ამოიწურება. ეს ბიოგრაფია დღენიადაგ მდიდრდება ახალ-ახალი, მეტად საგულისხმო ფურცლებით. განა ასეთივე რუდუნებით. არ იქნება ლამაზი რომანი, რომელშიც თავს მოიყრის მწერლის მიერ წლების მანძილზე განცდილი სანუკუარი ფიქრები და მისწრაფებები. ჩვენ ხელთა გვაქვს თეღიაშვილის ცხოვრების დაუმთავრებელი წიგნი. თქვენთან ერთად გადავხედოთ ამ მომცრო წიგნის საინტერესო ფურცლებს. არა ერთი და ორი საუკუნეა, რაც ქართული სოფლის კოლორიტს სხვა ტრადიციულ კომპონენტებთან ერთად ჭიდაობაც შეადგენს. აბა, ვისმეს თუ წარმოუდგენია ჩვენი სოფელი ვენახის, მთების, წყაროების,

ზეპირმოქმედების, მოჭიდავეების გარეშე.

ასევე წარმოუდგენელია ყმაწვილი საგარეჯოში იზრდებოდეს და ჭიდაობის მაღლი არ ეცხოს. ვერც თედიაშვილი აცდა წინაპართა მიერ გაკვალულ გზას. ამ გზაზე მან ბევრი რამ გაიგო და შეითვისა. და მაინც საინტერესოა, რამ აქცია თედიაშვილი მსოფლიოს ჩემპიონად?

ლევანი იმთავითვე უზარმაზარ სიმდიდრეს ფლობდა: ეს სიმდიდრე გროვდებოდა იმ დროიდან, რა დროიდანაც საგარეჯოს მიწაზე ხარობს ვენახი, რამდენ ხანსაც არსებობს ქართული ჭიდაობა. იგი გროვდებოდა სოფლის აურაცხელ დღეობებსა და სანახაობებზე, უცნობი, უსახელო მოჭიდავეთა თაობების მიერ, საქვეყნოდ განთქმული ფალავნების ჭიდილში. ჭაბუკი საღამოობით გაფართოებული თვალებით შეჰყურებდა უზარმაზარი მუხის ძირში ჩამომსხდარ მოხუცებს, რომლებიც ყვებოდნენ სიჭაბუკის დროინდელ ამბებს, ახსენებდნენ უკვე ლეგენდად ქცეულ ფალავნებს... ეს ამბები ბიჭს უღვიძებდა გმირობის, ვაჟკაცობის უკეთილშობილეს გრძნობებს.

ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც მომავალი მსოფლიო ჩემპიონის ირგვლივ არსებობდა, ქმნიდა, ძერწავდა ლევან თედიაშვილის შემართებას, დაუოკებელ სურვილს ყოფილიყო იმ ძველთაძველი, უბერებელი სტიქიონის მონაწილე, რომელსაც ქართული ჭიდაობა ჰქვია.

ყოველივე ეს ხდებოდა დინჯად, აუჩქარებლად, საფუძვლიანად, როგორც კახელ კაცს სჩვევია. ასე დაიწყო...

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრჯერ დაიკრიფა ყურძენი საგარეჯოს ზერებში. ის ჭიდაობა კი დღემდე არ იშლება თედიაშვილის ცხოვრებაში.

პატარა საჭიდაო მოედანი სოფლის განაპირას, ერთ ადგილზე მიყრილი სასკოლო ჩანთები, „მამლაყინწა“ ბიჭები, შეძახილები: „აბა, ამას თუ მოერევი“, „ეს ხერხი თუ იცი!“ „შენ რა გგონია, რა, შენი მომრევი არავინ არ არი!“ ერთი წაბლისფერთმიანი ბიჭი ხმას არ იღებს. ფალავნად ჰყავთ ტოლბიჭებს წამოყვანილი. ფალავნებმა უნდა იჭიდავონ, ლაპარაკით კი სხვებმა ილაპარაკონ. „მენეჯერები“, როგორ იქნა, მოლაპარაკდნენ. ახლა მათი ადგილი სარბიელს მიღმაა. წრეში კი რჩება ორი გაფითრებული, ბავშვის

კვალობაზე კარგა მოსული ყრმა. ისინი სხვადასხვა სოფლის ფალავნები არიან, პირველად ხედავენ ერთმანეთს და ცოტა არ იყოს მორიდებულად უვლიან საჭიდაო წრეს. ეს შორი-შორ „სიარული“ დიდხანს გრძელდება. მაყურებლები თანდათან მოთმინებას ჰკარგავენ. „ბიჭო, რა დაგემართა, აბა, ჭიდაობას რა უნდა ა-ა-ა“. ნორჩებს ეს შეძახილი ელდასავით დაუვლიდათ ტანში, მსწრაფლ ეძგერებიან ერთმანეთს. მაყურებელთა სახეებზე ენაცვლება გაკვირვების, აღფრთოვანების, წუხილის, სიხარულის გრძნობები. ჭიდაობას შეგიძლია არც უყურო, ისედაც ყველაფერი ნათელია. ბოლოს საგულდაგულოდ შემონახული ხერხი, წაბლისფერთმიანი ფალავანი ბეჭებით აკრავს მეტოქეს. უხერხული სიჩუმე, რომელსაც თითო-ოროლა ბიჭის გაუბედავი შეძახილი არღვევს. რა არის ეს, რატომ არ უხარიათ მაყურებლებს? რა თქმა უნდა, უხარიათ თანასოფლელებს, ჰაგრამ დაჩაგრულ ფალავანსაც თანაუგრძნობენ.

ასეთი იყო პირველი არაოფიციალური (აბა, ერთი იმ ბიჭებისთვისაც გეკითხათ- გამარჯვება, ძალიან სამახსოვრო, როგორც ადრეული სიყრმის ყველა მოგონება, სამახსოვრო და, ცოტა არ იყოს სინანულნარევიც...

რად მიყვარს ჭიდაობა? აბა, წარმოიდგინეთ, განა არსენ მეკოკიშვილის თანასოფელს შეიძლება კი ჭიდაობა არ უყვარდეს? ასეა... დარწმუნებული ვარ, ნონა გაფრინდაშვილის მშობლიურ კუთხეშიც უეჭველად ყველას ეყვარება ჭადრაკი. ასეა მუდამ, ახალბედა თავის დიდ წინამორბედს ბაძავს.

ამ სიყვარულს თედიაშვილი წამდაუწუმ, წლიდან წლამდე ავლენდა ყველგან: ვარჯიშის დროს, საჭიდაო სარბიელზე, დიდ და პატარა ტურნირებში, მეტოქეებთან, მწვრთნელებთან, მეგობრებთან ურთიერთობაში. თბილისსა და მოსკოვში, ვარშავასა და ლაიფციგში, სოფიაში,.. სიტყვა სიყვარული იქნება მთლიანად ვერც გამოხატავდეს ჭიდაობისადმი მის დამოკიდებულებას. ეს უფრო ჰგავდა სწრაფვას იმ ენითგამოუთქმელი, მეტისმეტად სანუკვარი სამყაროსაკენ, რომელსაც პირობითად რაინდობისა და კეთილშობილების ინსტიტუტი ჰქვია. ერთი სიტყვით, ჭაბუკი დიდ საჭიდაო სარბიელზე ოცნებით ცხოვრობდა. გაივლის სულ რამდენიმე

წელი და ლევანი დიდი სპარტაკიადის ჩემპიონი გახდება.

სპარტაკიადამდე რამდენიმე სერიოზული შეჯიბრება მოვიგე. ვაჯობე სპარტაკიადის რამდენიმე მონაწილესაც. დარჩენილი იყო მხოლოდ ერთი შეხვედრა - იური შახმურადოვთან. და მაინც, ვფიქრობდი, რომ ისევ შორს ვიყავი სანუკეარი მიზნისაგან, როგორ, როგორ გითხრათ, როგორც... ვთქვათ პატარძელში.

არა, მე არ მეშინია შახმურადოვისა. მაგრამ ეს რკინის კაცი, ჩემი იდეალი იყო, თქვენ მიხედვებით, რა ძნელია საკუთარ იდეალთან ჭიდელი. ასევე იქნებოდა ალბათ, გურამ საღარაძესთან გადამწყვეტ შეხვედრაში გამოსვლის უფლება რომ მრგებოდა. ამ ორ ბრწყინვალე მოჭიდავეს მე განსაკუთრებით ვაფასებ... ვიმეორებ, შახმურადოვის მე არ მეშინოდა. უბრალოდ წარმოდგენლად ძნელია იმ კაცის წინააღმდეგ პაექრობა, რომელმაც ჭიდაობის თითქმის ყველა საიდუმლო იცის რა უნდა დაუპირისპირო. დიდ შრომისმოყვარეობასთან ერთად ჩემი უფროსი მეგობრისა და მწვრთნელის ვახტანგ ბალავაძის უზარმაზარი გამოცდილება. სირცხვილიც იყო დავმარცხებულიყავი ასეთი მასწავლებლის მოსწავლე მან ბევრი რამ გამანდო თავისი უმიდრესი საჭიდაო არსენალიდან.

შახმურადოვთან ბრძოლის დამთავრებას რამდენიმე წამიდა აკლდა, ეს წამები საუკუნეებად იქცა. ამ დროისთვის მე ვიგებ შეხვედრას. და მაინც, ერთი ფიქრი ამეკვიატა. სპარტაკიადაზე ვუყურე ომარ ბლიაძის ჭიდაობას. იგი აშკარად ჩემპიონობის ღირსი იყო. და აი, ფინალურ პაექრობაში, როცა რამდენიმე წამი აშორებდა ოქროს მედალს, მოულოდნელად გაფლანგა მთელი თავისი უპირატესობა და გამარჯვება მეტოქეებს დაუთმო. ეს იყო ჩემი აზრით, სპარტაკიადის ყველაზე დრამატული ეპიზოდი. არავის ვურჩევდი იმ წუთში ბლიაძის ადგილზე ყოფნას. აი, ეს მახსოვდა შახმურადოვთან შეხვედრის ბოლო წამებში. როცა გავიმარჯვე ჩემი სიხარული უსაზღვრო იყო.

ასეთი ნერვიულობა, დაძაბულობა თვით მსოფლიო ჩემპიონატშიც არ მიგრძებია, რადგანაც შახმურადოვზე ძლიერ მეტოქეს იქ ნამდვილად არ შევხვედრივარ. თუმცა სოფიაში ერთი პრინციპული ამოცანის გადაწყვეტა მელოდა..

საქმე ისაა, რომ სოფლის მსოფლიოს ჩემპიონატში თედიაშვის ძველი სპორტული დავა უნდა განეახლებინა ძლიერ გერმანელ მოჭიდავე შტოტმაისტერთან. ისინი პირველად 1970 წელს ლაიფციგში გამართულ ევროპის ჩემპიონატში შეხვდნენ. ამ ტურნირმა ძალიან დაწყვიტა გული თედიაშვილს. უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში, რომელშიც სპეციალისტთა აზრით ქართველმა მოჭიდავემ საგრძნობ უპირატესობას მიაღწია, მსაჯებმა მაიც შტოტმაისტერს აუწიეს ხელი. ლევან ერთი სული ჰქონდა, რაც შეიძლება მალე შეხვედროდა თავის „იღბლიან“ მეტოქეს და საბოლოოდ დაედგინა, თუ ვინ იყო სინამდვილეში უფრო ძლიერი. ჰა, ბურთი და ჰა, სოფლის საჭიდაო ხალიჩა.

ევროპის ჩემპიონ შტოტმაისტერთან ჭიდილი ლევან თედიაშვილის სპორტული ბიოგრაფიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია. ქართველმა ფალავანმა არავეითარი იმედი არ დაუტოვა მეტოქეს და გამუდმებული იერიშით დამაჯერებლად მოუგო. ამ ლამაზი პაექრობის ჯილდოდ სოფლის მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედალთან ერთად მან დიდი მორალური კმაყოფილებაც მიიღო.

ა. გოგელია
გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 6 ნოემბერი, 1971 წ.

„საჭიდაო ოლიმპის მკვიდრი“

ლევანი საგარეჯოში შემხვდა. ღიმილით დადიოდა. ეტყობოდა, გრძნობდა მშობლიური კუთხის ალერსს. ბიჭებიც მტრების გუნდივით დასდევდნენ.

ახლახან ამ ჭაბუკმა მშობლიური ქალაქიც ასახელა და საქართველოც. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა სოფლის მსოფლიო პირველობაზე 23 წლის ფალავანი გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ჭეშმარიტად უფლებამოსილი ავიდა.

... ჩემი პირველობისა ახლაც არ მჯერა. თითქოს ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. იმდენად მოულოდნელად, რომ თავი

მსოფლიოს ჩემპიონების ღირსად არც კი მიმაჩნია...

რატომ მოულოდნელად?

ჭიდაობა პატარაობიდანვე თავდავიწყებით შეუყვარდა. სახელოვანი გარეჯელი ფალავნები ხიბლავდნენ. ერთი ნაბია, მოლეული ბიჭი იყო. პირველ მწვრთნელს ვანო მეკოკიშვილს კი მისი დიდი იმედი ჰქონდა.

ჭიდაობდა ყველგან - ორღობეში, მდელოზე, სკოლის ეზოში და სასპორტო დარბაზში.

..მაშინ ყველანი ერთნაირები ვიყავით. ზოგს ვჯაბნიდი, ზოგი მერეოდა..."

გამოვიდნენ ფალავნები, დაანგრიეს გალავანები...

ჭიდაობენ ზემოურები და ქვემოურები. გაღმაუბნელები და გამოღმაუბნელები, ცოლიანები და უცოლოები, იღბლიანები და სახელის მაძიებლები.

ჭიდაობაში დიდად განსწავლულ გარეჯელებს ვერაფერს გამოაპარებ და ერთხმად გამოაქვთ მსჯავრი.

არისო, დაიძახებენ, თუ დაცემული ფალავანი ორსავე ბეჭზე აიკრავს ნახერხს, დამარცხების ამ უტყუარ ნიშანს.

წყვილი დიდი ხანია ჭიდაობს. გამარჯვებული არა ჩანს. დაიღალნენ, მაგრამ სიფიცხე არ დაუკარგავთ, ორთავეჯანია და მაყურებლები გააშველებენ ფალავნებს.

ძირს რომ დაეცემა ფალავანი და მხოლოდ ცალ გვერდზე აიკრავს ნახერხს - ჯერი არ არის. ჭიდაობა გრძელდება. მერე გამარჯვებულ-დამარცხებულნი გადაეხვევიან და ერთმეორეს პირზე ჰკოცნიან.

კაკლების ჩრდილში თუ ეკლესიების ეზოებში გამართულ შეჯიბრებებზე სწავლობდა ლევანი ქართული ჭიდაობის ილეთებს, მოწინააღმდეგის პატივისცემასა და დაფასებას.

ლევანი ღიმმორეული ჭიდაობს. არასდროს წუწუნებს. გამარჯვება ხომ ღირსეული იცის და სანამ დღევანდელ სახელს მოიხვეჭდა, დამარცხებაც ლამაზი იცოდა.

... სოფიაში გამართულ მსოფლიო პირველობაზე ჩემი უფროსი მეგობარი შოთა ლომიძე მომეწონა, ისე ვაჟკაცურად ჭიდაობდა, რომ ჩვენთან ერთად ბულგარელებიც მოხიბლა და მეტოქეთა გულიც მოინადირა...

მერე გარეჯელ ფალავნებზე ვლაპარაკობდით. ვადგენდით ამ რაიონის ყველა დროის უძლიერესი მოჭიდავეების იდეალურ ნაკრებს: კეკელიშვილი, მარიდაშვილი, ქაიხოსროშვილი, ასლამაზიშვილი, გოგოლაური, ზურაბაული, ქარსაულიძე, ონაშვილი, ლეგენდარული მეკოკიშვილი... დაითვალა ლევანმა. მე ამ გვარებს თედიაშვილიც მივეუმატე. ასეთი გუნდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თუ არა, პრიზიორი ყოველთვის გახდებოდა. წარმატებით იასპარეზებდა ევროპისა და მსოფლიო პირველობაზე. ეს იქნებოდა მხოლოდ გარეჯელებისა და პატარძელელებისაგან შემდგარი გუნდი.

„... არ ვიცი, გჯერათ თუ არა, მაგრამ ჭიდაობა ბევრ საიდუმლოებას ინახავს. ამ ზაფხულს მოსკოვში სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტულს უფრო ძნელად მივაღწიე, ვიდრე სოფიაში მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალს“. სპარტაკიადაზე გადამწყვეტი შეხვედრა იური შახმურადოვთან ჰქონდა. ძნელი იყო მასთან შერკინება. ჭიდაობის თითქმის ყველა საიდუმლო იცის მსოფლიოში აღიარებულმა ამ ფალავანმა. ლევანმა მაინც დაჯაბნა მრისხანე მეტოქე, სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა და მსოფლიო პირველობისაკენ გაეხსნა გზა.

სოფიაში შეიდივე შეხვედრა მოიგო ლევანმა. სენეგალელი მოჭიდავე 45 წამში გააკრა ხალიჩას. შვეიცარელი - 30 წამში. ირანელი - 80 წამში, პოლონელი - 40 წამში. ფაქტიურად ამის შემდეგ დაიწყო მისთვის ნამდვილი ჭიდაობა. აქ ლევანმა ნება დართო რუმინელ იორგას - ევროპისა და მსოფლიო ოთხგზის პრიზიორს და გერმანელ შტოტმაისტერს, ცხრა წუთით ყოფილიყვნენ საჭიდაო ხალიჩაზე... პირველს სძლია ანგარიშით 9:1, მეორეს - 15:0, მესამეს კი 7:1, სოფიიდან ლევანი მსოფლიოს ჩემპიონად და სპორტის დამსახურებულ ოსტატად დაბრუნდა მისმა მწვრთნელმა, საქვეყნოდ სახელმძოხვეჭილმა ფალავანმა ვახტანგ ბალავაძემ საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიიღო.

„... ჭიდაობაში სამეცნიერო წოდებებს რომ ანიჭებდნენ, ვახტანგ ბალავაძე აკადემიკოსი იქნებოდა აღზრდისა და სწავლების ბრწყინვალე მეთოდები აქვს. სწორედ მან სრულყო ჩემი ოსტატობა. მოჭიდავე ყოველთვის ვიქნებოდი, მაგრამ

ვახტანგ ბალავაძე რომ არა, შეიძლება მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გავმხდარიყავი...”

სულითა და გულით ეძლევა ლევანი ჭიდაობას. მაგრამ არც სწავლას ივიწყებს - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია.

„... მომავლისათვის რომელ პროფესიას ავირჩევ მწვრთნელისას თუ იურისტისას, ვერ გეტყვით. ახლა სტუდენტიცა ვარ და მოჭიდავეც. ორსავე-საქმეს ერთნაირი მონდომებითა და გალისხმიერებით ვეკიდები. უკვე საგამოცდო სესიები მეწყება. ბიჭი ხარ და ნუ ჩაუჯდები წიგნებს. გაისად მიუნხენის ოლიმპიური ასპარეზობაა, ბიჭი ხარ და ნუ ივარჯიშებ...”

მერე ხმადაბლა გაიმეორა - გაისად ოლიმპიური ასპარეზობაა...

ამბობენ, ლევან თედიაშვილი დიდი ხნით დამკვიდრდაო საჭიდაო ოლიმპზე... შენს პირს შაქარიო.

*ჯემალ ქურხული
გაზეთი „სამშობლო“, 10 დეკემბერი, 1971 წ.*

"Л. ТЕДИАШВИЛИ, БОРЕЦ ВОЛЬНОГО СТИЛЯ, КАНДИДАТ В ОЛИМПИЙСКУЮ СБОРНУЮ СССР"

Год 1971-й запомнился мне всю жизнь. Именно в этом году я впервые завоевал золотую медаль чемпиона Спартакиады народов СССР. Мне была доверена высокая честь - представлять нашу страну на чемпионате мира. И я очень рад, что оправдал доверие, завоевал для своей Родины золотую медаль.

Немаловажные события произошли и в моей личной жизни. Я окончил Грузинский государственный институт физкультуры и поступил на юридический факультет университета.

Планы на будущий год? они пожалуй, на сей раз одинаковы у всех спортсменов. Моя мечта - успешно подготовиться к сезону, стать членом Олимпийской сборной команды Советского Союза и постараться подняться на высшую ступень пьедестала почета на Олимпиаде в Мюнхене. Олимпийский год требует от спортсменов

особого напряжения сил. Я думаю, что ведущие спортсмены Грузии отлично подготовятся к ответственнейшему сезону, и наша республика будет широко прелоставлена в олимпийской делегации Советского Союза.

Газета "Вечерный Тбилиси", 31 декабря, 1971 года.

„აი, ვინ გვასახელა“

საქართველოს სპორტულ ფედერაციათა წარმომადგენლებმა, სპორტის სპეციალისტებმა და ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა 1971 წლის სეზონის შედეგების მიხედვით შეადგინეს ჩვენი რესპუბლიკის 10 საუკეთესო სპორტსმენის სია.

გთავაზობთ ანკეტის შედეგებს: ლ. თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) მსოფლიო ჩემპიონი პირველ საშუალო წონაში. მოიგო სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადა, აგრეთვე, საკავშირო ჩემპიონატი. ბრწყინვალედ გამოვიდა ირანის საერთაშორისო ტურნირში: აქაც გაიმარჯვა.

გაზეთი „ლელო“, 1 იანვარი, 1972 წელი.

„ლევან თედიაშვილი“

ოყო №1 სპორტსმენი ისეთ სპორტულ რესპუბლიკაში, როგორც საქართველოა, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. დიახ, ლევან თედიაშვილმა 1971 წლის სპორტულ სეზონში ეს სავსებით დაიმსახურა. მან ჯერ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მოიპოვა ოქროს მედალი. იმ მეტად რთულ ასპარეზობაში ლევანის ძირითადი მეტოქე საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო ფალავანი მსოფლიო ექს-ჩემპიონი იური შახმურადოვი იყო. თედიაშვილმა აშკარად დაჯაბნა მეტოქე და დაამტკიცა, რომ პირველ საშუალო წონით კატეგორიაში ბადალი არა ჰყავს ჩვენს ქვეყანაში. რამდენიმე დღის შემდეგ იგი კვლავ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე - ამჯერად საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა.

რაც შეეხება სოფლის მსოფლიო ჩემპიონატს, იქ ამ შესანიშნავმა სპორტსმენმა მოაჯადოვა როგორც მაყურებელი, ისე ჭიდაობის აღიარებული სპეციალისტები, და ოქროს მედლით მკერდამშვენებული დაბრუნდა შინ.

ირანის ტრადიციული ტურნირი. თედიაშვილი უძლიერესია. თუმცა ნუ დაგაეიწყებთ, რომ ამ ტურნირში იგი ერთით მაღალ წინით კატეგორიაში გამოდიოდა. ირანში ჭიდაობა ტრადიციული სახეობაა და ძალზე ძნელია ამ ქვეყანაში ოსტატობით გააცნო მაყურებელი. მაგრამ ლევანმა ესეც შეძლო; თუმცა ლევანს რა არ შეუძლია...

იყო საქართველოში №1 სპორტსმენი, ეს მხოლოდ რჩეულთა ხედრია. და ლევანიც ხომ რჩეულია რჩეულთა შორის.

გაზეთი „კომუნისტი“, 3 იანვარი, 1972 წელი.

„მსოფლიო ჩემპიონი კომბინატში მუშაობს“

უკვე ორი წელია ლევან თედიაშვილი თბილისის საავეჯო კომბინატ „განთიადში“ მუშაობს. გასულ ზაფხულს, აგვისტოში, მან შევბულება ითხოვა და... სოფიას გაემგზავრა, რათა შინ თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი ჩამოეტანა. იგი პირველი მსოფლიო ჩემპიონია თავის საწარმოში.

გაზეთი „ლელო“, 5 იანვარი, 1972 წელი.

ლ. თედიაშვილი, მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში

გასულ წელს რესპუბლიკის ფიზკულტურულ - სპორტული ორგანიზაციები ნაყოფიერად შრომობდნენ, რათა ახალი წარმატებით აღენიშნათ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50-ე წლისთავი, ხელდამშვენებული შეხვედროდნენ ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირის სახელოვან იუბილეს, ცხოვრებაში

განეხორციელებინათ სპორტული ორგანიზაციების წინაშე სკკ XXIV ყრილობის მიერ დაყენებული ამოცანები. შედეგებზე ნათლად მეტყველებს ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა, სპორტულ ნაგებობათა, სსრ კავშირის, აეროპისა და მსოფლიოს რეკორდების რიცხვის ზრდა.

განსაკუთრებით მინდა ხაზი გაეუსვა სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა გამოსვლას, საქართველოს სპორტსმენებმა მოიპოვა 28 ოქროს, 17 ვერცხლისა და 33 ბრინჯაოს მედალი. ეს წარმატებები მიღწეულ იქნა ენერგიის უდიდესი დაძაბვისა და მძაფრი, სპორტული ბრძოლის შედეგად.

წლევიანდელი წელი მეტად საპასუხისმგებლოა ქართული სპორტსმენებისათვის, მათთვის, ვინც მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე საბჭოთა ნაკრები გუნდების შემადგენლობაში უნდა შევიდნენ.

ოლიმპიადისათვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შედის. ახლა ყოველმა ჩვენგანმა უნდა გამოამყდონოს საბჭოთა ადამიანის, საბჭოთა სპორტსმენის საუკეთესო თვისება - მთელი ძალ-ღონე მოახმაროს საერთო საქმეს. ყოველი სპორტსმენი ვალდებულია მაქსიმალურად გამოიყენოს დარჩენილი დრო, მთელი ენერგიით იბრძოლოს სპორტული ფორმის განმტკიცებისათვის.

მიუნხენის ოლიმპიური თამაშები საბჭოთა სპორტსმენებისათვის ყველა წინამორბედ თამაშებზე ძნელი იქნება. ამ ასპარეზობაში წარმატებით გამოსვლის მიხედვით მსოფლიოს სხვადასხვა ხალხები იმსჯელებენ ჩვენი სამშობლოს სპორტული სახის შესახებ, კომკავშირელთა მრავალმილიონიან რაზმზე, იმაზე, თუ როგორ ზრუნავს კომუნისტური პარტია ახალგაზრდა თაობისათვის, მისი კეთილდღეობისათვის.

ქართველი ოლიმპიელები ძალასა და ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას არ დავიშურებთ, რათა მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე პირნათლად დავიცვათ საბჭოთა სპორტის ღირსება და სახელი!

გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 15 იანვარი, 1972 წელი.

„ფინალების წინ“

მესამე და მეოთხე წრე, ტურნირის მეტად პასუხსაგები შეხვედრები, შემცირდა ფინალისათვის მებრძოლთა რიცხვი. ინტერესი დიდია, სპორტის სასახლე სავსეა თავისუფალი სტილის ჭიდაობის თაყვანისმცემლებით, ვინ მოიპოვებს ვ. ბალავაძის სახელობის პრიზს?

ესა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც თბილისის საერთაშორისო ტურნირს ეხება, დღეს უნდა გადაწყდეს ფინალურ შეხვედრებში. არაერთი მიმხილველი ორთაბრძოლის მოწმენი ვიყავით გუშინ, მაგრამ განსაკუთრებით დაგვაინტერესებდა ერთი წყვილის ლამაზი და ეფექტური პაექრობა. ეს გახლდათ 82 კოლოგრამამდე წონით მოჭიდავეთა - მსოფლიოს ჩემპიონის ლევანს თედიაშვილისა და ბულგარეთის აღიარებული ათლეტის ისმაილ ადილოვის ასპარეზობა. მოხდა ისე, რომ დასაწყისში ბულგარელმა ქულაც კი დაიმსახურა, მაგრამ ეს საბაბი გახდა იმისა, რომ ლ. თედიაშვილს სასტიკად დაესაჯა ასეთი „კადნიერებისათვის“ მეტოქე და უკვე 2 წუთსა და 40 წამისათვის ი. ადილოვი გაკრული იყო ბეჭებით ხალიჩაზე. ბულგარელი გამოეთიშა საპრიზო ადგილებისათვის მებრძოლთა რიგებს, ლ. თედიაშვილს კი მხოლოდ ერთი საჯარისო ქულა აქვს (2 წმინდა გამარჯვება, I - ქულით).

გაზეთი „თბილისი“, 5 თებერვალი, 1972 წელი.

„მის ნაკვალევზე“

ვახტანგ ბალავაძის პრიზზე

სპორტსმენზე წერა ძალზე ადვილიც ყოფილა და ძნელიც ადვილია, როცა იგი აღმავლობას განიცდის. დიდების მწვერვალებისაკენ მიიწევს. ამ დროს ყოველი, უმნიშვნელო მიღწევაც კი საყოველთაო აღიარებას პოულობს, ათასობით ადამიანის კუთვნილებად, ხშირად კი ლეგენდად იქცევა, მაგრამ სამწუხაროდ სპორტული სიჭაბუკე არც თუ ისე ხანგრძლივია, გახედვასაც ვერ მოასწრებ და ერთ დროს მოწინააღმდეგის

რისხვა, მაყურებელთა ჭეშმარიტი კერპი, უკვე ისტორიის კუთვნილებად იქცევი, აქ კი იწყება სპორტსმენის მეორე ცხოვრება რასაკვირველია, ამას ყველაზე ვერ იტყვი, იგი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. იმათი, ვინც თვითმყოფადი ნიჭით, დაუღალავი შრომით, ვაჟკაცური შემართებითა და ნებისყოფით შორს გაიტანა არა მარტო თავისი ქვეყნის სახელი და დიდება, მომავალ თაღობათა აღზრდის შესანიშნავ მაგალითადაც იქცა.

მაშ რატომ არის მათზე წერა ძნელი? იმიტომ, რომ მათ საბრძოლო ეპიზოდებიდან რაიმე ახლის, სხვამ რომ არ იცოდეს, დამეთანხმებით, არც თუ ისე ადვილია.

ახლა კი გუშინ მოასპარეზე ცალკეულ წყვილთა შესახებ.

პირველ რიგში ორიოდ სიტყვა ლ. თედიაშვილზე. ამ უდავოდ ნიჭიერმა ფალავანმა უკვე მოასწრო როგორც გულშემატკივართა გულების მონადირება, ისე სპეციალისტთა საყოველთაო აღიარების მოპოვება. ეს კი, დამიჯერეთ, დროის ასე მცირე მონაკვეთში, არც თუ ისე იოლი საქმეა. რამ განაპირობა ეს? ჭიდაობის გაბედულმა, უზადო ხელწერამ. მის მოქმედებაში პარმონიულადაა შერწყმული ღონე და ტექნიკა. როცა მის შერკინებას უყურებ, რწმუნდები, რომ მან უბრალოდ, მექანიკურად კი არ გადაიღო თავისი მასწავლებლის ვ. ბალავაძისა თუ თავისუფალი სტილის სხვა დიდოსტატთა ესა თუ ის ფანდი. ისინი შეისისხლხორცა, გაამდიდრა, თავისებური, თედიაშვილისებური სახე მისცა. ამაში ჩვენ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა ქართველი ფალავნის გუშინდელმა გამოსვლამ. მან ბრწყინვალე სტილში, წმინდად დაამარცხა ამერიკელი ჯ.პეტერსონი.

გაზეთი „თბილისი“, 6 თებერვალი, 1972 წელი.

"HINKALI U TEDIASZWILI"

ამ რამდენიმე ხნის წინ სქართველოში სტუმრად იყვნენ პოლონური ჟურნალ „სპორტოვეცის“ პასუხისმგებელი მდივანი ლ. იედლევესკი და ფოტორეპორტიორი ტ. პრაჟმოვსკი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მათ თავიანთ ჟურნალში გამოაქვეყნეს

წერილი სათაურით „ხინკალი თედიაშვილთან“. გთავაზობთ ნაწვევებს ამ წერილიდან:

„...მივემგზავრებით საგარეჯოსკენ მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპინ ლევან თედიაშვილთან და მის საცოლე ნანა მჭედლიშვილთან ერთად, მანქანაშივე დავმეგობრდით. ვსაუბრობთ გულახდილად და ძალდაუტანებლად.

ლევანი: იცით, რომ ჩემი გზა მიუნჰენისაკენ თქვენს ქალაქ კოშალინში დაიწყო 5 წლის წინათ? ეს იყო ოლიმპიური იმედების ტურნირი“.

გზა გორაკებს შორის მიდის. ორივე მხარეს ვენახებია. ლევანი ყველას ესალმება, იგონებს თავის ბავშვობას. გამოჩნდა საგარეჯოც. შევედით სახლში, სულ მალე გემრიელი კერძების სუნი გვეცა. ლევანი, როგორც ნამდვილ ვაჟკაცს შეეფერება, ღვინოს იღებს ქვევრიდან. იშლება ზღაპრული სუფრა, ყველა ფერია, ხინკალიც კი...“.

საქართველოში ჭიდაობა ფეხბურთის შემდეგ მეორე ადგილზეა. საკმარისია გადავხედოთ სსრ კავშირის მოჭიდავეთა ჩემპიონატების შედეგებს, სადაც „შილზე“ და „ბეზე“ დამთავრებულ უამრავ გვარს ნახავთ. ქართველმა მოჭიდავეებმა ბევრი სახელოვანი გამრჯევა მოუტანეს საბჭოთა სპორტს საერთაშორისო სარბიელზე საიდან მოდის ეს?

- საქართველოში ყველა საფლელი ბიჭი ჭიდაობს, ჭიდაობით დიდი დაინტერესება კი დიდ კონკურენციას ბადებს. მის შემდეგ საკმარისია ერთი ნაბიჯის გადადგმა ფორთო სარბიელზე გასასვლელად. ოლისპიურ სტარტზე ოცნების ასასრულებლად საჭირო იყო გზა გამეკვლია აუმრავ მეტოქეს შორის, დამეჯაბნა ისინი. საკავშირო მასშტაბით ჩემთვის ყველაზე საშიში მეტოქე იყო შახმურადოვი. ღრმად მწამს: ვინც კავშირში პირველია, მას ოლიმპიური მედლის იმედიც უნდა ჰქონდეს.

- როგორ ემზადებოდით მიუნჰენისაკენ?

- ილეთებს ისე ვხვეწდი, რომ კონკურენტულ მეტოქეზე არ ვფიქრობდი. მიუნჰენში სამი შეხვედრა წმინდად მოვიგე, ამდენივე ქულებით, მე ნამდვილი ბრძოლის მომხრე ვარ: შეტევა, შეტევა, შეტევა! დიდად ვაფასებ აგრესიულ სტილს.

- ვინ იყო თქვენთვის ყველაზე ძნელი მეტოქე მიუნჰენში?

- აიპონელი სასკი, შტოტმაისტერი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, რუმინელი იორგი, ამერიკელი პეტერსონი. საერთოდ, ამერიკელთა წარმატება მიუნჰენში პირადად ჩემთვის მოულოდნელობა არ იყო, როგორც ამას ბევრი სპეციალისტი თვლის. ამერიკელები უკვე რამდენიმე წელია, რაც ფირზე აღბეჭდავენ ჩვენს ყოველ მოძრაობასა და ილეთს. მსუბუქ წონაში გამარჯვებული ამერიკელი გეიბლი ჭიდაობს თითქმის... როგორც ქართველი. იგი თბილისშიც გამოდიოდა და მახსოვს კინოაპარატი ხელიდან გაუშვია.

- ვინ არის თქვენი იდეალი ჭმიდაობაში?

- საუკეთესო მოჭიდავე, რომელიც კი მე მინახავს, ეს გურამ საღარაძე გახლავთ, მსოფლიო ჩემპიონი. მისი მაგალითი ჩემთვის მუდამ პირველი პირობაა.

- როგორი მეტოქეები გიყვართ?

ძლიერები. მათ ჩვენი ოჯახის წევრებად ვთვლით. თუ მეტოქე დამამარცხებს, ასჯერ უფრო მეტად ვაფასებ. ასეთი სპორტსმენისადმი პატივისცემა სიძულვილის ნაცვლად აი, ჩემი და სეერთოდ ქართული მოჭიდავის ბრძოლის ფილოსოფია“.

ვემშვიდობებით საგარეჯოს და გზას ვაგრძელებთ. გზადაგზა გვხვდება გურჯანი, მუკუზანი, კარდანახი, ტიბაანი, წინანდალი... ეს სახელები კი ჩემთვის კარგად ნაცნობია განთქმული ქართული ღვინოების წყალობით...“.

რედაქციისაგან: დღეს სახელგანთქმულ ფალავანს ლევან თედიაშვილს ქორწილი აქვს საგარეჯოში. გულითადად ეუსურვებთ ლევანსა და მის მომავალ მეუღლეს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტ ნანა მჭედლიშვილს მყარი, მეგობრული ოჯახის შექმნას და გაბედნიერების დღეს ეულოცავთ. მათ სწორედ ამ სურათზე ხედავთ, რომელიც ტ.პრაჟმოვსკიმ გადაიღო საგარეჯოში.

გაზეთი „ლელო“, 25 ნოემბერი, 1972 წელი.

„ლევან თედიაშვილმა ოლიმპიური ოქრო მიიღო“

თავისუფალი სტილის თბილისელმა მოჭიდავემ ლევან თედიაშვილმა პირველ საშუალო წონით კატეგორიაში ოლიმპიური ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა.

გაზეთი „ლელო“, 1 სექტემბერი, 1972 წელი.

მიუნხენი, 31 აგვისტო. (საკდესი). თბილისელი ლევან თედიაშვილი მეექვსე ოლიმპიურ დღეს დილით, მე-XX ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა თავისუფალ ჭიდაობაში.

თბილისის უნივერსიტეტის 23 წლის სტუდენტი, მომავალი იურისტი თედიაშვილი უკვე იყო მსოფლიოს ჩემპიონი, და წელს მას მხოლოდ ერთი ამოცანა ჰქონდა - მოეპოვებინა უმთავრესი სპორტული გამარჯვება. ეს ჯილდო კარგი საჩუქარი იქნება... ლევანის ქორწილზე, რომელიც გაიმართება ოლიმპიადიდან დაბრუნების შემდეგ.

გაზეთი „კომუნისტი“. 2 სექტემბერი, 1972 წელი.

„უსვმოსავლიანი ხალიჩა“

საბჭოთა დელეგაციას ყველაზე დიდი წარმატება ოლიმპიურმა ხალიჩამ მოუტანა, სადაც უკვე დამთავრდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ასპარეზობა. ჭიდაობის ქართველ მოყვარულთათვის განსაკუთრებით სასიამოვნოა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისა და მსოფლიო ჩემპიონის ლ. თედიაშვილის წარმატება. შესანიშნავი ქართველი ფალავნების დ* ციმაკურიძის, გ. კარტოზიას, ვ. ბალავაძის, მ. ცალქალამანიძისა და სხვათა ტრადიციებზე აღზრდილმა სპორტსმენმა კიდევ ერთი უმაღლესი ტიტული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობა მოიპოვა და ვალმოხდელი ბრუნდება თბილისში.

გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 2 სექტემბერი,
1972 წელი.

„ღალოცვილი გზა“

წაგება და მოგება ძმები არიანო, - ამბობს ანდაზა. გამარჯვებულებს არ ასამართლებენო, - ამასაც ხშირად გაიგონებთ, მაგრამ გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც!

ჭიდაობისთვის გაჩენილი ჭაბუკი, რა თქმა უნდა, იმთავითვე ილტვოდა გამარჯვებისაკენ, მაგრამ მიზნისაკენ იგი მუდამ მხოლოდ პატიოსანი, რაინდული და ვაჟკაცური ბრძოლის გზით მიდიოდა.

... როცა წლეულს ზამთარში თბილისის სპორტის სასახლეში ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, დარბაზს ლევან თედიაშვილის ჭიდაობის სანახავად აწყდებოდა ხალხი. ეს ჩვეულებრივი ინტერესი როდი იყო: ეს გახლდათ აუდიტორიის შეხვედრა თავის საყვარელ მოჭიკვესთან, ნამდვილ ფალავანთან, ხომ იცით, რომ ყველა მოჭიდავე ფალავანი არ არის, თუნდაც მაღალი ტიტულები ჰქონდეს.

ლევან თედიაშვილმა სამართლიანად დაიმკვიდრა კარგი ფალავნის სახელი. ძალიან სასიხარულოა, როცა უცხოეთში საასპარეზოდ მიდის ეს ვაჟკაცი. ვიცით, გვასახელებს, გეჯერა, რომ ღირსეულად წარმოადგენს ქართველი საჭიდაო სკოლის საუკეთესო ტრადიციებს.

წაგება და მოგება ძმები არიან... აკი გაიმარჯვა ჯერ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში, მერე სოფიის მსოფლიო ჩემპიონატში... და უცებ, წარუმატებლობა მინსკში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში. რა მოხდა მერე? ის ხომ გამდვილი მოჭიდავეა, მოჭიდავის გზა კი ია-ვარდით როდია მოფენილი.

მინსკში დამარცხების მიუხედავად, ეს იშვიათი სპორტული ნიჭით დაჯილდოებული მოჭიდავე მაინც შეიყვანეს სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში და მიუნჰენის გზას გაუყენეს. ასეთია ღიდი სპორტსმენის ბედი.

და აი, 31 აგვისტოს მთელს სამყაროს მოედო მიუნჰენის ხალიჩაზე ქართველი ფალავნის ბრწყინვალე გამარჯვების ამბავი. ამ ცნობამ, ცხადია, განსაკუთრებული სიხარული საქართველოში გამოიწვია.

- ვინ არის თქვენი იდეალი ჭიდაობაში? - ჰკითხეს ერთხელ

ჟურნალისტებმა თედიაშვილს.

ლევანმა უყოყმანოდ უპასუხა, გურამ საღარაძეო და ამით გამოხატა თავისი სპორტული კრედოცა და სიმპათიაც ქართველი ჭიდაობის ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენლის მიმართ.

ახლა ალბათ ისიც დაგაინტერესებთ, რა შეხედულებებისაა საღარაძე თავის ახალგაზრდა კოლეგაზე.

- ლევანი ჭიდაობისთვისაა დაბადებული, როცა მის შეხვედრებს ვუყურებ, ვფიქრობ, ამ ბიჭს ნაკლს ვერ მოვუძებნი-მეთქი. მომადლებული აქვს დიდი ღონე, საოცარი სისწრაფე, პლასტიკურობა. ყოველივე ეს შერწყმულია გამბედაობასთან, ოღეთების მდიდარ არსენალთან, გამჭრიახობასთან, გამარჯვებისაკენ დაუცხრომელ ლტოლვასთან. კიდევ ერთი რამ, რაც ასევე მისაბაძია ახალგაზრდა თაობის სპორტსმენთათვის. თედიაშვილს ამპარტავნობისა და მედიდურობის ნატამალიც არა აქვს. ძალიან თავმდაბალი, მოკრძალებული კაცია.

ა. გოგელია
გაზეთი „ლელო“, 3 სექტემბერი, 1972 წელი.

„შალავანი“

1971 წელი. სოფია. მსოფლიო ჩემპიონატი ჭიდაობაში. ლევსკის სტადიონი მაყურებელს ვერ იტევს. გამოდიან ამერიკის, იაპონიის, გერმანიის და სხვა ქვეყნის უძლიერესი მოჭიდავეები.

სოფიაში ერთად ჩავიდნენ იური შახმურადოვი და ლევან თედიაშვილი. შახმურადოვი არ ჭიდაობს, ე.ი. გზა ხსნილია მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. შახმურადოვმა მეგობრებს ლევანი წარუდგინა - აი, ეს ჭაბუკი იჭიდავეებს ჩემს მაგივრადო. ირონიული გამოხედვა. წინასწარ ულოცავენ ერთმანეთს გამარჯვებას ამერიკელი, იაპონელი, გერმანელი ფალავნები.

სიხარული ნაადრევი გამოდგა. ხალიჩაზე ქართველი ჭაბუკი და ამერიკელი ფალავანი გამოიძეხეს.

- ჩვენებური ქართული სარმა და მეტოქე ხალიჩაზე ბეჭებით

აღმოჩნდა. წამოხტა და მსაჯთან მიიჭრა: ეს რა ილეთია, არ ითვლებათ. მსაჯმა მარჯვენა ხელი აღმართა და ანიშნა: დამშვიდდი, ყველაფერი რიგზეაო, მერე მე ამიწია მარჯვენა ხელი. - იგონებს ლევანი ამ ფაქტის შესახებ.

მოულოდნელმა გამარჯვებამ შეაფიქრია და დარბაზი. ლევანის გამარჯვება არ გააკვირვებია მხოლოდ მის მწვრთნელს ვახტანგ ბალავაძეს. ის სხვა შედეგს არ მოელოდა.

მსოფლიო ჩემპიონის ტიტული უნდა გამოევილინებია უკანასკნელ შეხვედრას გერმანელ შტოტმაისტერთან.

- სიმართლე გითხრათ, მეშინოდა, ვლელავდი. შტოტმაისტერი - ევროპის ჩემპიონი. ლევან, ხედავ როგორ უცინის სახე, შენ რაღა დაგემართა, გამაგრდი - ვეუბნები ჩემს თავს. უნებურად თვალი დარბაზს მოვაგლე. ვხედავ ბალავაძის ანთებულ თვალებს - ლევან, უნდა გაიმარჯვო, უნდა გაიმარჯვო, - მეუბნებოდნენ ისინი.

- მაშ კარგი, ლაიფციგში ხომ... და უნებურად 1970 წელი გამახსენდა. შტოტმაისტერს იქ შევხვდი პირველად. მეგონა, დავჯაბნე, ქულაც ჩემი იყო. მსაჯმა კი... რატომღაც მას აუწია ხელი...

ეს მწარე მოგონება იყო. შტოტმაისტერი ჯიქურ წამოვიდა და დამეძგერა.

- ვაიმე, ბიძია ლევან! - ეს ხმა ყურმა კი არა, გულმა გაიგო. უცებ თვალწინ წარმომიდგა პირველ რიგში ჩამომსხდარი ბავშვები, ქართველი ფეხბურთელები, შეშინებული თვალებით რომ მიყურებდნენ. მე ხომ მათ შევპირდი... თქვენ ფეხბურთი მოიგეთ, მე ამათ ეუჩვენებ... ახლა კი... გამაგრდი ლევან... მეტი არაფერი მახსოვს, ფეხებზე, ხელებზე მეკიდებიან პატარები, ტანზე მეპოტინებიან და მკოცნიან. უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი. *

- მისი ბიოგრაფია კი ძალიან უბრალოა. 1948 წლის 15 მარტს დაიბადა საგარეჯოში. იზრდებოდა ისე, როგორც სხვა მისი თანატოლები, ზოგჯერ აცდენდა გაკვეთიებს, იპარავდა მეზობლის ვაშლებს და ყურძენს. ბავშვობა ჩვეულებრივი იყო... წამოიზარდა. გაკვეთილიდან გაპარულს მასწავლებლები საჭიდაო დარბაზში ნახულობდნენ. ჩაცუცქდებოდა არსენ მეკოკიშვილის წინ და

თვალეში შესცივინებდა.

- მე მიყვარს ჭიდაობა, მთელი არსებით მიყვარს. საჭიდაო მუსიკის ხმას რომ გავიგებდი, მთელი სხეული ამითამაშდებოდა, ახლაც ასე ვარ. სხვანაირად არ შეიძლება, არ შეიძლება არსენ მეკოკიშვილის თანამემამულეს ჭიდაობა არ მიყვარდეს. 14 წლისა ვიყავი ნინოწმინდის ეკლესიის ეზოში ვიღაც კაცი გამომიყვანეს, ჯერ შემეშინდა, უარი ვთქვი, ამხელა კაცს როგორ დავეჭიდო-მეთქი გეშიაო? მითხრეს, ბავშობიდან უნიაანი ვარ. ბევრ შემთხვევაში ალბათ ეს მშველის, არავის შევარჩენ ჩემთან მეტოქეობას. კისრულით წამოვიღე ეს კაცი და დავაწვინე, ხელი ამოვუგდე, საცემრად გამომეკიდნენ, გავიქეცი.

მიდიოდა დრო და იზრდებოდა ლევანი. სპორტული ნადავლი საკმაოდ დააგროვა. საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონი ქართულ, თავისუფალ და სამბოს სტილით ჭიდაობაში. „ოლიმპიური იმედის“ ორგზის ჩემპიონი; თბილისის საერთაშორისო ტურნირის ორგზის გამარჯვებული; სსრ კავშირის ჩემპიონი; გამარჯვება მეხუთე საკავშირო სპარტაკიადაზე და ბოლოს მსოფლიო ჩემპიონი... დიახ, 23 წლის ჭაბუკი მსოფლიოს ჩემპიონია. 18 წლის ლევანი ხომ უკვე სსრ კავშირის ნაკრების წევრი იყო.

ლევანი ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტია.

ყოველთვის სიყვარულით იგონებს ლევანი თავის პირველ მწვრთნელს, ვლადიმერ მეკოკიშვილს, შემდეგ კი...

1966 წელს კაკაბეთში საჭიდაო არენა გაიხსნა. სოფლად ასეთი არენა არ იყო ხშირი მოვლენა. ტელევიზორიდან ოპერატორები ჩამოვიდნენ გადასაღებად. მათ ვახტანგ ბალავაძე ჩამოყვათ. ჭიდაობა დამთავრდა... ვახტანგმა თან წამოიყვანა. აქედან იწყება ჩემი, როგორც მოჭიდავის ნათლობა. ბევრს ვვარჯიშობდი, თითქოს მივალწიე კიდევ მიზანს, მაგრამ არა, იური შახმურადოვი ვერა და ვერ დავამარცხე. სპარტაკიადამდე რამდენიმე შეჯიბრება მოვიგე. დარჩენილი იყო მხოლოდ ერთი, იური შახმურადოვი. მე არ მეშინოდა შახმურადოვისა, ეს რკინის კაცი ჩემი იდეალი იყო. ვერც კი წარმომედგინა მე მის დამარცხებას თუ შევძლებდი. ერთგვარ მოკრძალებასაც

განვიცდიდი, როგორც იდეალისადმი, კაცს, რომელსაც ჭიდაობის ყველა საიდუმლო იცის, მე დაეუპირისპირე ვახტანგ ბალავაძისაგან გადმოცემული დიდი შრომისმრყვარეობა და გამოცდილება. სირცხვილიც იყო, ასეთი მასწავლებლის შერცხვენა, მან ხომ ბევრი რამ გამანდო თავისი უმდიდრესი საჭიდაო საიდუმლოებიდან... და მე ვამარცხებ რკინის კაცს. გზა გამეხსნა მსოფლიო პირველობისაკენ. შემდეგ კი, რაც მოხდა, თქვენც კარგად იცით...

ვიცით, ლევან, შენმა თანამედროვეებმა კი არა, საბჭოთა კავშირმა, მთელმა მსოფლიომ გაიგო შენი სახელი, მათ ახსოვთ შენი გამარჯვება და არც დაავიწყდებათ...

1972 წლის 4-ნ თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში ლევანი ვახტანგ ბალავაძის სახელობის პრიზზე ჭიდაობდა და არც ახლა შეურცხვენია უფროსი მასწავლებელი.

პირველად ბულგარეთის აღიარებულ ათლეტს ისმაილ ადილოვს შეხვდა. და როგორც გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „მოხდა ისე, რომ დასაწყისში ბულგარელმა ქულაც კი დამსახურა, მაგრამ ეს საბაბი გახდა იმისა, რომ ლევანს სასტიკად დაესაჯა ასეთი „კადნიერებისათვის“ მეტოქე და უკვე 2 წუთსა და 40 წამისთვის ადილოვი გაკრული იყო ბეჭებით ხალიჩაზე“. შტოტმაისტერი? მან ავადმყოფობა მოიმიზეზა და საჭიდაოდ არ გამოვიდა. პირველი ადგილი ლევან თედიაშვილს მიეკუთვნა.

წინ არის მომავალი შეხვედრები. მაისში მინსკში გაემგზავრა საკავშირო პირველობაზე აგვისტოში კი ოლიმპიური თამაშებში მიუნჰენში.

ჩვენ გვჯერა, ლევან, შენი, რომ ახალი დიდებით შემოსავ ქართველ ფალავანთა სახელს.

ჩვენი ჟურნალი არც კი იყო გამოსული, რომ იძულებული გაგხდით გარკვეული კორექტურა შეგვეტანა ჩვენს მასალაში.

ქართველი გულშემატკივრები მათი ფალავანის კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვების მოწმენი გახდნენ. აშშ-დან სასიხარულო ცნობები ერთმანეთს ზედიზედ მოჰყვა შერკინებდან - სამი გამარჯვება.

ეკა გოგელია.
გაზეთი „ახალგაზრდა ჟურნალისტი“, სექტემბერი, 1972 წელი.

„მრავალს დაესწარიო!“

ლევანი

ახალი წელიწადი სადაც არის შემოაბიჯებს.

მე თქვენზე უნდა დაეწერო, შენი და ნანას ერთად ყოფნის პირველ ახალ წელიწადზე. გუშინ სახლში არ დამხვდით მითხრეს, ჯერ არ ჩამოსულანო. თქვენი ნახვა მინდოდა, თორემ ისედაც კარგად ვიცნობთ ერთმანეთს.

მაშინ მოლექული ცისფერთვალემა ბიჭი იყავი, მაგრამ მკვირცხლი, ხელლონიერი. საგარეჯოში ყველა ჭიდაობდა და შენც ფალავნობაზე დებდი თავს. კარგადაც გამოგდიოდა. ქომაგიც ბევრი გყავდა. იზრდებოდი. ჭიდაობას სრულყოფდი. ასპარეზობის მასშტაბებიც გეზრდებოდა... შარშანწინ საბჭოთა კავშირის ჩემპიონად დაგვიბრუნდი.

მანამდე კი...

- „შახისა“ ხომ არ გეშინია, ლევან? მართლა ეგრე ძლიერია? აბა, უიღბლო ყოფილხარ, ძმავ!

ამბობდი: იური შახმურადოვი პლანეტაზე უძლიერესი მოჭიდავეაო თავის წონაში, მაგრამ არ მეშინიაო. პირიქით: იღბლიანი ვარო, შახმურადოვის მძლეველი მსოფლიოს ჩემპიონიც გახდებო.

იმედი გქონდა სხვათა ძლევისა, იმედს გარჯასაც აშველებდი. სხვებმა იქნებ არც იციან, მე კი ვიცი, როგორც ვარჯიშობდი.

რამდენჯერ დამინახიხარ ზამთრის სისხამზე, როცა ყინვა ხესა და ქვას ხეთქავდა სათავისაკენ, გარბოდი და რიყეზე თოვლის კორიანტელს აყენებდი, ზურგზე იმოდენა გოდორს წამოიკიდებდი ხოლმე, აღარ ჩანდი. მერე იმ გოდორს ხმელი შეშით ავსებდი და დინჯად მოაბიჯებდი შინისკენ.

თბილისში ხუთი-ექვსი საათი ლეიბზე ღვრიდი ოფლს. შენთან ერთად იწურებოდა ვახტანგ ბალავაძეც, გუშინდელი ცნობილი ფალავანი, ჭიდაობის პროფესორად წოდებული, რომელიც შენ გადმოგცემდა თავის ცოდნასა და გამოცდილებას. გულში დიდ იმედებს გისახავდა და თვითონაც იიმედებოდი როგორც ღირსეული მემკვიდრე.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის დაკარგვამ შახმურადოვი

ვერ შეაშინა. საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადაზე შეეჯახეთ ერთმანეთს, მსაჯმა კვლავ შენი მარჯვენა ასწია.

მსოფლიო პირველობაზე ოთხი ფალავანი წამებში მიაღლაგ-მოალაგე. დანარჩენებსაც ადვილად გაუსწორდი და... საქართველოს ახალი მსოფლიოს ჩემპიონი შეემატა.

შახმურადოვიდან დავა კი ვერ გადაწყდა.

საბჭოთა კავშირის წლევანდელ ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებს ქვემძიმე წონის მოჭიდავე სჭირდებოდა. წონაში მოიმატე. მაგრამ გუნდის ინტერესებისათვის სამიოდე დღეში თითქმის ათი კილოგრამის დაკლება დაგჭირდა. კვლავ შენს წონაში გამოდიოდი, მაგრამ სისუსტეს გრძნობდი და ამან დაგაფიქრა.

- ბარდანასავით დაგახეთქებენ, - ჯავრობდა მამაშენი.

როგორ დაგასუსტეს, სულ ნუ იჭიდავებ! დარლობდა დედაშენი.

ბარდანასავით როგორ დაგახეთქებდნენ, მაგრამ შახმურადოვმა გძლია.

კარგახანს აღარ ჩამოდიოდი საქართველოში.

ეწუხდით. პირველი ფალავანი რომ იყავი, გეჯეროდა, მაგრამ მიუნხენის ოლიმპიურ ასპარეზობაზე შახმურადოვი მიდიოდა. შენ კი ოცნებობდი...

მერე ჩამოხვედი. - როგორა ხარ? - გკითხე და იცოდი, რასაც გეკითხებოდი. მიუნხენში მივედივარო, მიპასუხე.

- როცა შახმურადოვთან წავაგე, ვიფიქრე, ყველაფერი დამთავრდა -მეთქი, - გააგრძელე ცოტა ხნის შემდეგ. - ვახტანგ ბალავაძემ მანუგეშა. ისევ ის ლევანი ხარო., მითხრა, მერწმუნე, ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულაო. ცოტა გული მომიბრუნდა და ვარჯიში დავიწყე, ძველი ფორმა აღვიდგინე და მით უფრო გულდასაწყვეტი იყო, რომ მიურხენში ვერ მივედიოდი. არადა, უჩვეულო ძალას ვგრძნობდი. ათჯერ შეეხვდები შახმურადოვს, ერთხელაც რომ მომიგოს, დაე, ის წავიდეს ოლიმპიურ ასპარეზობაზე, წამომცდა წამომცდა დაჯავრიანებულს.

ჩემმა სიტყვებმა იარა, იარა და მწვრთნელებმა ისევ დამაყენეს შახმურადოვის პირისპირ. არ ვიცი, იცოდა თუ არა იურამ ჩემი ნათქვამი, მაგრამ ხომ გჯერა, უამისოდაც ვეფხვივით იჭიდავებდა.

მართლა ათჯერ შეგახვედრეს მეტოქეს. შენ გაიმარჯვე მეცხრედ და მეთუდაც. შენი სიტყვა ვაჟკაცურად შეასრულე და ყველაფერი დღესავით ნათელი გახდა.

იური შახმურადოვმა კი სამუდამოდ დაყარა ფარ-ხმალი და ჭიდაობას გამოეთხოვა - საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაციისგანაო...

ოლიმპიური ჩემპიონიც გახდი.

ხედავ? სამი სიტყვა ძლიერ გამოვიტანე შენთვის იმ მეტად მნიშვნელოვან გამარჯვებაზე. იქნებ იმიტომაც, რომ ერთი შენეული გამარჯვება მომწონს ყველაზე მეტად.

ირანი დიდი სპორტული ზეიმისათვის ემზადებოდა. იქ სპორტის თავი და თავი ჭიდაობაა.

ირანის შაჰის პრიზის გათამაშების ტრადიციულ მსოფლიოს უძლიერესმა მოჭიდავეებმა მოიყარეთ თავი.

პრიზის გათამაშება ვეებერთელა სტადიონზე, ღია ცის ქვეშ გაიმართა. მოედანზე ნემსი არსად ჩაეტეოდა. შაჰიც რა თქმა უნდა, მეუღლით მობრძანდა, ასპარეზობის მონაწილეებს ღიმილით მიესალმა. იქვე, ახლოს იჯდა შაჰის საყვარელი ფალავანი, ბედმა სწორედ მასთან შეგახვედრა.

სტადიონი გათანგულიყო. ვინ იცის, რა დღეში იყავი...

მეტოქეც ღირსეული შეგხვდა, ვერაფერს დაუწუნებდი... მაინც დაჯაბნე. გეგონა, წმინდად მოიგე, მაგრამ მსაჯმა ისევ საჭიდაოდ მოგიხმო.

ირანელთა კერპს თვალებში რომ შეხედე, შიშის ნატამალიც ვერ ამოიკითხე, რადგან, მისთვის სიკვდილის ფასად ჩანდა დამარცხება.

მაგრამ შენც ძალზე გწყუროდა გამარჯვება... ირანის შაჰის ფერხით მისი საყვარელი ფალავანი ბეჭებზე ეგდო... გულშემატკივრები კვლავ ფეხზე იდგნენ, ხმას არ იღებდნენ. მაშინ თურმე შაჰმა მიგიხმო და ძვირფასი ბეჭედი გაჩუქა.

ჯილდომ გაგახარა - ბეჭედი მოგეწონა და ჩაუთქვი - ნანას მივართმევო.

ეს ბეჭედი ახლა ნანას უკეთია მარჯვენა ხელზე.

თქვენი ქორწილი სულ ეხლახან იყო. ძველებური ქართული

ქორწილი, მაყრად ცნობილი ქართველი ფალაენებიც მოგყვნენ. საბჭოთა კავშირის, მსოფლიოს, ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონები და პრიზიორები.

ყვაველებით დახუნძლული ეტლით წამოხვედით ქორწინების სასახლიდან. საგარეჯოში, მშობლიურ ჭიშკართან შენ და ნანამ ბედნიერი ღიმილით გაიარეთ გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ. ტრადიციისამებრ პატარძალი ხელში აიყვანილი შეიყვანე სახლში.

ნამდვილი ქართული ქორწილი გქონდათ. ყველა ვხარობდით თქვენი სიხარულით, გამზრდელმა ვახტანგ ბალავაძემ არც აქ მოგაკლო ზრუნვა. დიდი სუფრის გაძლოლა თვითონ იკისრა, მოილხინა და ხალხიც მოალხინა.

ნანა მჭედლიშვილი შენს ოჯახში შემოვიდა და ესეც კარგი გამარჯვებაა, ჩემო ლევან!

თქვენი ბედნიერების ხანა დაიწყო. წინ დიდი საქმეები გელით შენ, როგორც სახელმოსხვეჭილ ფალაენსა და მომავალ იურისტს, ნანას, როგორც მომავალ ექიმს.

- 1972 წელი თქვენი გაბედნიერების წელიწადი იყო, კარზე მომდგარი 1973 - თქვენი ერთად ყოფნის პირველი ბედნიერი ახალი წელიწადი იქნება.

მრავალს დაესწართ ლევან და ნანა!

არა მგონია, მკითხველმა იკითხოს რომელ ლევანზეა აქ ლაპარაკიო, განა შახმურადოვი თედიაშვილის გარდა დაუმარცხებია ვინმეს?

ლაშა გარეჯელი
გაზეთი „სამშობლო“, 27 დეკემბერი, 1972 წელი.

ჩვენ ერთმანეთის მემკვიდრეები ვართ

მუდამ შეამაყება, როცა ჭიდაობის მანერით ფალავანთა ქართულ სკოლას მიმაკუთვნებენ. ეს არცაა გასაკვირი. თქვენს სკოლას პატივს სცემენ და სამაგალითოდ მიიჩნევენ მთელს მსოფლიოში. სხვას ვისა ჰყავს კარტოზია, ბალავაძე, რურუა, რუბაშვილი... დიახ, ჩემთვის საამაყოა ისიც, რომ სპორტულ სარბიელზე შესანიშნავი ქართველი მოჭიდავე გურამ საღარაძე შეეცვალა. მე მგონია, გურამი ვერ დამემდურება, მე შეძლებისდაგვარად გავაგრძელებ მის მიერ გაკაფული გზა.

ამბობენ, ისტორია მეორდებაო. და აი, 1971 წელს ლევან თედიაშვილმა დაიკავა საბჭოთა ქვეყნის ნაკრებში ჩემი ადგილი. არასოდეს დამავიწყდება ჩემი და ლევანის შეხვედრა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში. მაშინ ლევანმა იმარჯვა და ეს გამარჯვება პირველმა მე მიუფლოცე, რადგან ღირსი იყო ამისა. ღმერთმანი, იქროსავით ბიჭმა შემეცვალა.

სულითა და გულით ვამხნევებდი ლევანს 1971 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, მეგობრულად ვარიგებდი. რაც უნდა იყოს, ლევანი ახალბედა გახლდათ მსოფლიო სარბიელისათვის. მე მისთვის უფროსი მეგობარი ვარ, ის კი, ნუ ეწყინება ლევანს, ჩემი „სპორტული მემკვიდრეა“. განა არ მეორდება ჩემი და გურამ საღარაძის უწინდელი ურთიერთობა? ასევე მამხნევებდა საღარაძე, ასევე ზრუნავდა ჩემი შემდგომი დაოსტატებისათვის. ამას ჰქვია ძმობა და მეგობრობა!

მერწმუნეთ, ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა ლევანის წარმატება მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებში. ალბათ გამიგებთ, მე და გურამმა ვერ შევძელით მიგვეღწია ყველა სპორტსმენისათვის სანუკვარი მიზნისათვის - ოლიმპიური ჩემპიონობისათვის, ლევან თედიაშვილმა კი შეძლო. ორმაგად სასიხარულოა-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ, როგორც უკვე ვთქვი, ლევანი გურამისა და ჩემი მემკვიდრეა.

*ი. შახმურადოვი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი,
ევროპისა და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი.
გაზეთი „ლელო“, 30 დეკემბერი, 1972 წელი.*

„ჩემპიონი ჩემპიონობს“

ლევან თედიაშვილის ოქროს მედალი

კრასნოიარსკში რამდენიმე დღეს მომდინარეობდა სსრ კავშირის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის 200-მდე უძლიერესი ფალავანი.

წარმატებით იასპარეზა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, თბილისელმა ლევან თედიაშვილმა, რომელმაც თავის ტიტულებს საბჭოთა კავშირის 1973 წლის ჩემპიონის საპატიო წოდებაც მიუმატა.

გაზეთი „კომუნისტი“ 22 ივნისი, 1973წ.

„კრასნოიარსკის ხალიჩაზე“

სამ დღეს მიმდინარეობდა სსრ კავშირის 1973 წლის საუწყებო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ჩემპიონის ოქროს მედლებისათვის იბრძოდა 200-მდე უძლიერესი ფალავანი.

საქართველოს წარმომადგენელთაგან განსაკუთრებით კარგად იასპარეზა მსოფლიოსა და მიუნხენის XX ოლიმპიადის ჩემპიონმა, სპორტისდამსახურებულმა ოსტატმა, თბილისელმა ლევან თედიაშვილმა („განთიადი“), რომელმაც ფინალში მოუგო ალმა-ათელ პ.სურიკოვს და მკერდი ოქროს მედლით დაიმშვენა.

გაზეთი „თბილისი“ 23 ივნისი, 1973წ.

თეირანში, „ფარახის“ სტადიონზე, თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ესტაფეტა „კლასიკოსებსა“ და სამბისტებს გადასცეს. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი ერთბაშად ოთხ ხალიჩაზე ასპარეზობენ.

90კგ წონითს კატეგორიაში საბჭოთა ნაკრების წევრი გ.რუხლიაძევი მოულოდნელად ავად გახდა. სანამ საგონებელში ჩავარდნილი მწვრთნელები გამოსავალს ეძებდნენ, ვიღაცას გაახსენდა, რომ ლევან თედიაშვილი ერთ დროს სამბოთი იყო

გატაცებული და წარმატებითაც გამოდიოდა საკავშირო ტურნირებში. გადაწყვეტილება ხელათ მომწიფდა; თედიაშვილი სამშობლოსკენ მიმავალ თავისცუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდს გამოაკლდა და სასწრაფოდ სამბისტთა კოლექტივში ჩაირიცხა.

როდესაც თედიაშვილი პირველად გამოჩნდა სარბიელზე, დარბაზში ტაშმა იქუხა. თეირანის სპორტის მოყვარულებმა იცნეს მსოფლიო ჩემპიონი. თედიაშვილმა აუღელვებლად ჩაატარა პირველი ბრძოლა და წმინდა გამარჯვებას მიაღწია. ამის შემდეგ იგი კიდევ ორჯერ გამოვიდა სარბიელზე და ორივეჯერ შეხვედრა დროზე ადრე მოიგო. მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში სამბისტთა ტურნირის ლიდერი და მთავარი ფავორიტი გახდა.

გაზეთი „ლელო“ 15 სექტემბერი, 1973წ.

“... А ФУТБОЛ - НА ДЕСЕРТ”

Борьцы вольного стиля играли в футбол. “Мухачи” демонстрировали заливчатские фанты, тяжеловесы являли собой нападающих таранного стиля. Встреча на спортивной базе под Подольском, где готовятся к Универсиаде, проходила по системе “1+10”.

В перерыве наш корреспондент взял интервью у тренера студенческой сборной, заслуженного тренера РСФСР Николая Абубекирова, и капитана - чемпиона мира и Олимпийский игр Левана Тедиашвили.

Еще в конце прошлого года по результатам Всесоюзных студенческих игр мы отобрали кандидатов с сборную, - сказал тренер. - За прошедшее время многие из них хорошо выступили в крупных соревнованиях, в том числе в чемпионате Европы. Надавно закончилось первенство страны, и ребята еще не успели “отойти”, нужно восстанавливаться. Как? Ну на тренировках мы разучиваем новые приемы это интересно... Ходим по грибы...

Навешаем ребят в соседнем пионерлагере... А футболу в нашем "тенировочном меню" отводится роль лакомого десерта... Кто выступит на Универсиаде? Наверняка могут назвать Ивана Ярыгина, Левана Тедиашвили, Нодара Модебадзе.

В разговор вступает капитан команды. Леван закончил институт физкультуры и сейчас учится на втором курсе юридического факультета Тбилисского университета. Почему такая смена амплуа?

- Не хочу быть тренером. Потому что не могу. Я когда смотрю схватки товарищей на крупных соревнованиях, теряю в весе килограмма по два. И если бы я стал тренером, и если бы мой ученик проиграл у меня бы был инфаркт.

- Леван, а почему юриспруденция?

- Наверное, во всем виноват Шерлок Холмс. И ведь знаешь, что многие из его дел Конан Дойль придумал, а все равно увлекательно. А борьба, знаете, тоже психология: выходишь на ковер и гадаешь - что там у соперника в голове, какие варианты?..

- Ну, а какие планы на Универсиаду?

- Очень хочется сделать подарок университету, хороший такой подарок. Медаль.

И он пошел играть в футбол - на десерт.

Репортаж с тренировки вел В. Леонов.

П. Кондратович из Иркутска:

- Ваше представление о мужестве?

- Наверное, не случайно у слов "мужество" и "мужчина" одинаковый - значит всегда оставаться мужчиной и, невзирая ни на какие обстоятельства, прийти на помощь слабому.

- Что вы больше всего цените в людях?

- Честность, откровенность, душевность, верность.

- Какой борьбой вы начали заниматься раньше?

- Грузинский национальный борьбой "чидаоба".

- Самое большое событие в этом году?

- Оно случилось у меня только что, родился сын.

Газета "Советский спорт", 19 июля, 1973 года.

„ლევან თედიაშვილი - ჩემპიონი“

ფიზკულტურის ინსტიტუტის სასპორტო დარბაზში დღეს სრულდება უნივერსიადის პროგრამაში შემავალი პირად-გუნდური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. გუშინ გამოვლინდა ჩემპიონი 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში. ასპარეზობის დამთავრებამდე 1 დღით ადრე პირველი ადგილი გაინაღდა თბილისელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლევან თედიაშვილმა, რომელმაც დაამარცხა ბულგარელი სტროიჩევი. ამრიგად, ლ.თედიაშვილმა სსრ კავშირის, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ასპარეზობათა ოქროს მედლებს უნივერსიადის ჩემპიონის საპატიო წოდებაც მიუმატა. ამ შეჯიბრების შემდეგ ქართველი ფალავანი თბილისში ჩამოვა და მზადებას შეუდგება მსოფლიოს პირად-გუნდური ჩემპიონატისათვის, რომელიც 5 სექტემბერს აიღნებს სტარტს ირანის დედაქალაქში.

გაზეთი „თბილისი“ 24 აგვისტო, 1973წ.

„სახქოთა ფალავნების ტრიუმფი“

ლ.თედიაშვილი - მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი

ქართველი ფალავნის, თბილისელი ლევან თედიაშვილის უპირატესობა თავის მეტოქეებზე თეირანის საჭიდავო ხალიჩაზე იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ ისინი ორთაბრძოლის დაწყებისთანავე მეტწილად დაცვაზე ფიქრობდნენ. მსაჯები გამარჯვების ნიშნად ყოველთვის თედიაშვილის ხელს წევდნენ მაღლა...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, სპორტსაზოგადოება „განთიადის“ წევრი, სსრ კავშირის და მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, 25 წლის ლევან თედიაშვილი (მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ე.ბალავაძე) მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გახდა. გილოცავთ დიდ წარმატებას, ლევან!

გაზეთი „კომუნისტი“ 11 სექტემბერი, 1973წ.

„სამბოზის“

ლევან თედიაშვილმა მსოფლიოს ჩემპიონის მესამე ოქროს მედალი მოიპოვა საბჭოთა მოჭიდავეების კიდევ ერთი დიდი გამარჯვება.

სასიხარულო ცნობა მოვიდა თეირანიდან. ირანის დედაქალაქის „ფარახის“ საჭიდაო ხალიჩაზე სამბისტთა ტურნირზე ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა, მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლევან თედიაშვილმა (სპორტსაზოგადოება „განთიადი“). მან კელავ მოიპოვა ოქროს მედალი. ამიერიდან 25 წლის ქართველი ფალავანი მსოფლიოს ჩემპიონის სახელს ატარებს სამბოში და ორგზის ჩემპიონისას - თავისუფალ ჭიდაობაში.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ დიდ გამარჯვებას ლევან თედიაშვილს და მის სწერთნელს - სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვახტანგ ბალავაძეს.

გაზეთი „კომუნისტი“ 14 სექტემბერი, 1973წ.

ირანის დედაქალაქი ამ დღეებში მართლაც რომ ჭიდაობით ცოცხლობს - „ფარახის“ საჭიდაო ხალიჩებზე ახლა ერთდროულად „ორი დარგის“ ფალავნები ასპარეზობენ - კლასიკური სტილისა და სამბოსი.

ამ უკანასკნელებს სპორტის ისტორიაში პირველად აქვთ მსოფლიოს ჩემპიონატი. რომელმაც 12 ქვეყნის 69 ათლეტი მიიზიდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სამბისტების ტურნირზე ყველაზე პოპულარულია... ლევან თედიაშვილი. საქმე ის არის, რომ ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თეირანში სამბოშიც გამოდის. მან საბჭოთა გუნდში შეცვალა აჟად გამხდარი ვ.რუხლიაძევი. სხვათაშორის, თედიაშვილისათვის სამბო მაინცდამაინც უჩვეულო ამბავი არ არას - იგი თავის დროზე ჭიდაობის ამ სახეობაში საკავშირო ჩემპიონი იყო ჭაბუკთა შორის.

თბილისელი ფალავნის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან პირველსავე შეხვედრაში მოიპოვა წმინდა გამარჯვება ამერიკელ ბაგმანთან. ამის შემდეგ ლ.თედიაშვილმა კიდევ ორი შეხვედრა მოიგო და სერიოზული განაცხადი გააკეთა მეორე მედლის მოპოვებისათვის.

გაზეთი „თბილისი“ 14 სექტემბერი, 1973წ.

„სპორტული გეირობა“

ჭიდაობის ციებ-ცხელებას მოეცვა ტოლიდო. საასპარეზო ვრცელია, მაყურებელთა დარბაზი ფართო, მაგრამ საკუთარი თვალით (რა თქმა უნდა, ტელევიზია გადასცემს) გოლიათთა ნახვის მსურველი იმდენია, ზედ ხალიჩის კიდესთან თავდება მაყურებელთა ცოცხალი კედელი.

ტოლიდო ამერიკული სპორტის ორი ვარსკვლავის - ძმები პეტერსონების სამშობლოა. უფროსმა პეტერსონმა ვახტანგ ბალავაძის მემორიალში, რომელიც გაზაფხულზე თბილისში გაიმართა, ადვილად მიაღწია გამარჯვებულის კვარცხლბეკს. ქვემძიმე წონაში ვერც საბჭოთა ფალავნებმა, ვერც საზღვარგარეთელმა მოჭიდავეებმა ვერ გაუწიეს ამერიკელს წინააღმდეგობა.

უმცროსი პეტერსონისათვის კი წლების მანძილზე პირველობის გზაზე გადაულახავ ზღუდედ იდგა ლევან თედიაშვილი.

ლევანი ვ.ბალავაძის მემორიალში არ მონაწილეობდა, ოლიმპიური თამაშების შემდეგ მან 15 კილოგრამი მოიმატა და მწვრთნელებმა ვერ გასწიეს რისკი - გამოეყვანათ იგი მაღალ წონით კატეგორიაში. სწორედ მაშინ იამრჯვა უფროსმა პეტერსონმა თბილისში. და როცა მსოფლიო თასისათვის ამერიკაში გაემგზავრა საბჭოთა გუნდი, არჩევანი თედიაშვილზე შეჩერდა, ის თუ შესძლებდა ოლიმპიური ჩემპიონის გამკლავებას.

და აი, ჭიდაობის ციებ-ცხელებას მოეცვა ტოლიდო.

ამერიკელ და საბჭოთა მოჭიდავეთა შეხვედრა ამაღელვებელი და დაძაბული გამოდგა. ვისკენ გადაიხრება გამარჯვების

სასწორი?

ხალიჩაზეა მასპინძელთა კერპი პეტერსონი. იგი ლევან თედიაშვილს ერკინება. ამერიკელის მხარეზე განსაკუთრებული ფორაა - ლევანი მისთვის უჩვეულო წონაში გამოდის, ამასთანავე, მას შინ კედლებიც ეხმარებიან...

ლევანმა გაიმარჯვა. საბჭოთა გუნდმა ერთი ქულით სძლია (5:4) მასპინძელს.

ასე დაიმკვიდრა ახალი ადგილი ლევან თედიაშვილმა საბჭოთა ნაკრებში. მაგრამ მას უნდა დაემტკიცებინა თავისი უძლეველობა საკავშირო ასპარეზობაში. ლევანმა ეს ზღუდეც ბრწყინვალედ განვლო. მას კრასნოიარსკში არც ერთი საჯარიმო ქულა არ მიუღია, ისე გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

როცა ნაკრების მწვრთნელმა შახმურადოვმა მსოფლიო პირველობისათვის გუნდის მომზადება დაიწყო, ლ. თედიაშვილს ურჩია უნივერსიადაში მონაწილეობისაგან თავი შეეკავებინა. მაგრამ ლევანმა მაინც იასპარეზა მოსკოვში და საკავშირო თუ საზღვარგარეთული პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში საგანგებოდ აღნიშნა, მას, როგორც თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს, ეამაყება უნივერსიადაზე დაიცვას თავისი სასწავლებლის ღირსება.

შემდეგ თეირანი.

მსოფლიოს მოჭიდავეთა დიდი ფორუმი, აქ ორი კვირის განმავლობაში ერთმანეთს ერკინებოდნენ თავისუფალი და კლასიკური სტილით მოჭიდავენი, სამბისტები.

ის დღეები დაუვიწყარი იქნება ლევანის სპორტულ კარიერაში. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ასპარეზობის ყველაზე პოპულარული მონაწილე სწორედ ქართველი ფალავანი იყო. ხოლო რაც შემდეგ მოხდა, იშვიათია სპორტულ სამყაროში...

თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ასპარეზობა დაამთავრეს, მათ ბანკეტი გაუმართა გუბერნატორმა. ბრძოლაგადახდილმა ფალავნებმა, რომლებიც გუშინ მკლავის ძალას ცდიდნენ, დღეს თავს ნება მისცეს ჭიქა ღვინო გაესინჯათ, ხოლო სამბისტები სახვალოდ ემზადებოდნენ.

ამიტომ ყველას გაუკვირდა ბანკეტზე სამბისტთა მწვრთნელის ლენცის გამოჩენა. იგი მცირე ხანს ესაუბრა ლევანის მწვრთნელს

ვახტანგ ბალაყაძეს და შემდეგ ორივემ თედიაშვილს მიმართა: ხვალ სამბისტის ჩოხა უნდა ჩაიცვა, მოულოდნელად ავად გამხდარი მოჭიდავე უნდა შეცვალო.

- პირველად ხუმრობა მეგონა, - იხსენებს ახლა ლევანი, ხოლო, როცა დავრწმუნდი. მეგობრებს დახმარება სჭირდებოდათ, სიამოვნებით დავთანხმდი. მე ხომ წინათ ქართულს ვჭიდაობდი, მაგრამ ეს იყო ძალიან ადრე, ყმაწვილობისას, ახლა როცა სამბისტის ჩოხა მომარგეს, აღმოჩნდა, რომ ღილების შეკვრაც კი დამვიწყებოდა. განვმარტოვდებოდი ხოლმე თეირანის ცხელ დამეებში და ვიხსენებდი ილეთებს...

ლევან თედიაშვილმა სამბისტთა პირველობაშიც ტოლი არავის დაუდო და სულ რაღაც 10 დღეში ორჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

- ვფიქრობდი თუ არა ჩემპიონობაზე სამბოში? შეჯიბრების წინ საერთოდ, არ ვფიქრობ ხოლმე ჩემპიონობაზე, - განაგრძობს ლევან თედიაშვილი, - მე მთელი არსებით მიყვარს და მიტაცებს ჭიდაობა, თავდაუზოგავად ვებმები ბრძოლაში.

მოჭიდავეებს შესვენების დრო დაუდგათ. ლევანს ახლა ყოველდღე შეხვდებით უნივერსიტეტში. იგი მართსმაჯულების შესახებ ლექციებს ისმენს და არანაკლები სიბეჯითით იღწვის მეცნიერების საფუძვლების დასაუფლებლად.

გ. შეყილაძე

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ 12 იქტომბერი 1973წ.

“ВЕЛИКОЛЕПНАЯ ПОБЕДА НА ФИНИШЕ”

В весе до 82 кг команду представлял воспитанник тренера В. Балавадзе Леван Тедиашвили талантливый, трудолюбивый спортсмен, фанатически преданный борьбе. Он стремился участвовать в соревнованиях любого масштаба, и мастерство его прогрессирует от соревнования к соревнованию.

И.И. Алиханов.

Журнал “Спортивная борьба”, ежегодник, Москва, 1973 года.

„ქართული ფალანხის ოქროს დუბლი“

1948 წელს როცა საგარეჯოელ თედიაშვილს ვაჟიშვილი შეეძინა, მამამ გადაწყვიტა რომ პატარა ლევანი აუცილებლად მოჭიდავე უნდა გამოსულიყო. ეს გადაწყვეტილება შემთხვევითი არაა. მდიდარი სპორტული ტრადიციების მქონე საგარეჯოში ჭიდაობა სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა, განსაკუთრებით - ქართული ჭიდაობა. ცნობილმა საგარეჯოელებმა მისა ქურხულმა, არსენ მეკოკიშვილმა, გივი ონაშვილმა, იოსებ ქაიხოსროშვილმა სახელი გაუთქვეს საბჭოთა სპორტს. მომავალი ჩემპიონის პირველი მასწავლებელი იყო სპორტის ოსტატი ვალერიან მეკოკიშვილი. მან ლევანთან მეცადინეობა მაშინ დაიწყო, როცა იგი მეექვსე კლასში გადავიდა. გამოცდილმა მწვრთნელმა პატარა მოსწავლეში თავისუფალი სტილით მოჭიდავის დიდი ნიჭი აღმოაჩინა. ლევანის შეუპოვრობამ და მიზნისაკენ სწრაფვამ პედაგოგს წარმატების იმედი მისცა.

1964 წელს ლევანმა გაიცნო გამოჩენილი სპორტსმენი გურამ საღარაძე, რომელმაც მაშინ წარმატებით დაამთავრა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ორიწლის შემდეგ კი, როცა ლევანმა საშუალო სკოლა დაამთავრა, უკვე სპორტის ოსტატი იყო. საღარაძის დიდმა გამოცდილებამ, რომელმაც ათობით საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარა, მისმა მოთმინებამ და თანამიმდევრულმა მუშაობამ ახალგაზრდა მოჭიდავესთან ნაყოფი გამოიღო. ლევანის სხვადასხვა შეჯიბრებებსა და ტურნირებში წარმატებით გამოსვლამ მას პირველი დიდი წარმატება მოუტანა. 1971 წელს იგი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა. შემდეგ ახალი პასუხსაგები შეჯიბრება - სსრ კავშირის სპარტაკიადა, და ისევ პირველი ადგილი.

მიუნხენში XX ოლიმპიურ თამაშებზე თედიაშვილი მოვიდა უკვე როგორც გამოცდილი სპორტსმენი. გარდა იმისა, რომ მან ყველა შეხვედრები მოიგო, განსაკუთრებით ბოლო დამამახსოვრდა, ეს იყო ძლიერ ამერიკელთან - ჯონ პეტერსონთან შეხვედრა. გამარჯვება დამაჯერებელი იყო, ანგარიში 12:11. მალე თედიაშვილი გადავიდა უფრო მძიმე წონით კატეგორიაში -

მეორე საშუალო წონაში. 1973 წელს ტოლედოში სსრ კავშირ-ამერიკის მატჩში ლევანმა გააოცა ამერიკელები ჭიდაობის სხვადასხვა ხერხების კასკადით. ისევე დამარცხდა პეტერსონი, ამჯერად ბენი. საერთოდ ამ სპორტულ წყვილს არ უმართლებთ ლევანთან შეხვედრისას, განსაკუთრებით ბენს, რომელმაც თედიაშვილთან უკვე ორჯერ წააგო. საბჭოთა მოჭიდავე ძმებთან ისე ლამაზად და ეფექტურად იმარჯვებს, რომ ვაჟიშვილების წარუმატებლობით გულდაწყვეტილმა ამერიკელ მოჭიდავეების მშობლებმაც კი ვერ მოითმინეს და ლევანს მისი ოსტატობით გამოწვეული აღტასება გაუზიარეს.

ქართველი ფალავანი ახალ-ახალ წარმატებებს აღწევდა. მიმდინარე წელს კრასნოიარსკში საბჭოთა კავშირის პირველობაზე, ხოლო შემდეგ უნივერსიადაზე გამარჯვების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ლევან თედიაშვილმა კიდევ ერთხელ გაიბრწყინა თავისი ოსტატობით თეირანში, სადაც მსოფლიო ტურნირებში ისტორიაში პირველად თავისებური ოქროს დუბლი შექმნა. იგი ჩემპიონი გახდა თავისუფალ ჭიდაობაში და... სამბოში.

საქმე იმაშია, რომ ავად გახდა საბჭოთა გუნდის წარმომადგენელი მეორე საშუალო წონაში და ჩვენი სპორტსმენებისათვის წაგება უნდა ჩაეთვალათ. ლევანს კარგად ესმოდა რაოდენ მნიშვნელოვანი იყო გუნდისათვის ყოველი ქულა. და იგი ჯერ კიდევ თავისუფალი სტილით მოჭიდავეებთან შეხვედრით დაღლილი გამოვიდა სამბოში. ეს გამოსვლა ბრწყინვალე იყო და თავის ტიტულებს კიდევ ერთი მიუმატა - ესაა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული სამბოს სტილით ჭიდაობაში.

ვაკეში, თბილისის ახალი კლუბის ხალიჩაზე მორიგი მეცადინეობა მიმდინარეობს. იღეთებს ამუშავებენ მოჭიდავეები. ოსტატურად აკეთებს ასროლას ლევან თედიაშვილი. ფალავანის მუშაობას თვალყურს ადევნებს მისი მწვრთნელი - სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ვახტანგ ბალავაძე. წინ, - ახალი შეჯიბრებაა.

გ.დიორტიკინი
გაზეთი „თბილისი“ 15 დეკემბერი 1973წ.

„ლაურიატები“

ჩვენი გაზეთის კორესპოდენტმა საუკეთესოთა ათეულში შესულ სპორტსმენებს სთხოვეს მკითხველისათვის ეთქვათ, რომელი დღე იყო მათთვის ყველაზე ღირსშესანიშნავი გასულ, 1973 წელს.

შარშანდელი სპორტული სეზონი ჩემთვის ორმხრივ სასიხარულო იყო: მსოფლიო ჩემპიონი გავხდი თავისუფალ ჭიდაობაში და პარალელურად სამბოში. მე მუდამ თავყანს ვცემდი ესტონელი მოჭიდავის აგუსტინ ენგლასის უნივერსალურ ნიჭს, რომლის წყალობითაც მან უმაღლესი ტიტულები მოიპოვა კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. ეს იყო ამ ოციოდე წლის წინათ. ბედნიერი ვარ, რომ ენგლასის რეკორდი გავიმეორე.

გაზეთი „ლელო“ 1 იანვარი, 1974 წელი.

"ЛЕВАН ТЕДИАШВИЛИ"

Среди советских борцов вольного стиля немало выдающихся чемпионов. Но заслуженный мастер спорта Леван Тедиашвили, пожалуй, самый “знаменитый” сегодня среди представителей этого вида спорта. Чемпион мира 1971 г., победитель XX Олимпиады, Тедиашвили на чемпионате мира 1973 г. в Тегеране сумел сделать золотой дублы завоевав первое место в состязаниях по вольной борьбе, Леван заменил заболевшего товарища, нацел самбистскую куртку и стал победителем первого чемпионата мира по борьбе самбо.

*Панорама Спортивного года, 1973 года.
Москва "Физкультура с спорт", 1974 года.*

"ПАЛAVAN-ЛЕГЕНДА"

О Леване Тедиашвили - чемпионе Олимпийских игр и мира по вольной борьбе можно писать много. Это очень интересный спортсмен - не зря его называют романтиком борьбы. В Леване все поражает - и его необыкновенная сила, и молниеносная реакция,

и открытая манера борьбы. Да и вне ковра он приятный и веселый собеседник, прекрасный товарищ с чуткой душой. Его не коснулась, да видимо, и не коснется, "звездная болезнь".

Вот несколько эпизодов, лучше всего раскрывающих характер Тедиашвили - спортсмена, Тедиашвили - человека.

В 1965 году в Сагареджо состоялся праздник. Во время поединков по чигаоба все обратили внимание на парнишку, который с легкостью побеждал всех своих соперников и принял вызов даже победителя в тяжелом весе. Разница в их весе составляла 30 кг, но, несмотря на это, тяжеловес через полторы минуты оказался на лопатках. Судья совсем юного Левана Тедиашвили.

Характер Л. Тедиашвили отчетливо виден в истории его поединков с неоднократным чемпионом мира Ю. Шахмурадовым. На чемпионатах страны они встречались пять раз. В первой схватке Леван был буквально разгромлен. Друзья говорили ему! "Чудак, ну что ты лезешь напролом? С "Шахом" открытая борьба ни у кого не получается". Но Леван снова и снова шел на обострение. Самолюбивый, он непременно хотел победить Шахмурадова в его стиле и добился своего - в 1971 году впервые выиграл у грозного соперника на чемпионате страны, а затем стал и чемпионом мира.

В прошлом году в Тегеране произошло непредвиденное неожиданно заболел советский средневес, который должен был выступать на первом чемпионате мира и самбо. Леван уже завоевал чемпионский титул по вольной борьбе. "Все понимаем, ты вымотался, устал, но нужно выручить команду", сказали ему товарищи. И никому неизвестный в мире самбистов Л. Тедиашвили блестяще провел все поединки, во второй раз за неделю стал чемпионом мира. Это была уже сенсация, и случай этот стал легендой среди борцов.

Активный комсомолец, член ЦК ЛКСМ Грузии, Леван Тедиашвили всегда на переднем крае. Он взял шефство над двумя ребятами с трудно сложившейся судьбой, и нет сомнения, что он непременно выведет их на широкую дорогу жизни.

Б. Месхишвили

Газета "Вечерный Тбилиси", 31 января, 1974 года.

РЕДКИЙ СЛУЧАЙ

Уникальный случай в истории борьбы? Да, именно так можно назвать выступление на последнем чемпионате мира по вольной борьбе и первом чемпионате мира по самбо заслуженного мастера спорта рядового Левана Тедиашвили.

Тегеран. Сентябрь 1973 г. Стадион "Фарах". Здесь, под открытым небом, - четыре ковра. Тысячи желающих посмотреть схватки борцов осаждают ворота. Любовь иранцев к этому виду спорта общеизвестна.

Первый соперник Левана - японец Ино Хитокуни. Спортсмен он из молодых, талантливых. Не дрогнул перед чемпионом мира - боролся увертливо при малейшей возможности старался контратаковать. Продержался на ковре Хитокуни 2 минуты 18 секунд...

Потом была схватка с американцем Бэном Петерсоном. Она оказалась на редкость напряженной. Боролись на равных. К концу подходило время. И тут Леван оказался верен себе! удачно провел присем, заработав два очка. Они оказались победными., 14112 в пользу Тедиашвили.

Армеец шел к верхней ступеньке пьедестала почта. В очередной встрече ему предстояло "скрестить оружие" с иранцем Р. Хорами. Леван вышел на ярко-оранжевый круг ковра. Глянул на зрителей. Представил, как эта многотысячная масса извергнется громоподобным ревом, поддерживая своего соотечественника, когда начнется поединок. Прошла минута. Леван стоял на ковре один. Соперник не появлялся. "Что случилось?" не понимал Тедиашвили. Еще несколько секунд одиночества. Потом судья-информатор внес ясности Р. Хорами отказался от боя, признал себя побежденным. Леван сошел с ковра под аплодисменты.

Рядовой Л. Тедиашвили - член сборной команды Советского Союза отлично справился с поставленной старшим тренером С. Ионовым задачей - обеспечил коллективу и себе медаль высшей пробы. Он подтвердил звание сильнейшего на планете в весовой категории до 90 килограммов.

Вещи уложены в чемодан. Через несколько часов борцы-вольники с победой отправлялись на Родину. Советская команда установила мировой рекорд, хотя у борцов рекорды и не регистрируются! десять медалей из десяти - шесть золотых, три серебряные, одна бронзовая. Как говорится, никто из участников не остался с пустыми руками.

Весомый вклад внес рядовой Тедиашвили. А теперь скорее в Тбилиси. Отдохнуть, а там надо готовиться к новым соревнованиям. Но на ковер пришлось выйти тут же, в Тегеране. Выйти вне очереди, в новом для себя амплуа.

Увлечшись книгой, Леван не подозревал, что соседней комнате у руководства советской команды шли жаркие дебаты. Заболел самбист Владимир Рухлядев. Выступить не может.

Кем же заменить его? Аркадий Ленц - руководитель советской делегации предложил Тедиашвили. Аргументы в юности Леван начинал с самбо. Дважды был чемпионом среди юношей страны и Грузии.

Ленца поддержали. Последнее слово оставалось за армейцем. Тот согласился выйти на ковер.

Без тренировок, без подготовки к схваткам? Да, именно так. Тедиашвили настроил себя на борьбу, на выигрыш, как это делал вот уже шесть лет.

В 1966 году на турнире "Олимпийская надежда" в Польше он завоевал первую золотую медаль. С тех пор Тедиашвили не знает поражений. Пять раз он выигрывал первенство Советского Союза (включая молодежное), был победителем Спартакиады профсоюзов. Спартакиады народов СССР, трижды становился сильнейшим в традиционном международном турнире на приз заслуженного мастера спорта В. Балавадзе. Леван выиграл Кубок СССР, Кубок мира, турнир шахиншаха Ирана. Победа в Мюнхене на XX Олимпийских играх принесла ему заслуженную славу.

Все это касалось вольной борьбы. Но совершенно неожиданно предстояло переквалифицироваться. Переквалифицироваться без всякой подготовки. Такого еще не бывало и с прославленными спортсменами.

Клад, Спортивное обозрение, апрель 1974 года.

"ПОЛУЧИВШИЙ В НАСЛЕДСТВО КЛАД"

- На ковер вызывается чемпион двадцатых Олимпийских игр Леван Тедиашвили... - Голос диктора настигает его, обрушивается сверху, проникает в предсознание и отдается морозными иголочками, внезапно обжигающими спину. и это необычное столкновение теплых, разогретых на разминке мышц с колючим, жутковатым холодом на миг вырывает из сознания другое...

Заснеженное Подмоскovie. Старинный особняк, выстроенный давным-давно булочником-миллионером для красавицы цыганки и приспособленный теперь под тренировочную спортивную базу. Хоровод берез по крепосному валу. Деревянный сруб настоящей русской бани. Разгоряченные лица, спины, плечи, размытые паром, хлесткие удары дубового веника. Хлопанье дверей. Леван вслед за другими мчится босиком по снегу. И ему, южанину, от непривычности всего происходящего по-особому весело с головой - в сутроб, и ощущение ожога кожи от колких хрупких снежинок...

Нарочито поднимаясь медленно по ступенькам на помост, где ждет его соперник, Леван еще раз попрашивает заученным движением ляжку борцовского трико. Он делает глубокий вдох, затяжной выдох... Все! Посторонные мысли, дрожь азарта стекли по туловищу и ногам на ковер. Тело стало расслабленным, как раскрепощенная прежина. Лязнул гонг. И первый шаг навстречу поединку сжал, спрессовал пружину мускулов к бою. Делясь своими впечатлениями о схватках Леван говорит, что вот этот переход от состояния предстартовой лихорадки к готовности вести бой предельно короток, но страшно необходим ему. За минуту до начала схватки вихрь образов еще мельтешит в голове. словно эфирные помехи в радиоприемнике, он мешает настроиться на нужную волну. Ну, а когда сделаешь паузу, полной грудью наберешь воздух, куда-то все вдруг исчезает, происходит спокойствие, помогающее ему сосредоточиться. Он боится растереть это умение собираться. Те, кто хорошо его изучил, считают, что его "спокойствие" сродни внезапному затишью на море перед штормом.

Я пишу о нем и вспоминаю, что вольной борьбой у нас в стране

занимаются около четырехсот тысяч человек. Впрочем, возьму на себя смелость утверждать, что увлеченных древнейшим видом спорта в действительности больше. Почти в каждый из наших республик культивируется своя национальная борьба, схожая с общепризнанной вольной борьбой. В Молдавии – “трынта”, в Узбекистане – “полеш”, в Армении – “чох”. А в Грузии – “чидаоба”. Любопытство, что у грузин слова “мужчина” и “борец” синонимы. Если атлета хотят похвалить, смеговорят! “Ты мужчина”.

Леван Тедиашвили родился в Сагареджо. Мало сказать, что это истинно грузинское селение. Сагареджо столица грузинских борцов. Там на склонах гор, в долинах и ущельях виноградники, чайные и цитрусовые плантации. Там праздники урожая сопровождаются музыкой и турнирами борцов..

Оркестр - барабан, зурна - исполняет зажигательный танец. Шутейную потасовку начинают босоногие мальчуганы. Возьтятся без усталости на траве. Пыхтят. Ревут, если проигрывают. Зрители их подбадривают. Затем черед юношей. После них в круг выходят испытанные бойцы. Самым мужественным почет и уважение земляков, хвала в заздравном тосте и полный рог терпкого вина в честь удали.

Да, в Грузии невозможно не стать борцом. Борьба здесь, что в Бразилии футбол, а в Испании бой быков.

Первый наш олимпийский чемпион по вольной борьбе в тяжелом весе Арсен Мскокишвили вырос именно в Сагареджо. Из этого края вышел и Вахтанг Балавадзе, которого за рубежом называют “профессором борьбы”.

Вначале в сборной СССР по вольной борьбе на подсобного рабочего с мебельной фабрики внимания никто не обращал. Он долго оставался в тени. Вначале королем средневесов считался его земляк - неоднократный чемпион мира тбилисец Гурам Сагарадзе, статный, мощный голубоглазый шатен. Его сменил и продолжил традицию побед в этой весовой категории, Юрий Шахмурадов - подвижной, словно гепард, виртуоз импровизации. Казалось, с ними невозможно было конкурировать. Когда тренеры решили испытать Левана на первенстве Европы, то явно разочаровались в

нем. Парень стал лишь шестым.

Не скажу, что Тедиашвили сочли робким. Но как-то охладели к Левану. Если бы не случай, неизвестно, чем бы все это кончилось. Шахмурадов получил травму, не надеясь на особый успех. Считалось, что к Олимпиаде в Мюнхене Шахмурадов войдет в строй.

Леван выиграл звание чемпиона мира. Он не просто побеждал, а сокрушал своих соперников. Для многих специалистов его успех был неожиданным.

Как такое могло получиться?

Леван исподволь собрал то, что впитал во время мальчишеских потасовок, что получил от "профессора" Балавадзе, что подсмотрел у своих именитых товарищей по сборной.

У нас есть пословица: "Один сын - не сын, два сына - полусына, три сына - сын". У борцов есть схожее негласное правило! одна победа на одном чемпионате мира - еще не победа, выигрыш на втором - полпобеды, на третьем - настоящая победа. Леван записал в свой актив самый высокий титул - звания триумфатора Олимпиады 1972 года. Золотая медаль досталась ему.

И вот наступил черед третьего испытания. Сентябрь 1973 года. Первенство мира. Тегеран. Леван выступал уже в более тяжелой весовой категории (90 кг.). Как, однако, и его основной соперник Бен Петерсон (США). Оба сражались до последней секунды. После финального свистка на табло значилось: 14:12 в пользу советского атлета. Так в жарком поединке Леван утвердил свое достоинство.

Многочисленность таких результатов даст право вписать имя грузинского богатыря в летопись вольной борьбы наряду с иранцем Тахти, нашим Медведем, турком Акбасом, болгаринцем Ахмедовым, американцем Вулсом.

Но в столице Ирана его ждало еще одно испытание. Там же состоялся первый чемпионат мира по борьбе самбо. В сборной СССР заболел один из участников. И после одного изматывающего турнира Левану предложили участвовать в другом. Выручили навыки владения приемами "чидаоба". Леван Тедиашвили сделал золотой дубль.

Хочет ли он дальше дерзать в спорте? Говорит, что намерен дать

свой последний бой в Монреале. Ну а дальше?! Не знаю. ПО-мосму, он еще не определился. Он учится на втором курсе юридического факультета Тбилисского государственного университета. Будет ли он хорошим юристом? Наверное. Ведь олимпийский чемпион Леван Тедиашили привык в спорте подавать руку помощи поверженному.

*А. Иваницкий
олимпийский чемпион по борьбе.
Журнал Спорт, май 1974 года.*

„ლევან თედიაშვილი – ევროპის ჩემპიონი“

კვლავ სასიხარულო ცნობა მოვიდა ესპანეთის დედაქალაქიდან, სადაც „პალასიო დე ლოს დეპორტესის“ სპორტის სასახლეში მიმდინარეობდა ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში.

ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო სამგზის ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, თბილისელმა ლოკომოტიველმა ლევან თედიაშვილმა (მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ვახტანგ ბალაყაძე) ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა მეორე საშუალო წონაში.

გაზეთი „კომუნისტი“, 28 ივნისი, 1974 წელი.

„ბამარჯვების გზები“

თოთხმეტოდე წლისსაგარეჯოელ ბიჭუნას პირველად სპორტის ოსტატმა ვალერიან მეკოკიშვილმა მიაქცია ყურადღება.

- ამ ბიჭისაგან თავისუფალი სტილის საუკეთესო მოჭიდავე დადგება! თქვა გამოცდილმა მწვრთნელმა და ლევან თედიაშვილი საჭიდაო ხალიჩასთან მოიხმო.

დაიწყო დაძაბული ვარჯიში. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ლევან თედიაშვილმა საშუალო სკოლა დაამთავრა, იგი უკვე სპორტის ოსტატი იყო.

პირველად დიდ წარმატებას ლევანმა 1971 წელს მიაღწია. თავისუფალი სტილით ჭიდაობაში იგი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა.

მას შემდეგ წარმატებას წარმატებები მოჰყვა. ლევან თედიაშვილი მტკიცედ ჩადგა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ფალავანთა რიგებში.

მიუნხენის XX ოლიმპიურ თამაშებში ლევანი ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ტოლედოში საბჭოთა სპორტსმენმა ლევან თედიაშვილმა ერთხელ კიდევ მოხიბლა მრავალრიცხოვანი მაყურებელი თავისი დახვეწილი ილეთებით, გამძლეობით, მოქნილობით, დიდსულოვნებით, გამარჯვებისაკენ დაუცხრომელი სწრაფვით. მოხიბლა და აქაც გამარჯვებული გამოვიდა.

შარშან, საბჭოთა კავშირის პირველობაზე გამარჯვების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, საბჭოთა კავშირისა და მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლევან თედიაშვილი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა თავისუფალ ჭიდაობაში და... სამბოში.

თეირანის საჭიდაო ხალიჩაზე, მძიმე და მომქანცველი ბრძოლის შემდენ ლევან თედიაშვილმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა თავისუფალი სტილით ჭიდაობაში.

და აი, როცა საბჭოთა გუნდის წარმომადგენელი მოულოდნელად ავად გახდა და ჩვენი გუნდისათვის წაგება უნდა ჩაეთვალათ, დაღლილ-დაქანცული ლევანი მეორედ გავიდა ხალიჩაზე, ამჯერად იგი სამბოს სტილით ჭიდაობაში იღებდა მონაწილეობას.

რადღა გავაგრძელოთ: იმ დღიდან ლევან თედიაშვილმა თავის ტიტულებს სამბოში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც მიუმატა.

წინ ისევ მძიმე და დაძაბული ბრძოლებია. კვლავ ახალ-ახალ წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს სახელოვან ფალავანს - მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს ლევან თედიაშვილს.

ეურნალი „დროშა“ ივლისი 1974 წელი.

„ოლიმპიური ჩემპიონები საქართველოდან“

მიუნჰენის „მესეგელენდეს“ დარბაზის თაღქვეშ საბჭოთა დროშა აღიმართა და ჩვენი სამშობლოს ჰიმნი გაისმა. XX ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალს გადასცემდნენ პლანეტის ყველაზე აგრესიული სტილის ფალავანს ლ. თედიაშვილს, რომელმაც მიუნჰენის სარბიელზე დაამარცხა სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონები: სენეგალელი დიოპი, მონღოლი ტ. არტაგი, შვედი კ. ელმგრენი, პ. ნოიმაიერი (გფრ), ჯ. პიტერსონი (აშშ), ფინალში კი რუმინელ ვასილ იორგას აჯობა. ლ. თედიაშვილი - ჭიდაობის ტრფიალთა კერპი, რომლის სახელიც ქუხს ამერიკის, ევროპისა და აზიის კონტინენტზე, 25 წლისა ავიდა ჭიდაობის ყველა მწვერვალზე. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი, მოსკოვის „უნივერსიადა 73“-ის „ოქროს“ ლაურიატი, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისა და საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი. ყველა ეს წოდებები სულ მოკლე ხანში მოიპოვა სწორუპოვარმა ფალავანმა თავისი საყვარელი აღმრზდელისა და მწვრთნელის, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, ჭიდაობის „პროფესორ“ ვახტანგ ბალავაძის ხელმძღვანელობით. მწვრთნელმა დიდებული გზა განვლო და თავისი მემკვიდრეც ამ გზის ატარა.

ლევან ქიტესას ძე თედიაშვილი დაიბადა 1948 წლის 15 მარტს საგარეჯოს რაიონის სოფელ გაღმაუბანში. 1966 წელს დაამთავრა საგარეჯოს სკოლა, ხოლო 1971 წელს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. ამჟამად იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტია.

ჭიდაობაში პირველი ნაბიჯები ლევანმა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვალერიან მეკოკიშვილის ხელმძღვანელობით გადადა და მალე თავიც ისახელა - 1966 წელს „განთიადის“ პირველობაში გაიმარჯვა. შემდეგ საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა ქართულ, თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში, ხოლო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში მეორე საპრიზო ადგილები დაიკავა. იმ წელს მოჰკიდა მის დაოსტატებას ხელი სსრ კავშირის

დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. ბალავაძემ, რომელმაც ლევანს შეასწავლა მრავალფეროვანი ილეთები, მაღალი, დახვეწილი, ფილიგრანული ტექნიკა.

1967 წელს საბჭოთა კავშირის პირველობაში ლ. თედიაშვილს უკვე საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ვხედავთ, შემდეგ კი პოლონეთში „ოლიმპიური იმედის თასზე“ რვა ქვეყნის წარმომადგენლებთან შერკინებაში გამარჯვებული გამოდის. ლევანმა მომდევნო წელსაც წარმატებით დაიცვა ჩვენი ქვეყნის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, ხოლო გდრ-ის ქალაქ ლაიპციგში კვლავ გაიმარჯვა „ოლიმპიური იმედის თასის“ გათამაშებაში. ბრწყინვალედ გამოვიდა იგი თბილისი პროფკავშირების საპატიო სპარტაკიადაშიც და ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა უფროსთა შორის. იმავე წელს სპორტის ოსტატი გახდა.

1969 წელს ლევანი საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონია ახალგაზრდებს შორის, მერე კი უფროსებთან ასპარეზობს ჩვენი ქვეყნის პირველობაზე და ვერცხლის მედლით ჯილდოვდება. მომდევნო წელს შესანიშნავმა ფალავანმა IX საერთაშორისო ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა (82კგ), შემდეგ კვლავ შეინარჩუნა საქართველოს ჩემპიონის წოდება, ხოლო ჩვენი ქვეყნის გამორჩეულ ათლეტებთან ასპარეზობაში საბჭოთა კავშირის თასზე გაიმარჯვა.

1971 წელს ლ. თედიაშვილმა უდიდეს წარმატებას მიაღწია, ჯერ იყო თბილისის X საერთაშორისო ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა, მერე სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ოქროს მედალი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა. აგვისტოში კი სოფიაში პირველად გახდა ჩემპიონი. ლევანმა აქ დაამარცხა ირანის, თურქეთის, რუმინეთის, იაპონიის, გდრ-ს ჩემპიონები. იმავე წელს გაიმარჯვა ირანში, შაჰის სახელობის პრიზზე გამართულ საერთაშორისო შეხვედრაში და შაჰისაგან დიდი ჯილდოც მიიღო. მოპოვებული წარმატებებისათვის მას სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებაც მიენიჭა.

ოქროს ასოებით ჩაიწერა ბრწყინვალე სპორტსმენის ბიოგრაფიაში 1972 წელი. ამ წელს ლევანმა გაიმარჯვა თბილისის ტურნირში, აშშ-სა და საქართველოს გუნდების საერთაშორისო

შეხვედრაში, შემდეგ კი, ოლიმპიურ თამაშებში ყველას აჯობა პირველ საშუალო წონაში. საბჭოთა სპორტის ვარსკვლავი ღირსეულად ავიდა ჩემპიონის უმაღლეს საფეხურზე.

1973 წლის მაისში, საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომლის შემადგენლობაშიც ლევანი იყო, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა მსოფლიო თასის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად. აქ საბჭოთა გუნდმა მსოფლიო თასი მოიპოვა. ლევანმა კი პირად ჩათვლაში უძლიერეს მოჭიდავეებთან ბრძოლაში დაისაკუთრა ეს ჯილდო. ივნისში მან კარგად იჭიდავა სსრ კავშირის ჩემპიონატში და მკერდი კიდევ ერთი ოქროს მედლით დაიმშვენა. წარმატებით იასპარეზა ლევანმა აგვისტოშიც სტუდენტთა საზაფხულო თამაშებში (მოსკოვის „უნივერსიადა-73“), სადაც შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი დღით ადრე მოიპოვა ჩემპიონობა.

არნახულ წარმატებას მიაღწია ჭიდაობის უბადლო ოსტატმა იმავე წელს თეირანში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატებზე. იქ პირველად გაიმართა მსოფლიო პირველობა ჭიდაობა სამბოში. ლ. თედიაშვილმა თავის უფალი სტილით მოჭიდავეთა შეჯიბრებაში ხალიჩას გააკრა ძველი მეტოქეები - იაპონიის, თურქეთის, აშშ-ს, გდრ-ს ფალაენები და ჩემპიონი გახდა. შემდეგ ლევანი სამბისტთა ასპარეზობაში ჩაება, სადაც შეცვალა მოულოდნელად ავად გამხდარი საბჭოთა მოჭიდავე. აქ უნივერსალურმა სპორტსმენმა ოთხი შეხვედრა ჩაატარა, ოთხივე მოიგო და მსოფლიო ჩემპიონის მეორე ოქროს მედალიც დაიმსახურა, ეს ჭეშმარიტად სპორტული გამარჯობა იყო. ასეთი ტრიუმფი მსოფლიოს არც ერთ მოჭიდავეს არ ღირსებია.

1974 წლის ივნისში მადრიდში კვლავ ისახელა თავი ლევანმა, მან ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა მეორე საშუალო წონაში, უფაში კი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ლ. თედიაშვილი საპატიო ნიშნის ორდენის კავალერია.

დ. მესხი

ოლიმპიური ჩემპიონები საქართველოდან

სერია 7

თბილისი, 1974 წელი.

„ლ. თედიაშვილი - ოთხგზის ჩემპიონი!“

შესანიშნავ წარმატებას მიაღწია საბჭოთა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა (უფროსი მწვრთნელი იური შახმურადოვი) მსოფლიოს ჩემპიონატზე სტამბოლში. ჩვენმა ათლეტებმა მოიპოვეს გუნდური პირველობა და 9 მედალი.

ექვსჯერ გაისმა „ინენიუს“ (ყოფილი „მითხარ-ფაშას“) სავსე სტადიონზე საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი ჩვენი სახელოვანი მოჭიდავეების გამარჯვების აღსანიშნავად.

ქართველი ფალავანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლევან თედიაშვილი (90 კგ.), რომელსაც ავარჯიშებს ვახტანგ ბალაგაძე, ამიერიდან მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია!

გაზეთი „კომუნისტი“, 3 სექტემბერი, 1974 წელი.

„ჩემპიონის უთაბეჭდილებები“

შეჯიბრებას შეჯიბრება მოსდევს და, თუ ამ მხრივ, რაიმე „ფანჯარა“ წარმოიშვა ეს დროც საწვრთნელ შეკრებებს, ან სხვა ღონისძიებებს მიაქვს. ამიტომაც უჭირთ სპორტულ ჟურნალისტებს ლ. თედიაშვილის, ა. მეტრეველის, ვ. სანეევის, ნ. გაფრინდაშვილის, ნ. ალექსანდრიასა და სხვათა დამარტოხელება და მათთან საუბარი.

ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ აშკარად გამიმართლა, როცა საქართველოს ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონს, ჩვენს სახელოვან მოჭიდავეს ლევან თედიაშვილს წაეაწყდი. აბა, ასეთ ბედნიერ შემთხვევას რომელი ჩვენთაგანი გაუშვებდა ხელიდან და მეც კალამი და ბლოკნოტი მოვიმარჯვე...

საუბრის მთავარი თემა, რაღა თქმა უნდა, სულ ახლახანს, სტამბოლში დამთავრებული მსოფლიო პირველობის ორთაბრძოლები იყო.

კმაყოფილი ხართ, თუ არა ამ პირველობით, რომელმა შეხვედრამ მოახდინა თქვენზე ყველაზე უფრო დიდი შთაბეჭდილება?

- ყველაზე შთამბეჭდავი შეხვედრა სულ ცოტა, ერთი წლით მაინც, გადაიდო. საქმე ისაა, რომ განსაკუთრებით ვემზადებოდი, თქვენთვის და თბილისელთათვის კარგად ნაცნობ, ამერიკელ ჯონ პეტერსონთან შესახვედრად. ჩემი ვარაუდით, ეს ორთაბრძოლა, მართლაც და დაძაბული და საინტერესო იქნებოდა, მაგრამ ამერიკელ მეტოქეს მიზნად დაუსახავს განსაკუთრებით მოემზადოს მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისათვის, რომელიც გაისად მინსკში გაიმართება. მას უთქვამს, რომ თედია შვილს უნდა მოუვგო რადაც არ უნდა დამიჯდესო და ჭიდაობასაც თავს დაეანებებო. ვის სასარგებლოდ გადაწყდება ეს შეხვედრა? ამთავითვე, ძნელი სათქმელია, რადგან ამ ერთ წელიწადს გულხელდაკრეფილი არც მე ვიქნები.

- მაშ რომელი ბრძოლა დაგამახსოვრდათ სტამბულში?

იქ საინტერესო მეტოქე იყო ხორსტ შტოდტმაისტერი (გდრ), რომელსაც ადრეც შევხვედრივარ ორჯერ, განსაკუთრებით დამამახსოვრდა ჩვენი ორთაბრძოლა მიუნხენის ოლიმპიურ ხალიჩაზე, სადაც მეორედ ვძლიე მას. ამჯერად გერმანელმა სპორტსმენმა ჩემამდე ვერ მოაღწია. იგი პოლონელმა პ. კურჩევსკიმ გამოთიშა ასპარეზობიდან. ასე, რომ არც მასთან შეხვედრამ მომიწია. დასამახსოვრებელი იყო შეჯიბრების ბოლო დღე, როცა სამჯერ მომიხდა ლეიბზე გამოსვლა. განსაკუთრებით მომქანცველი გამოდგა ბოლო შეხვედრა მასპინძელ გ. გიუჩლუსთან, ეს შეხვედრა დამაჯერებელი ანგარიშით - 14:1 მოვიგე.

- ჩემპიონატის რომელი მონაწილე მოგეწონათ ყველაზე უფრო?

- უმჩატესი წონის ბულგარელი ნ. მიურსული. მან ჩემპიონის ოქროს მედალიც მოიპოვა. იგი მრავალფეროვნად ჭიდაობს და ეს ძლიერ კარგია.

- რას იტყოდით იმ ქვეყნებზე, რომელთა წარმომადგენლებიც, რომ იტყვიან, ჭიდაობის მოდის კანონმდებლები არიან?

სასიხარულოა, რომ სსრ კავშირი კვლავ უძლიერესია მთელს მსოფლიოში. საბჭოთა მოჭიდავეებმა რ. აშურალიევის, წონაში ნ. ნასრულაევის, ვ. გულიუტკინისა და სხვათა შესანიშნავ გამოსვლებს გულგრილად ვერ უყურებს კაცი. ჩვენი მთავარი

მეტოქეები კვლავ ბულგარელი ათლეტები არიან, რომლებიც ფარხმალს არ ყრიან და ყოველთვის შემართულად იბრძვიან, რათა უძლიერესის სახელი მოიპოვონ. მათ ახლაც მეორე ადგილი დაიკავეს. მსოფლიო სარბიელზე საგრძნობლად დაწინაურდნენ მონგოლი მოჭიდავეები, რომლებმაც თურქეთის გუნდის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონიც კი ჰყავთ - ზ. იოდოვი.

- თქვენ დაასახელეთ პირველი ოთხეული და არაფერი თქვით მასპირძელთა შესახებ, რომლებიც საპრიზო ადგილზე გამოვიდნენ.

- ეს იმიტომ, რომ მსურდა თურქეთის მოჭიდავეთა შესახებ განსაკუთრებით აღმენიშნა. ყველამ იცის, რომ ჭიდაობის ეს მექა, სადაც სახეობა უსაყვარლესად იყო სიჩნეული, ბოლო დროს სადაც კედში მიჩანჩალებს. ეს იქაური ფედერაციის ფინანსურმა ხელშოკლებამ გამოიწვია. ახლა იქ ჭიდაობა ნამდვილ აღორძინებას განიცდის. ამაში გადამწყვეტი სიტყვა თვით მოჭიდავეებმა, წარსულში სახელგანთქმულმა ფალავნებმა მსოფლიო ჩემპიონებმა ათალაიმ, აკბასმა, აიკმა, გიუნგორმა და სხვებმა თქვეს, რომლებიც (ისევ და ისევ სპორტის წყალობით) დღეს დიდი ბიზნესმენები გახდნენ და აფინანსებენ ეროვნულ ფედერაციას.

- იაპონელებზე რა აზრის ხართ?

ხალიჩის ამ „პატარა ჯადოქრებზე“ უნდა ითქვას, რომ გაოცებენ თავიანთი ფანატიზმით ჭიდაობისადმი. იაპონელები კვლავ დაბალ წონებში არიან ძლიერნი, ჰყავთ მსოფლიო ჩემპიონი 52 კილოგრამ წონით კატეგორიაში - უ. ტაკედა.

და ბოლოს ტრადიციული კითხვა როგორია თქვენი მომავლის გეგმები?

- კვლავ მიწვეული ვარ იაპონიის ღია პირველობაზე, შემდეგ ჩვენი საზოგადოების „ლოკომოტივის“ ნაკრებთან ერთად გამოვალ ინდოეთში. რკინიგზელთა გუნდის უმეტესობა ჩვენი თანამემამულეებია. ჩემთან ერთად ნაკრებში არიან ძმები დავით და გივი ყვარელაშვილები, რ. დობორჯგინიძე, ნ. მოღებაძე და სხვები. ეს შეხვედრა სულ მალე გაიმართება.

უ. ჭიჭინაძე
გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 12 სექტემბერი, 1974 წელი.

„ფალავანი ფალავნობდეს“

აი ჭიდაობის კიდევ ერთი ტრფიალი! ჩაილაპარაკა მწვრთნელმა და უცნობ ბიჭუნას ალერსით გადაუსვა თავზე ხელი.

იღეთების ყურებით გართული პატრა უცებ შეეკრთა, მაგრამ წამსვე წკრიალა თვალები შეანათასაშუალო ტანის ჯმუხ ვაჟკაცს და დამნაშავესავით გაირინდა.

დუმილი ისევ მწვრთნელმა დაარღვია: - ჭიდაობის სწავლა თუ გინდა, ხვალ, გაკვეთილების შემდეგ შემოიარე, ვნახოთ რა ბიჭიც ხარ!

გახარებულმა ყმაწვილმა მადლობის თქმაც ვერ მოახერხა, ისე გამოვიდა სპორტული სკოლიდან, რომელსაც რამდენჯერმე ესტუმრა და მხოლოდ ახლა შემჩნიეს.

ფიქრსა და ოცნებაში დაათენდა. ლოგინიდან სასწრაფოდ წამოხტა და სკოლისაკენ მოჰკურცხლა. შუადღისას კი კვლავ საჭიდაო დარბაზისაკენ გასწია.

ბევრი აღმზრდელი მაშინ ეჭვით შეხედავდა პატარა, გამხდარი მუქქესეკლასელი მოსწავლის სპორტში მოსვლას, მაგრამ ასე როდი ფიქრობდა მომავალი მსოფლიო ჩემპიონის პირველი მასწავლებელი, ბეჭდაუდებელ არსენას ბიძაშვილი, სპორტის ოსტატი ვალერიან მეკოკიშვილი. მას თვალში მოუვიდა ბიჭუნას მოქნილი ტანი, სიმეტრიული აღნაგობა და მოქნილი კუნთები. მწვრთნელმა გამოცდილებით იცოდა, რომ ასეთ კუნთებს მეტი შრომის უნარი შესწევთ და არც იოლად იღლებიან.

ლევან თედიაშვილმა თავისი სპორტული გზა ქართული ჭიდაობით დაიწყო. მაგრამ ყველაზე მეტად მას მაინც თავისუფალი ჭიდაობა აინტერესებდა. აღსაზრდელის ნიჭი, მონდომება, შეუპოვრობა და მიზნისაკენ სწრაფვა პედაგოგს წარმატების იმედს აძლევდა.

ახალბედა მოჭიდავე სისტემატიურად და ინტენსიურად ვარჯიშობდა. ზოგჯერ მას ღამითაც ნახავდი საწვრთნელ დარბაზში. თუ საჭირო იყო თუნდაც ასჯერ შეასრულებდა ერთსა და იმავე ფანდს. მაგრამ მარტო ამითაც არ კმაყოფილდებოდა. წვრთნას განაგრძობდა სახლში, ეზოში,

ახლომდებარე გორაზე, ყველგან, სადაც კი ფეხის დადგმას შესძლებდა.

ამასთან, ვარჯიშის, გამძლეობაზე მუშაობის, სხეულის გაკაუების თავისებური წესებიც ჰქონდა.

ესწრებოდა თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირებს და დედაქალაქის ფალავანთა კლბში მოწყობილ საწვრთნელ მუშაობას. შინ დაბრუნებისას კი მწვრთნელს უზიარებდა ნახულსა და განცდილს, მასთან ერთად ამუშავებდა სპორტსკოლაში სხვადასხვა ილეთსა და ხერხს.

პირველად ამ რვა-ცხრა წლის წინათ ნახა ლევანის ჭიდაობა მისმა ახლანდელმა მწვრთნელმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ვახტანგ ბალავაძემ საგარეჯოში სტუმრად ყოფნისას ერთ-ერთ დღესასწაულის დროს მოწყობილ ოფიციალურ შეჯიბრებაზე 17 წლის ახალგაზრდა ადვილად ძლევდა მოქიშპეებს. მაგრამ შემდეგ საქმე გაართულა აბსოლუტურმა პირველობამ, რომლის დროსაც ძალას კარგავს წონათა მიხედვით შეხვედრები და ლევანიც უყოყმანოდ დადგა მძიმე წონის მოჭიდავის პირისპირ. როცა გამოაცხადეს, ლევანის მოწინააღმდეგე 30 კილოგრამით მეტს იწონისო, საჭიდაო დარბაზში პროტესტის ხმა გაისმა: - რას ემართლებით, რატომ აკვლევინებთ ამ ბიჭსო (გულისხმობდნენ ლევანს) ., მაგრამ ამ დროს სულ სხვა რამეს ფიქრობდა თვით ლევანი. ჭიდაობის დაწყებიდან წუთნახევარიც არ იყო გასული, რომ ვ.ბალავაძემ, რომელმაც თვითონ იკისრა შეჯიბრების მსაჯობა, გამარჯვების ნიშნად აღმართა ლ. თედიაშვილის ხელი.

სწორედ მაშინ, ამ შეჯიბრების შემდეგ, ურჩია ჩვენმა სახელმწიფოებელმა ფალავანმა ლევანს უფრო სერიოზულად მოჰკიდებოდა ჭიდაობას.

საშუალო სკოლა რომ დაამთავრა უკვე სპორტის ოსტატი იყო. ამ დროისათვის მან მოასწრო გამხდარიყო საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა, შემდეგ კი სსრ კავშირის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის.

1966 წელს ლევანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება. იგი საქართველოს ფიზიკულ ტურის ინსტიტუტის სტუდენტია და „ჭიდაობის პროფესორის“ (ასე შეარქვეს ვ.ბალავაძეს უცხოეთში - უშუალო ხელმძღვანელობით განაგრძობს დაოსტატებას. მისმა გამოცდილებამ, მოთმინებამ და თანმიმდევრულმა მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ახალგაზრდა მოჭიდავის გამოსვლას სხვადასხვა შეჯიბრებასა და ტურნირებში პირველი დიდი წარმატება მოჰყვა.

ქვეყნის ნაკრებში საწვრთნელად მიწვეული ლევანი სწრაფად იზრდება ენერგიული მეცადინეობის წყალობით. ამასთან იგი რჩება თავისი საყვარელი ღია ბრძოლის მანერის ერთგულად. სწორედ ამ სტილში დაამარცხა მან პირველად სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაზე თავისი მრისხანე მეტოქე, დალისტნელი ი. შახმურადოვი და ასპარეზობის ჩემპიონი გახდა. 1971 წელსვე მოიპოვა პირველი დიდი გამარჯვება თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო პირველობაზე. აქ, ქ. სოფიაში, მან მკერდი ჩემპიონის ოქროს მედლით დაიმშვენა. აღიარებული იქნა ტურნირის ყველაზე ტექნიკურ ათლეტად.

ღირსშესანიშნავი იყო ლევანისათვის 1972 წელიც, როცა მან მიუნხენის XX ოლიმპიადაზე ყველა შეხვედრა მოიგო და საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ამ შეხვედრებიდან მაყურებელს ყველაზე მეტად დაამახსოვრდა ლევანის შერკინება ამერიკელ ჯონ პიტერსონთან.

1973 წელი ლევანის ნამდვილი ტრიუმფის წელი იყო. საკმარისია აღინიშნოს, მარტიდან სექტემბრამდე მან მოიგო მსოფლიოს და საერთაშორისო მასშტაბის შვიდი შეჯიბრება, ამასთან არა მისთვის ჩვეულ, არამედ უფრო მძიმე - მეორე საშულო წონაში. ჯერ იყო და ოკეანისგაღმელი მაყურებელი მოხიბლა ჭიდაობის მრავალფეროვანი ხერხებით ამერიკის შეერთებულ შტატების ქალაქ ტოლიდოში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშებაში. აქ მან ფინალური თასის გათამაშებაში დაამარცხა ბენ პიტერსონი. შემდეგ ლევანმა გაიმარჯვა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც კიდევ ორჯერ შეხვდა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს პიტერსონ უფროსს და ორივეჯერ დაამარცხა.

აღსანიშნავია, რომ მედისონში, აშშ-სა და სსრ კავშირის

ნაკრებთა შეხვედრაზე თავიანთი პირმშოსა და ლევანის საყურებლად მოსულ პიტერსონებს ისღა დარჩათ, აღტაცება გამოეთქვათ გამარჯვებულის მოხდენილი, ვაჟკაცური ჭიდაობისა და მაღალი ტექნიკის გამო.

ამ ტურნეს მოჰყვა გამარჯვება იაპონიაში ამომავალი მზის ქვეყნისა და სსრ კავშირის ნაკრებთასამატჩო შეხვედრაში, სსრ კავშირის ჩემპიონობა, უნივერსიადის ჩემპიონობა.

ყველაზე მეტად გაიბრწყინა ლ. თედიაშვილის ნიჭმა და ოსტატობამ შარშან ქ.თეირანში. აქ მან მსოფლიო ტურნირების ისტორიაში პირველად თავისებური უნიკალური რეკორდი დაამყარა - მსოფლიოს ჩემპიონი გახდა თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში. ირანის დედაქალაქმა იხილა ახალ წონით კატეგორიაში გადასული ლევანისა და ბენ პიტერსონის წარმტაცი ბრძოლა.

ამ შეხვედრაზე, როგორც იტყვიან, უფრო დაწვრილებით ღირს ლაპარაკი. დილით, აწონვის წინ, ამერიკელს უკვე მოესწრო კორესპოდენტებისათვის ასეთი ინტერვიუს მიცემა: - თედიაშვილი ამჯერად ვერ გადამირჩება, მეყოფა მასთან მარცხის.

ვ. ბალავაძე მოგვითხრობს, რომ თედიაშვილ-პიტერსონის ბრძოლა იყო დინამიზმით აღსავსე ბრძოლა, სადაც ყოველ წამში ილეთი კეთდებოდა. მართალია, ორი პერიოდის წინ ლევანი ბევრად წინ იყო ქულებით და მის გამარჯვებაში ეჭვიც კი არავის ეპარებოდა, მაგრამ აი პიტერსონმა იმარჯვა, რამდენიმე კონტრილეთი გაუკეთა პარტნიორს და ანგარიშში სხვაობა მნიშვნელოვნად შეამცირა. დადგა მომენტი როცა არა მარტო მოჭიდავეთა ნერვები, არამედ თეირანის საჭიდაო „ფარახის“ ხალხით გაჭედილი ტრიბუნებიც ზამბარასავით დაიჭიმა. ჩვენმა სპორტსმენმა მხოლოდ უკანასკნელ წამებზე შეძლო გადამწყვეტი ილეთის ჩატარება და გამარჯვებაც მას დარჩა.

საგანგებო შემთხვევის გამო ლევანმა თეირანშივე სამბისტის ფორმა ჩაიცვა. შესანიშნავმა ფიზიკურმა მონაცემებმა და უდრეკმა ხასითმა შეაძლებინა ლევანს შეუძლებელი - დაეძლია რვა წლის დისტანცია, რომელიც სამბოს აშორებდა და ჭიდაობის ამ სახეშიც პირველი ყოფილიყო.

ჩვენი თანამემამულე ჭიდაობის ფანატიკურად მოყვარული

ირანელი მაყურებლის დიდი სიმპათიითა და სიყვარულით სარგებლობდა. ორი ოქროს მოპოვების შემდეგ ისინი ტრიბუნებიდან უყურებდნენ საბჭოთა დევგმირს: - ალა თედია, კლასიკურშიც, კლასიკურშიცო!

კლასიკურზე რა მოგახსენოთ, იგი ალბათ მომავლის საქმეა, მაგრამ ლევან თედიაში იმედია, რომ ტატამზე წარმატებით სცადა ბედი თვით ძიუდოს სამშობლოში, ეს უკვე ფაქტია და ჭიდაობის ისტორიამაც შემონახა.

ახალი წელი ახალი სიხარულით დაიწყო ამ უნივერსალური მოჭიდავის ცხოვრებაში. ახალწლის მიჯნაზე მას შეეძინა პირმშო, ვაჟი, რომელსაც ვახტანგი დაარქვა. ამ ამბით ცას ეწია მრავალჭირნახული, ომგადახდილი პაპა- ქიტესა და ბებია აღექსანდრა. დაიღია ბევრი სადღეგრძელო ძველ ნაფუძარზე ახალაშენებული ქვიტკირის ორსართულიან ლამაზ სახლში და კარმიდამოზე.

ახალ წელსვე, უკვე მეორედ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, ჩვენი რესპუბლიკის სპორტულმა ჟურნალისტებმა 1973 წლის № 1 სპორტსმენად დაასახელეს სპორტის დამსახურებული ოსტატი, თავისუფალ ჭიდაობაში, ოლიმპიური ჩემპიონისამბოში ლევან თედიაში ილი.

მძიმეა სპორტსმენთა ხვედრი. მუდმივი წვრთნა, ხშირი გამგზავრება შეჯიბრებებზე და კვლავ წვრთნა თითქოს სწავლისათვის სერიოზულად ფიქრის საშუალებას არ აძლევს მათ. მაგრამ ლევანი კარგად უთავსებს სპორტსმენის რთულ შრომას წარმატებით სწავლას. შრომისმოყვარეობა და სიბეჯითე დაეხმარა მას საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა.

საგარეჯო ჭიდაობის ერთ- ერთი არტერია და მოჭიდავეთა სამჭედლოა. აქ ოდითგანვე კარგად იციან სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის ფასი. გარეკახეთმა აღზარდა ძველი, საშუალო და ახალი თაობის მოჭიდავეთა შესანიშნავი პლიადა. ვინ მოთვლის ყველას, ვისაც სასახელო შედეგები მოუპოვებია რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. მარტო სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ.

მეკოკიშვილმა გამოზარდა 47 წლის სპორტის ოსტატი, რომელთაგან ერთი მსოფლიოს, ხოლო სამი სსრ კავშირის ჩემპიონია.

ამ რამდენიმე ხნის წინათ საგარეჯოში შეხვედრა მოუწყვეს ლ. თედიაშვილს. ითქვა ბევრი ამაღელვებელი სიტყვა. უქებდნენ ლევანს შრომისმოყვარეობას, თავდამბლობას, მოკრძალებას, აქტიური ბრძოლის მანერას, კოლექტივის ინტერესებისათვის თავდადებას, მაღალ ტექნიკას.

მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში გ. საღარაძემ, რომელმაც თავის დროზე ლევანს კარგი მომავალი უწინასწარმეტყველა, აღნიშნა, როგორც სპორტსმენი და მოქალაქე, მედლის ორივე მხარეს ამშვენებსო.

თავის გამოსვლაში ლევანმა უსურვა ახალგაზრდებს არ დაიშურონ ნიჭი, გარჯა შრომის, სწავლისა და სპორტისათვის, განამტკიცონ შესანიშნავი ტრადიცია.

სპორტული ბრძოლის თავდავიწყებით მოყვარულ ლევან თედიაშვილს მალე მეტად მნიშვნელოვანი შეჯიბრებები ელის. გეჯერა, რომ იგი ყველგან კვლავ პირველი იქნება.

გ. ზუკაკიშვილი.

გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ 1974 წელი 12 სექტემბერი.

„ბევრი რამ არის, ჰორაცო, ქვეყნად ასეთი...“

ჩვენ იგი გვანცვიფრებს.

ერთი უცხოელი სოციოლოგი ჩიოდა: თანამედროვე ადამიანმა თითქმის დაკარგა უძვირფასესი თვისება - გვანცვიფრების უნარიო. მთვარეზე კაცი გაფრინდა და, თითქოს არარფერი მომხდარა, ბეისბოლის მატჩი უფრო აინტესებდათო...

ჩვენ იგი გვანცვიფრებს. და უკვე მერამდენე წელია, ეს სასიამოვნო შეგრძნება თავს არ გვანებებს, ჭიდაობით საქართველოში აბა ვინ უნდა გააკვირვო. ორლიმპიური, მსოფლიო, ევროპის, სსრ კავშირის ჩემპიონები, რომ იტყვიან, დასტა-დასტად გვეყვლია. არ გამოჩნდება ქვეყნად კაცი, შეგვედავოს ქართული

საფალავნო სკოლის ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე მთელს მსოფლიოში. ამას ტრაბახით არ ვამბობთ: საჭიდაო ისტორიის ფოლიანტები სავსეა ჩვენი ფალავნების ტრიუმფალური გამარჯვების ამბებით. წაიკითხე და გაიხარე, რა გინდა სულო და გულო, რომელი ლითონისგან გამოჭედილ მედალს არ ნახავ ჩვენი მოჭიდავეების სამშო ყულაბაში.

და მაინც, იგი გვანცვიფრებს, მიუხედავად ჩვენი ჭიდაობის უმდიდრესი ტრადიციებისა, მიუხედავად მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და, ბოლოს, ურიცხვი ფალავან-ჩემპიონისა.

იქნებ ამ განცვიფრებას ისიც უდევს საფუძვლად, რომ თავისუფალი ჭიდაობის სპორტული სკოლის კარიბჭეს მსოფლიოს ასპარეზზე და ეს ერთი სახელოვანი ბურჯი შემორჩა. იგი თითქოს რაინდების დარად იცავს ზღურბლს, ამ დიახაც სახელოვან სკოლას, რათა ჟანგი არ მოეკიდოს წინამორბედთა მონაპოვარ-ნამოღვაწარს.

დიახ, იქნებ მისი განსაკუთრებული ადგილი თანამედროვე ჭიდაობაში ჩვენის მხრივ ჩემპიონთა მკვეთრი დეფიციტითაა გამოწვეული. ვინ იცის... ერთი კი ნათელია: ლევან თედიაშვილი ჩემპინთა ჩემპიონია, ფალავანია, რომელსაც მძლავრი ხელებითა და ჭეშმარიტად რკინის ზურგით ძალუძს კრიზისის კონკრეტულ პერიოდში იტვირთოს სიმძიმე, რომლის ტარებაში ჯერ-ჯერობით მეგობარ-ამხანაგები ღირსეულად ვერ ეხმარებიან.

ის დარჩა, როგორც თავისებური სიმბოლო თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა სკოლის წინანდელი ძლევამოსილებისა, როგორც მისი უპირველესი და, სამწუხაროდ, თითქმის ერთადერთი ალამდარი.

იგი ჩვენ გვანცვიფრებს. მისი ოპტიმიზმი ენით აუწერელია, და მაინც, ამ რკინის ადამიანს აქვს ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტეები, რომელთა მიჩქმალვა-დამალვა აგრევიგად უჭირთ ჩვეულებრივ მოკვდავთ.

მას მძიმე ტვირთი აქვს წამოკიდებული და ზოგჯერ იხრება მისი სიმძიმის ქვეშ, მაგრამ უმალ იმართება წელში, რამეთუ ერთობ საღად აფასებს შექმნილ სიტუაციას (სპორტი სულაც არ არის სტაბილური სფერო, სადაც ჩემპიონებს სამარადისო ტახტი უდგათ).

დიახ, თვით მსოფლიოს საუკეთესო ჩემპიონს, ყველა დროის ფალაგანს, როგორც მას უწოდებენ საბჭოთა და უცხოელი სპორტული მიმომხილველები, აქვს თავისი მწვავე სპორტული პრობლემები... ოღონდაც სხვებისგან განსხვავებით იგი საძირკველ შივე „მკურნალობს“ მათ.

გერძნობ, წერილის თავში ბევრი ნართაული ფრაზა გამოვიყენე და დროა მკითხველს ზოგიერთი ბუნდოვანი მოსაზრება განვუმარტო. მით უმეტეს, რომ ისინი, ეს განმარტებები, ასე ეთქვათ, პირველწყაროდან მაქვს მიღებული.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი წლეულს გამოჰყავთ ევროპის პირველობაზე მადრიდში. კეთილი და პატიოსანი, რა არის ამაში საკვირველი? ლევანი მადრიდიდან გამარჯვებული გვიბრუნდება. მაგრამ სპეციალისტებისა და მისი აზრიდაც ეს უფრო პიროსის გამარჯვებას ჰგავდა.

„ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ნაკრების მწვრთნელები დაეჭვებულები იყვნენ ჩემს საბოლოო გამარჯვებაში. ისინი ლელავდნენ, ჩემს ხალიჩას არ შორდებოდნენ და უკმაყოფილოდ აქნევდნენ თავს. მათი ნერვიულობა მეც გადამედო. ასაღელვებელი კი მართლაც ბევრი მქონდა. რატომ? ერთ-ერთი ვარჯიშის დროს, ეს იყო შარშან დეკემბერში, სერიოზულად დავიშავე ლავიწის ძვალი. ამის გამო კარგა ხანს ვეღარ ვეარჯიშობდი, ვერც თბილისის საერთაშორისო ტურნირში ვიჭადავე. მერე კი, როცა მოვრჩი, ჯიქურ დავიწყე ინტენსიური მზადება ევროპის ჩემპიონატისათვის. ეტყობა, ვერ მოვზომე, გადავიღალე, ისე ვეღარ ვიყავი ჯანზე, როგორც მინდოდა. ალბათ ჩვენებს რომ ენახათ ჩემი ჭიდაობა მადრიდში, ვერ მიცნობდნენ - იმდენად შემეცვალა ჭიდაობის მანერა... მართალია, ესპანეთში სამი წმინდა გამარჯვება მოვიპოვე, მაგრამ ქულებით მოგება მაინც ჭარბობდა. ასე იყო თუ ისე, მადრიდის ხალიჩიდან, რომ იტყვიან, „მშრალად“ გამოვედი - ევროპის ჩემპიონი გახვდი, მაგრამ რის ვაი-ვაგლახით“...

ეს მომენტი გულშემატიკვრობისათვის სრულად შეუმჩნეველი დარჩა. თედიაშვილის ჩემპიონობა ყველამ ჩვეულებრივ ამბად მიიღო. და მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრე სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამდა უძლეველი ფალაგანის სპორტული

ფორმის გამო: წინ ხომ სტამბულის მსოფლიოს ჩემპიონატი იყო!

„ნაკრების მწვრთნელებს სულაც არ ვადანაშაულებ. მათი უნდობლობა საფუძვლიანი გახლდათ. მწვრთნელი რომ ვყოფილიყავი და ეკითხათ, „მადრიდის ფორმით“ სტამბულში წაიყვანთ თუ არაო, მეც ასე შევეყოყმანდებოდი. ნებისმიერმა სპორტსმენმა, როგორი სახელოვანიც უნდა იყოს, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საქმით უნდა დაამტკიცოს თავისი ძალა და პრეტენზია. რეაბილიტაციისათვის მზად იყო უფის საკავშირო ჩემპიონატის ხალიჩა. აი, სად უნდა მეჭიდავა, თუკი მინდოდა სტამბულის ტურნირის მონაწილე ვყოფილიყავი“.

როგორც ხედავთ თვით უძლეველ ფალავნებსაც აწუხებთ სერიოზული პრობლემები. მათ არა აქვთ უფლება თუნდაც ერთი წუთით მოდუნდნენ, სისუტე გამოჩინონ, ხელი აიღონ ბრძოლაზე. ეს კი არა, მათ ავადმყოფობის უფლებაც არა აქვთ ვერ ივარჯიშებ, დასუსტდები, გუშინდელი მეტოქეები წამოგეწევიან, დაიწება ღელვა, შეჯიბრებები კი დასუსტებულ, რიგიანად უვარჯიშებელ კაცს უზარმაზარ ნერვიულ ენერჯიას ართმევს... აი, რატომ არა აქვთ უფლება სახელოვან ფალავნებს წუთით მაინც გამოეთიშნონ საჭიდაო სამყაროს გაუთავებელ ორომტრიალს. ასეთია სპორტული ცხოვრება.

ახლა მას უნდა ეფიქრა „შინაურ“ მეტოქეებზე, მრისხანე კონკურენტებზე, რომლებსაც მადრიდის მსოფლიო ჩემპიონატამდე თედიაშვილის ძლევა მოსილი ფიგურის ფონზე სერიოზულად არავინ ღებულობდა სათვალავში (რა თქმა უნდა, მსოფლიო ჭიდაობის მასშტაბით). ეს იყო ყველაზე სერიოზული გამოცდა არა მარტო სპორტული თვალსაზრისით, არამედ მკითხველისათვის გასაგები მიზეზების გამოც. ამოცანას ისიც ართულებდა, რომ ერთწლიანი პაუზის შემდეგ სარბიელს დაუბრუნდა მიუნჰენის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი გენადი სტრახოვი. ეს ის სტრახოვია, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა მეორე ქვესაშუალო წონით კათეგორიაში. მან ყველანაირი ჯილდო მოიხვეჭა.

სტრახოვისა და ლევანის გზები უფის ჩემპიონატამდე არ გადაჯვარედინებულა. უბრალოდ, ლევანი უწინ ერთი წონით დაბალ კატეგორიაში გამოდიოდა. „დამძიმებულ“ ქართველ

ფალავანს ხალიჩაზე ახალდაბრუნებული, ბრძოლის ჟინით აღსავსე სტრახოვი ელოდა. ეს იყო საკავშირო ჩემპიონატის ყველაზე შთამბეჭდავი შერკინება. •

„სტრახოვი მხოლოდ ბრმა შემთხვევის გამო ვერ გახდა მიუნჰენის ოლიმპიადის ჩემპიონი. ოლიმპიადაში გამარჯვებულ ამერიკელ ბენ პიტერსონს იგი მხოლოდ წმინდა მოგებათა რაოდენობით ჩამორჩა. რა იყო საჭირო გამარჯვებისათვის? თითქმის არაფერი. სტრახოვი გადამწყვეტ შეხვედრას 9 ქულით იგებდა, საკმარისი იყო კიდევ ერთი ქულა, რათა აშკარა უპირატესობით დაემთავრებინა ორთაბრძოლა და პიტერსონი ჩამოეტოვებინა. სამწუხაროდ, ეს ერთი ქულა მან ვერ აიღო და საბოლოოდ ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორის ტიტულით დაკმაყოფილდა. მიუნჰენის შემდეგ სტრახოვი დაშავდა წელიწადი არ გაკარებია ხალიჩას. როგორც სპეციალისტები ამბობენ, გამოჯანმრთელების შემდეგ იგი პირდაპირ იწვოდა საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვების სურვილით. თანაც, მისი იძულებითი შესვენების დროს სტრახოვის წონითს კატეგორიაში გადავბარგდი და მას მასპინძლის კანონიერი პრეტენზია ჰქონდა. მართალი გითხრათ, უფაში სტრახოვთან შეხვედრამდე, ცოტათი შეფიქრიანებული ვიყავი, თუმცა თავს საუცხოოდ ვგრძნობდი. ასე ხდება მუდამ, როცა შედარებით უცნობ მეტოქეს ვხვდები. სტრახოვი კი ერთობ ძლიერი და აგრესიული მოჭიდავე, მუდამ ცდილობს აქტიურობით დაჩაგროს, წონასწორობიდან გამოიყვანოს მეტოქე. ჩემთან შეხვედრის წინ სტრახოვმა წმინდად მოუგო სოხუმელ მარშანიას, რომელსაც მეტად მაღალი რეპუტაცია აქვს და ასეთი ლაფსუსები ძალიან იშვიათად მოსდის.

ეს შეხვედრა არასდროს დამავიწყდება, ერთმანეთში აირია ეჭვი და ოპტიმიზმი, გამარჯვების რწმენა და სიფრთხილე... მერე, მართალი გითხრათ, ჭიდაობა არ გამძნელებია, შედარებით იოლად მოვიგე, აი, როგორ იყო ეს. ხალიჩის შუაგულში შევხვდით თუ არა, ფეხი არც ერთს არ მოგვიცვლია. ასე ვჭიდაობით არაფერს არ ვთმობდით, მაგრამ ვერც ერთმა ქულა ვერ ავიღეთ. ასე გაგრძელდა სამ წუთს. მერე ერთ-ერთი მბაფრი შეჭიდების დროს, მთელი ძალით მოვიზიდე მეტოქე და ინერციით

უკან გადავიტანე. წონასწორობადაკარგული მოწინააღმდეგე ხალიჩამდე აღარ დამიშვია და გამეტებით გავაკარი ბეჭებზე. სხვათა შორის, ეს ილეთი უფრო ინტუიციით გავაკეთე. საბედნიეროდ კინოოპერატორებმა ფირზე აღბეჭდეს ჩვენი შეხვედრა და მხოლოდ ეკრანზე აღვიქვი ხალიჩაზე მომხდარი ამბავი.

ჩემპიონობისაკენ მიმავალ გზაზე სტრახოვი ჩამოშერებულა. ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი და ამ წონითს კატეგორიის „სტაჟიანი მასპინძელი“ ტრიბუნიდან უყურებს თედიაშვილის შეხვედრას ნიჭიერ გროზნოელ ათლეტთან ბეთხამ ტუნგაევთან. ლევანმა დამაჯერებლათ გაიმარჯვა - ტაბლოზე ინთება ციფრები 7:2 თუმცა, ბოლო პაექრობის შედეგის მიუხედავად, თედიაშვილი ისედაც ჩემპიონი იყო, მაგრამ... გახსოვთ, რას ვამბობდით ზემოთ: ნამდვილ ჩემპიონს არა აქვს არა თუ დამარცხების (თუნდაც ბრძოლა ნაკლებად პრინციპული იყოს სპორტული თვალსაზრისით), არამედ წუთით ყურადღების მოდუნების უფლებაც კი. შეჯიბრება სტამბულში მისთვის „ჩვეულებრივი“ მსოფლიო ჩემპიონატი იყო. როცა თედიაშვილი საღ-სალამათია, რიგიანადაა მომზადებული, მის წონითს კატეგორიაში ბრძოლის სიმძაფრე კლებულობს, ხოლო ფავორიტი ერთია ქართველი მოჭიდავე. ლევანმა დაჩრდილა ყველა მეტოქე, რის გამო „პირველობა ამ წონაში ერთგვარად უინტერესოც კი გახდა. მაყურებელი მიდიოდა თედიაშვილის სანახავად, და, ცოტა არ იყოს, გულნაკლული რჩებოდა: ქართველი ათლეტი ძალიან მალე ამთავრებდა შეხვედრებს... მაგალითად მას სულ 7 წამი დასჭირდა შევიცარიელ მარტინიტისთან გამარჯვებისათვის“, - ასე წერდა სპორტული პრესა, მაგრამ უფრო ღიდი იქნებოდა განცვიფრება, რომ „მოკლემეტრაჟიანი“ შეხვედრის ხანგრძლივობისათვის კურნალისტებს 4 წამი არ წაემატებინათ.

„ახლა ხშირად მეკითხებიან ამ შეხვედრის თაობაზე. რა შემძლია ვუთხრა სტატიისტიკის მოყვარულებს. შევიცარიელ მარტინეტს მოვუგე არა შეიდე, არამედ სამ წამში. ეს ასე მოხდა. როგორც წესი და რიგია, ხალიჩის შუაგულში შევხვდით ერთმანეთს და ხელი ჩამოვართვით. ვხედავ, მოულოდნელად ისეთნაერი დადგა, რომ ჩემი საყვარელი ილეთის შესრულების

საშუალებას მაძლევს. ასე ვარჯიშზეც არ დაგიდგება კაცი., ერთბაშად ხელი ჩაეჭიდე და გარესარმით გაეაკარი ბეჭეებით ხალიჩას. ისე, კაცმა რომ თქვას, მარტინეტი სულაც არ არის ხელწამოსაკრავი მოჭიდავე. ძლიერ გამოცდილ ათლეტად ითვლება. დასაწყისში კი ვფიქრობდი, ჭიდაობა ცხრა წუთს გაგრძელდება-მეთქი.

ფინალში ვეჭიდავე თურქ გიუჩლიუს. იგი თურქების საყვარელი ფალავანია, ჩემს წონითს კატეგორიაში დიდი ხანი არ არის გადმოვიდა (უწინ იგი ქვემძმე წონაში გამოდიოდა). მან დამაჯერებლად დაამარცხა ცნობილი შტოტმაისტერი. ამით, ვფიქრობ ყველაფერია ნათქვამი. გიუჩლიუს აშკარა უპირატესობით მოვუგე (14:2), დანარჩენებს კი - წმინდად...“

ის ჩვენ გეანცვიფრებს. ამოდ ჩიოდა უცხოელი სოციოლოგი. განსაცვიფრებელი ამ ქვეყნად ბევრია, ყოველ შემთხვევაში, ეს ნამდვილად ითქმის ლევან თედიაშვილის ჭიდაობაზე.

ა. გოგელია.

გაზეთი „ლელო“, 29 სექტემბერი, 1974 წელი.

„კიდევ ბევრი თედიაშვილი...“

დამთავრდა თბილისის XIV საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

კვირა საღამოს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა საერთაშორისო ტურნირის დასკენითი შეხვედრები. სამი დღის განმავლობაში ოცდაათ ათასამდე მაყურებელმა 200-მდე დაძაბული ორთაბრძოლა იხილა.

მსოფლიოს ოთხეზისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ლევან თედიაშვილი (90კგ)შეუდარებელი იყო ამ ტურნირშიც. მან ოთხი წმინდა გამარჯვების შემდეგ ფინალში ქულებით სძლია გროზნოელ ბეკხან ტუნგაევს და ყველა მეტოქე უკან ჩამოიტოვა. სწორედ მას გადაეცა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვახტანგ ბალავაძის პრიზი.

...ირანის გუნდის ხელმძღვანელი, მრავალი სახელოვანი

ფალაენის ჰაბიბის, ტახტის, ზანდის, ხოჯასტეპურის და სხვათა აღმზრდელი ჰაბიბ ბულური (შეგახსენებთ, რომ იგი ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონ იმამალი ჰაბაბისთან ერთად თამაშობს ჩვენი მაყურებლისათვის კარგად ცნობილ ირანულ მხატვრულ ფილმში „მაზანდარელი ვეფხვი“) აღფრთოვანებული ადევნებდა თვალს ლევანის ყოველ ორთაბრძოლას. გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალის დროს ჩვენ საშუალება მოგვეცა გავსაუბრებოდით მას.

- ლევან თედიაშვილს - თქვა ჰ.ბულურმა ისეთი თვისებები გააჩნია, როგორც არც ერთ მოჭიდავეს არა აქვს. იგი განუმეორებელი ფალაენია. თითქმის მთელი ჩემი ცხოვრება საჭიდაო დარბაზში მაქვს გატარებული და მეგონა ხალიჩაზე აღარაფერი გამიკვირდებოდა. გამოგიტყდებით - ლ.თედიაშვილის ჭიდაობამ ეს აზრი გამიქარწყლა. იგი გასაოცარი ტექნიკისა და ძალის მქონეა. მისი ტექნიკური არსენალი... ათ მოჭიდავესაც კი ეყოფოდა. ბოლოს მე იგი თურქეთში მსოფლიო ჩემპიონატზე ვნახე. მას შემდეგ თითქმის ერთი წელი გავიდა და, წარმოიდგინეთ, ლევანი კიდევ უფრო გაზრდილა როგორც მოჭიდავე. იგი ღირსეულთა შორის ღირსეულია და სავსებით დაიმსახურა ბრწყინვალე ქართველი სპორტსმენის ვახტანგ ბალავაძის პრიზი. ქართულ ჭიდაობას გულწრფელად ვუსურვებ კიდევ ბევრი თედიაშვილი აღეზარდოს!

*ო.კუსიანი სპორტის ოსტატი
გაზეთი „კომუნისტი“ 4 თებერვალი 1975წ.*

„მეცით ნიჭსა გზა ფართო...“

სპორტში კარგად გათვითცნობიერებული ხალხიც კი ხშირად სტერეოტიპულ შეცდომას უშვებს და ერთმანეთში ურევს ნიჭსა და შრომისმოყვარეობას. ნიჭი მართლაც ფასდაუდებელი ღირსებაა. ნიჭი მადლია, რომელსაც ბუნება მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულებისთვის იმეტებს.

მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ნიჭი, როგორც განყენებული ფენომენი, ყოვლისშემძლეა და სასწაულმოქმედი, ნიჭი ადამიანის ერთი გარკვეული თვისებაა, რომელიც აუცილებელ კავშირში უნდა იყოს შრომის-მოყვარეობასთან. მხოლოდ ამ შემთხვევაშია ნიჭი სრულყოფილი და, თუ გნებავთ, სასწაულმოქმედი.

ჩვენ ხშირად ვამბობთ, ამა და ამ კაცმა თავისი ნიჭი გაფლანგაო. არ არის სწორი. ნიჭის გაფლანგვა საერთოდ არც შეიძლება. ადამიანი ზოგჯერ ვერ წარმართავს ხოლმე თავის ნიჭს სწორი გზით ამიტომ, რომ არ არის შრომისმოყვარე. ეს კი სულ სხვა საქმეა.

ლევან თედიაშვილს - მსოფლიოს და ოლიმპიულ.რი თამაშების ჩემპიონს - ბუნებამ უხვად დააბერტყა სიუხვის კალთა. სწორია! მაგრამ ამ შესანიშნავი მოჭიდავის ნიჭის გაფურჩქვნა მისი შრომისმოყვარეობის პარალელურად მოხდა. ამას კი მარტოდენ ნიჭის ზოგიერთი თაყვანისმცემელი ვერ ამჩნევს.

მახსენდება სსრ კავშირის მოჭიდავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის იური შახმურადოვის სიტყვები: „ბევრს ჰგონია, რომ ლევან თედიაშვილმა თავისი მაღალი ტიტულები და სახელი უშრომლად მოიპოვა. მცდარი აზრია. მე არ მეგულება მეორე ლევანისთანა შრომისმოყვარე მოჭიდავე“.

რამდენი ჭეშმარიტებაა ამ სიტყვებში, რა სწორი და საგულისხმო შეფასებაა ნიჭისა! ლევანს მართლაც დიდი ფიზიკური ძალა აქვს. იგი საოცრად სწრაფია, მოქნილი, კოორდინირებული. ეს ყველაფერი უდავოდ ბუნების წყალობაა, მაგრამ ამ თვისებათაგან არც ერთი არ იქნებოდა ეგზომ მძლავრი იარაღი სხვა უნებისყოფო და შრომისადმი მტრულად განწყობილ მოჭიდავეში.

- ლევან, რა არის თქვენი მთავარი ამოცანა ამ სეზონში? - შევეკითხე ერთხელ მას.

- ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება.

- კი მაგრამ, ჯერ რა დროს ოლიმპიდაა?

- დღეიდან თუ არ შეუდექი მონრეალისთვის ვარჯიშს, მერე გვიან იქნება. ხალხთა მომავალ სპარტაკიადასაც ამ კუთხით ვზომავ.

ხშირად მინახავს თედიაშვილი სავარჯიშო დარბაზში. უცხო კაცი ვერასდროს იგრძნობს, რომ მის წინაშე ოლიმპიური ჩემპიონია, მსოფლიოს საუკეთესო მოჭიდავე და ჩვენი მომავალი იმედი. იგი, როგორც წესი, ყველაზე ადრე იწყებს ვარჯიშს და ყველაზე გვიან ამთავრებს. იგი მაშინაც ვარჯიშობს, როცა სხვები ისვენებენ. ვარჯიში, მუშაობა, ვარჯიში ეს მისი ყოველდღიური ცხოვრების დევიზია, უფრო ზუსტად, მთელი ცხოვრება.

დილით - საჭიდაო სარბიელი, საღამოს - ისევ სარბიელი-ლევანი სხვა საქმეებსაც თავისუფლად ასწრებს შუაღამებში. იგი არსად, არაფერში არ არის ჩამორჩენილი. მუდამ კარგ ხასიათზეა, ღიმილით გხვდებათ, მხიარულად გესაუბრებათ. მაგრამ, როცა სავარჯიშოდ შედის სარბიელზე, ყველაფერს იეიწყებს. პასუხისმგებლობის გრძნობა საოცრად აქვს განვითარებული ამ დიდებულ მოჭიდავეს.

- მე ვიცი, როგორ ვუყვარვარ ჩვენ ხალხს, როგორ გულწრფელად განიცდის იგი ჩემს ყოველ წარმატებას ან წარუმატებლობას. მე ვალში ვარ ქართველი ხალხის, ქართველი გულშემატკივრების წინაშე ამ სითბოსთვის და სიყვარულს სიყვარულითვე უნდა ვუპასუხო.

ლევან თედიაშვილმა ოლიმპიური თამაშებისათვის მზადება უკვე კარგა ხანია დაიწყო. ამ მხრივ მან დიდებული მაგალითი მისცა ნაკრები გუნდების სხვა კანდიდატებს. ლევანი გულმოდგინედ მუშაობს, შრომობს, ოფლს ღერის იმისათვის, რომ მის ნიჭს ჩრდილი არ მიაღგეს მომავალში.

ახალგაზრდებო! ისწავლეთ ლევანისგან შრომა, იყავით ლევანივით მტკიცე ნებისყოფისა, მიზანდასახული. აი, მაშინ მიხვდებით, რომ ნიჭი ყოველ თქვენგანს აქვს, ოღონდ გზა ფართო სჭირდება... ნ.გუგუშვილი.

გაზეთი „ლელო“ 28 თებერვალი 1975წ.

—ნუ წააქცევ, ლევან!

არ ვიცი, რას ფიქრობენ ამის თაობაზე სხვა სპორტული ჟურნალები, მაგრამ პირადად მე მუდამ ძალიან მიჭირს წერა გამოჩენილ სპორტსმენზე. არა, თვით წერის პროცესი როდი: მაქვს მხედველობაში; თვალსაჩინო ათლეტი საყოველთაო ყურადღების შუაგულშია და მას საზოგადოების ყოველი წევრი ლამის შინაურად ღებულობს. არა მარტო მისი სპორტული მიღწევები, არამედ თვით ინტიმური ცხოვრების ეპიზოდებიც კი კარგად იციან. დაწერ ნარკვევს ასეთ სპორტსმენზე და თითქოს ჩაგესმის ჭირვეული, მაგრამ სამართლიანი მკითხველის უკმაყოფილო ბუზღუნი: ეს ისე ვერ გაუკეთებია ავტორს, როგორც საჭირო იყო, ეს დეტალი მეტ ყურადღებას იმსახურებდა და უფერულად გამოსვლიათ... ერთი სიტყვით, გამოჩენილ სპორტსმენზე წერა ერთგვარად უმადური საქმეცაა.

ჩავთვალთ რომ ეს სტრიქონები მკითხველმა ცნობად მიიღო და ჩვენც მეტი ხალისითა და სიამოვნებით მოვკიდებთ ხელს ნარკვევს, რომელიც დიდი სიყვარულით გვინდა ვუძღვნათ ლევან თედიაშვილს. მით უმეტეს, რომ ასეთი მასშტაბის სპორტსმენი ახლა თითო-ოროლა თუ დაიარება საქართველოში.

...თბილისში ხშირად ჩამოდის ინტელიგენტური შესახედაობის შავგრემანი მამაკაცი. მას მიაჩნია, რომ საბჭოთა ქვეყნის ჭიდაობის ადგილის დედა საქართველოშია. ესეც არ იყოს, იგი ვალდებულია, როგორც ქვეყნის მთავარი გუნდის უფროსი მწვრთნელი, დაესწროს ჩვენში გამართულ შეჯიბრებებს, თვალყური ადევნოს ქართველი ფალავნების გამოსვლებს, რადგანაც მათი წიაღიდან მსოფლიოს, ევროპის ოლიმპიური თამაშების ბევრი ტრიუმფატორი იშვა. ამ კაცს, რომელსაც იური შახმურადოვს ეძახიან, მიაჩნია, რომ საქართველოში და საერთოდ, საბჭოთა კავშირში ლევან თედიაშვილის ბადალი ფალავანი დღესდღეობით არ არის.

- თედიაშვილს ნაკლი არა აქვს, - მოკლედ თქვა მან.

მე ვთხოვე უფრო კონკრეტულად დაესაბუთებინა თავისი მოსაზრება.

- სიამოვნებით, - მეუბნება შახმურადოვი,

ოღონდ ჩემი პასუხი იქნებ დამაკმაყოფილებლად არ მოგეჩვენოთ. როცა თედიაშვილის ჭიდაობას ვუყურებ, ხოლო შემდეგ გულშემატკივრები მთხოვენ დავახასიათო მათი საყვარელი მოჭიდავე, ვფიქრობ, რომ საამისოდ საკმარისი არ არის იყო მარტო კვალიფიციური მწვრთნელი...

მცირეოდენი პაუზის შემდეგ მან დამარცვლით მითხრა: - საამისოდ უნდა იყოს ბელეტრისტი, ადამიანი, რომელსაც ძალუძს ამა თუ იმ ღირსშესანიშნავი მომენტის, ამ შემთხვევაში, ჭეშმარიტ ხელოვნებამდე აყვანილი ჭიდაობის გადმოცემა. მოკლედ კი ასე შეიძლება ითქვას: თედიაშვილს აქვს გაუგონარი ფიზიკური ძალა, არნახული, დიახ, არნახული ტაქტიკური აზროვნება, უჩვეულო გამძლეობა და, რაც მთავარია, ნიჭი, დიდი, კაშკაშა ნიჭი.

მე ვგრძნობდი, რომ ეს მრავლისმნახველი ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი გულშემატკივარივით არის შეყვარებული ჩვენს ფალავანზე და აღარაფერი მიკვირს. ველოდი, როდის განედგებოდა მისში ერთბაშად ალაპარაკებული „სამოყვარულო“ პათოსი და სპეციალისტის ენით განმიმარტავდა სათქმელს.

ამ დროისათვის თედიაშვილს უკვე დაემთავრებინა ჭიდაობა უძლიერეს მეტოქესთან - უკრაინელ პროკოპჩუკთან. სპორტის სასახლის უზარმაზარი დარბაზი გაოგნებული იყო არა შეხვედრის შედეგით, რაშიც თავიდანვე არ ეპარებოდათ ეჭვი, არამედ თვით ჭიდაობის ხარისხით. ასეთი ჭიდაობის სანახავად ცხრა მთას იქიდან ჩამოვა კაცი. ასეთი ჭიდაობა ქრესტომათიული ხდება და, გახმაურებული საჭადრაკო პარტიის მსგავსად, მსოფლიო ყველა კუთხეს მოივლის.

ამასობაში შახმურადოვმაც მოითქვა სული და განაგრძო:

დააკვირდით ერთ ფრიად საგულისხმო მომენტს? თედიაშვილმა კისრულით წამოიღო მეტოქე, ხელი დაუსხლტა და ილეთი ბოლომდე არ მიუყვანია, შებარბაცდა, წონასწორობა დაკარგა და იერიშზე გადმოსული მეტოქის მკლავებში მოექცა. აი, აქ მოხდა, რაც მოხდა: თედიაშვილი ელვის სისწრაფით შემობრუნდა და უკვე სხვა ფანდი შესთავაზა პარტნიორს. ილეთი ილეთზე! ეს ჭიდაობის ყველაზე რთული მომენტია. ეს კონტრილეთი არ გეგეონოთ, ფალავანს ხერხი არ დაუსრულებია,

რომ უკვე მეორე ილეთით აგრძელებს ჭიდაობას. სანახავად ლამაზია, მაგრამ მისი შესრულება ამგვარად მხოლოდ თედიაშვილს ძალუძს. ნათქვამია, - განაგრძობასი შახმურადოვმა, - სხვა სხვის ომში ბრძენიარ. ჭიდაობაში ეს ასე უნდა გავიგოთ: მწვრთნელი, საჭიდაო ხალიჩის მიღმა ფალავანზე ბევრად უკეთ აღიქვამს შერკინებს და უმაღლ ამჩნევს მის ღირსება-ნაკლოვანებებს. თედიაშვილზე ის შემოძლია ვთქვა, რომ იგი ხაოლიჩის მიღმა მდგარი სპეციალისტივით აღიქვამს... საკუთარ ჭიდაობას! ჩვენ, მწვრთნელებს, რომლებსაც ბევრი გვინახავს და ბევრიც საკუთარ თავზე გამოგვიცდია. ეს მიგვაჩნია რაღაც არაადამიანურ ალღოდ, ინსტიქტად, ნათელხილვად ანდა, რაც გნებავთ, დაარქვით ამ საოცარ გრძნობს...

მან განაცვიფრა თეირანი, რომელსაც ჭიდაობაში ჩვენზე ნაკლები არ უნახავს. მაგრამ თეირანს არ უნახავს და არც გაუგონია ლევან თედიაშვილამდე, როგორ შეიძლება დღეს, საჭიდაო ხალიჩაზე გამოვიდეს კაცი და ზედიზედ მოიგოს მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლები თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში. საინტერესოა, თეირანში ლევანი „კლასიკოსებსაც“ რომ შებრძოლებოდა, რა მოხდებოდა? მარჩიელობიას ნუ შევუდგებით, მაგრამ ერთი გადაჭრით შეიძლება ითქვას: იგი იბრძოლებდა მხოლოდ ოქროს მედლისთვის!

ერთხელ ჭიდაობის „სეისმურმა მოწყობილობებმა“ შკალაზე ვერ აღწესხეს თედიაშვილის ხალიჩაზე გამოსვლა, იმდენად მცირე ხანს გაგრძელდა იგი. სულ სამი წამი დასჭირდა ლევანს, არც მეტი და არც ნაკლები, შევიცარიელი მარტინეტის დასახმარებლად! ეს მოხდა არა რომელიმე რიგითს ტურნირში, არამედ სტამბულის მსოფლიო ჩემპიონატზე. ჭეშმარიტად, თედიაშვილის ლტოლვას რეკორდებისკენ არა აქვს საზღვარი. ასეთი მოჭიდავე „უდაბნოში“ ვერ დაიბადება. რაც გნებავთ თქვით და ტრადიცია მაინც ტრადიციად რჩება.

...შახმურადოვს არ უნდოდა ჭიდაობის მიტოვება. იგი, როცა ემშვიდობებოდა საჭიდაო სარბიელს, როგორც იტყვიან. სპორტული ნიჭის გაფურჩქვნის ასაკში იყო. მაგრამ შახმურადოვს არც ის უნდოდა, რომ მეორე ყოფილიყო, თუნდაც თედიაშვილის შემდეგ. მათი პაექრობა ქვეყნისა და მსოფლიოს პირველი

ფალავნის სახელისთვის ერთობ ხანმოკლე გამოდგა და დამთავრდა ბოლო საკავშირო სპარტაკიადაზე. კვარცხლბეკზე გამარჯვებულისთვის მხოლოდ ერთი ადგილია და მასზე ორი, თუნდაც უებრო ფალავანი ვერ მოთავსდება - ერთ-ერთმა უნდა დატოვოს სარბიელი. და შახმურადოვიც, გულნატკენი მაგრამ კმაყოფილი, რომ ღირსეული მემკვიდრე დატოვა, გაეცალა „ბრძოლის ველს“. შუა საუკუნეების რაინდის დარად - ამაყად, ღირსების გრძნობით...

არის კიდევ ნიჭიერი მოჭიდავე თედიაშვილის წონაში, ქერათმიანი გოლიათი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკიდან, ევროპის ჩემპიონი შტოტმაისტერი. 1972 წლის თბილისის საერთაშორისო ტურნირში შტოტმაისტერისა და თედიაშვილის შერკინებას უნდა დაესახელებინა ჩემპიონი. გერმანელმა მოჭიდავემ უყურა, ღიძხანს უყურა თედიაშვილის ორთაბრძოლებს, ნახა, როგორ ასდიოდათ ზურგზე „ბოლი“ მის მეტოქეებს და გადამწყვეტი შეხვედრისათვის ერთი ფრიად უცნაური ხერხი შემოინახა: როცა გამოცხადდა მათი გეარები, გერმანელი, სპორტულ ფორმაში გამოწყობილი, საღსალამათი, დინჯად მიუახლოვდა ლევანს, ხელი ჩამოართვა და გაოცებული მაყურებლების თვალწინ გასახდელისკენ გაემართა...

ახლა ისევ თბილისის წლევეანდელ საერთაშორისო ტურნირის დავუბრუნდეთ. ლევანი, როგორც მუდამ, შეხვედრათა უმეტესობას ვადამდე ამთავრებდა. ეს დიდად როდი ეჭაშნიკა მაყურებელს, რომელიც მისი ჭიდაობის სანახავად იყო მოსული. საქმე კურიოზამდე მივიდა: ერთ-ერთი ორთაბრძოლის დროს, როცა თედიაშვილს ის-ის იყო ბეჭებით ხალიჩისთვის უნდა გაეკრა მოწინააღმდეგე, გულშემატკივრები ტრიბუნიდან სთხოვდნენ:

- არ გინდა, ლევან, არ გინდაო! ანუ მალე ნუ წააქცევო, შენი ჭიდაობა კიდევ გვაყურებინეო.

რასაკვირველია, უპრეცედენტო შემთხვევაა!

ის საგარეჯოში დაიბადა და გაიზარდა. სკოლის მოსწავლე იყო, მაგრამ უკვე ბევრი იცნობდა, როგორც იშვიათი ნიჭით დაჯილდოებულ ფალავანს. კაკაბეთში სპორტულ დღე სასწაულზე საჭიდაოდ ჩაიყვანეს - იქ, საჭიდაო ხალიჩასთან, იდგა შეუღლვაშა მამაკაცი. ეს იყო პირველი ადამიანი, უფრო სწორედ,

სპეციალისტი, რომელიც ყრმა ლევანმა გააკვირვა. ვახტანგ ბალაევამეს თითქმის არასოდეს არ ენახა ასეთი მონაცემების მქონე სპორტსმენი. თბილისში წამოიყვანა, თავის ბინაში მიუჩინა ადგილი, სახლიკაცად გაიხადა. დიახ, ასე იყო, ასე ცხოვრობდნენ ერთ ჭერქვეშ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატების მომავალი ოთხგზის ტრიუმფატორი.

თუმცა მოძღვარი მას ერთი არ ჰყოლია - მთელი საქართველო იყო და არის ლევანის მასწავლებელი, თითქმის ყველა, ვისაც, ესმის და უყვარს ეს რაინდული სახეობა. მან ისწავლა ყველაფერი, რითაც თავი მოაქვს ჭიდაობის ქართულ სკოლას.

იქნებ ამიტომაც უწოდა მას „ნედელიამ“ ღვთით მომადლებული ნიჭის ფალავანი.

ქურნალი „ნობათი“, №2, 1975 წ.

„სპორტსმენები ზრუნავენ პატარებზე“

ამ ორიოდ წლის წინ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის ტრიბუნიდან მსოფლიოს არაერთგზის და მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ლევან თედიაშვილმა რესპუბლიკის მოწინავე სპორტსმენებს სმოუწოდა, მასთან ერთად შეფობა აეღოთ ძნელად და საზრდელ ბავშვებზე. რათა ისინი დაეინტერესებინათ სპორტით, გაეღვივებინათ მათთვის ნამდვილი ვაჟკაცობის, პატრიოტობის, მეგობრობის, თავდადებისა და სხვა თვისებები.

ამ შესანიშნავ წამოწყებას, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით, გამოეხმაურნენ სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ქართველი ჩემპიონები, პრიზიორები, აგრეთვე, ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულნი, რომლებმაც ვაღდებულება იკისრეს, რომ ასეთ მოზარდებს გაუწევდნენ შეფობას.

...იმის გამო, რომ მირცხულავას ქუჩაზე არის პირველი მაისის სახელობის რაიონის მილიციის განყოფილების

საყრდენი პუნქტი №9 საბავშვო ოთახი, მის პირდაპირ მდებარე 22-ე საშუალო სკოლაში ძნელად აღსაზრდელთა პრობლემა თითქოს, არ უნდა იყოს. იმიტომ, რომ მილიციის მუშაკებს სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან მჭიდრო კავშირი აქვთ. ისინი თითქმის სათითაოდ იცნობენ ყმაწვილებს, ხშირად დაიარებიან მათ ოჯახებში, იცნობენ მათ მშობლებს, უფროსების საქმიანობას და მაინც ბავშვთა ოთახის უფროსს, ლეიტენანტ ბესარიონ ალხანაშვილს, მართლაცდა, დღითა და ღამით დაკარგული აქვს მოსვენება.

იმ კატეგორიის ბავშვებს შორის, რომლებსაც ძნელად აღსაზრდელებს უწოდებენ, ბევრია სხვის ფეხისხმას აყოლილი.

ბიჭები, თითო-ოროლა უხეირო თანატოლის საქციელს ბაძვენ და ამით ამაყობენ კიდევ. ასეთ ონავარ ჭბაბუკებს, რომლებიც ბავშვთა ოთახის უფროსს აღრიცხვაზე ჰყავს, საქართველოს წამყვან მოჭიდავეთა ჯგუფი ეწვია ლევან თედიაშვილის თავკაცობით.

ამ შეხვედრის მიზანი ურთიერთგაცნობა იყო მხოლოდ. ბავშვები მთელი გულისყურით უსმენდნენ ლევანს, რომელმაც პატარებს გააცნო თავისი მეგობრები - ევროპის ჩემპიონი ნ. მოდებაძე, კონტინენტის პრიზიორი ჯ.მეგრელიშვილი, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ნ. ხოხაშვილი, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი ტ. ალიბეგაშვილი, რ. მარსაგაშვილი, საერთა-შორისო ტურნირის გამარჯვებულები ა. ილურიძე და ტ. როსტომაშვილი.

შეხვედრა ერთ-ერთ საკლასო ოთახში მოხდა, მოჭიდავეები მერხებზე გვერდით მიუსხდნენ ბავშვებს. მათ შორის გულახდილი და ნამდვილი ვაჟკაცური საუბარი გაიმართა. ვაჟკაცური იმიტომ, რომ მათი საუბარი სპორტს შეეხებოდა, რომელშიც უხედაა გმირობის, კეთილშობილების, მეგობრობისა და, თუნდაც, უცნობისათვის თავდადების, უსამართლობისადმი შეუპოვრობის, კეთილშობილებისა და სხვა ადამიანური ღირსების გამოვლენის მაგალითები.

პატარებმა შეიტყეს იაპონიაში მოგზაურობისას, მათმა სტუმრებმა თუ როგორ გადაარჩინეს გლეხის ოჯახი, რომელსაც ხანძარი გაუჩნდა. ქართველმა მოჭიდავეებმა სიცოცხლის რისკში

ჩაგდებით ჩააქრეს ეს ხანძარი, რის შესახებაც ბევრს წერდნენ იაპონიის გაზეთები. კოლექტიურობის შესახებ მათ მოეწონათ ლ.თედიაშვილის მაგალითი, რომელიც ირანში გამართულ მსოფლიო პირველობაზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ტურნირის დამთავრების შემდეგ, სადაც მან ოქროს მედალი მოიპოვა, გუნდით ინტერესებისათვის, კვლავ დადგა სარბიელზე. ამჯერად მან სამბისტთა პირველობაში ტრამვირებული საბჭოთა მეგობარი შესცვალა და ბრწყინვალედ დაიცა ჩვენი ქვეყნის ღირსება - მეორე ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი...

პატარები სულგანაბულნი უსმენდნენ უფროსი მეგობრის ნაამბობს და გონების თვალთ კარგად ხედავდნენ მათ ცეცხლოვან გამოსვლებს სარბიელზე. შეხვედრის დასასრულს, კი, თითქმის ყველამ, სპორტულ სექციაში სიარულის სურვილი გამოთქვა. მოჭიდავეებმა აღუთქვეს, რომ ისინი დაეხმარებიან მათ დაოსტატებაში.

სასიხარულო, რომ დიდმნიშვნელოვან თაოსნობას უკვე მიმღეები ჰყავს.

უ.ჭიჭინაძე.

გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1975წ. 10 აპრილი

„ლ. თედიაშვილის ტრიუმფი“

სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისელი ლევან თედიაშვილი მინსკის ხალიჩაზე ბრწყინვალედ გამოდიოდა. მის აქტივში იყო რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვება. გუშინ მსოფლიო პირველობის უკანასკნელ დღეს, ლევანი ფინალში თავის ძველ მეტოქეს კ.შტოტმაისტერს შეხვდა. ქართველმა ფალავანმა ჩინებულად წარმართა ეს შერკინება. იგი გამუდმებით უტყვედა თავის მოწინააღმდეგეს და სძლია მას 12:2. გამარჯვების ნიშნად მსაჯმა მაღლა ასწია მისი მარჯვენა. ამრიგად ლევან თედიაშვილმა მსოფლიო ჩემპიონის რიგით მეხუთე მედლით დაიმშვენა მკერდი. ამ წარმატებისათვის მიუნხენის XX ოლიმპიადის გამარჯვებული ლ.თედიაშვილი საქართველოს

ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის საპატიო სიგელით დააჯილდოვეს.

გაზეთი „კომუნისტი“, 19 სექტემბერი, 1975წ.

“МЕДАЛИ БОГАТЫРСКОЙ ЧЕКАНКИ”

90 კგ. Олимпийский чемпион Леван Тедиашвили рассказывает о себе

Пришлось немножко стать актером. В финале я старался убедить Хорста Штотмайстера, что мои силы на исходе, и вызвать его на атаку. Борец из ГДР вначале действовал несколько неосторожно, я воспользовался ошибкой и заработал балл. Мне кажется, что Хорст поверил, что я и сам удивлен, как это случилось. Он не стал искать новых вариантов и повторил то же самое. И снова попался. Когда Штотмайстер наконец разобрался что к чему, я уже потихоньку “наклевал” 11 баллов. Надо себя не уважать, чтобы растратить такое преимущество. Радуюсь я - это моя четвертая золотая медаль, которой я обязан грузинской школе борьбы.

Газета “Советский спорт”, 19 сентября 1975 года.

„ლევან თედიაშვილი - მსოფლიოს ჩემპიონის ჩემპიონი“

გუშინ მინსკის სპორტის სასახლეში მსოფლიოს ჩემპიონატზე ოთხჯერ გაისმა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნის დიდებული მელოდიები.

ჭიდაობის მოყვარულები მხურვალედ მიესალმებოდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატის ლევან თედიაშვილის ახალ გამარჯვებას.

...და როგორ ველოდით ამ გამარჯვებას ჭიდაობის ქართველი გულშემატკივრები, როგორი იმედი გექონდა მისი წარმატებისა. ლევანი კარგად გრძნობდა დაკისრებულ დიდ მოვალეობას. მინსკის ჩემპიონატზე ჭიდაობის ქართული სკოლა ხომ ლ.თედი-

აშვილით არის წარმოდგენილი და გულდაგულ მიიწვედა წინ სანუკვარი მიზნისაკენ. იგი ზედისეოდ იშორებდა გზიდან ჩემპიონის პრეტენდენტებს: ბულგარელ ი.აბილოვს, იაკონელ კ.მაკოტოს, ფინალში კი ლევანის მეტოქე იყო გდრ-ის წარმომადგენელი, მსოფლიო პირველობათა მრავალგზის პრიზიორი ჰორსტ შტოტმაისტერი. მანამდე ლევანი შტოტმაისტერს სამჯერ შეხვდა. პირველად მათი „ღუელი“ 1971 წელს სიფიაში მსოფლიოს პირველობაზე გაიმართა. მაშინ ისინი პირველ საშუალო წონითს კატეგორიაში გამოდიოდნენ. ლევანმა მეტოქეს ქულებით სძლია. ასეთივე შედეგით დამთავრდა თედიაშვილ-შტოტმაისტერის შეხვედრა მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზეც. მომდევნო 1973 წელს ლევანი მეორე საშუალო წონაში გადავიდა. მოსალოდნელი იყო, რომ შტოტმაისტერთან შეხვედრა აღარ მოუწევდა, მაგრამ გერმანელმა ათლეტმა წონა მოიმატა და ისინი მესამედ შეერკინენ ერთმანეთს შარშან სტამბოლის მსოფლიო ჩემპიონატზე. სადაც უძლიერესი კვლავ ქართველი ფალავანი აღმოჩნდა.

სპორტულმა ბედმა გუშინ მინსკის ხალიჩაზე ძველი მეტოქეები ლევან თედიაშვილი და ჰორსტ შტოტმაისტერი მეოთხედ დააყენა პირისპირ. ორთაბრძოლა უაღრესად დაძაბული აღმოჩნდა მიმზიდველი იყო, შეხვედრის დასასრულს გამარჯვებულის ვინაობა ეჭვს არ იწვევდა. ლევან თედიაშვილმა აშკარა უპირატესობით დაჯაბნა მეტოქე.

სულითა და გულით ეულოცავთ ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს /ლევანი ხომ ტიტულს სამბოშიც ფლობს/ და მის მწვრთნელს ვახტანგ ბალავაძეს დიდ გამარჯვებას.

გაზეთი „თბილისი“, 19 სექტემბერი 1975წ.

„მომავალშიც გვასახელებს“

ჩვენმა სახელმოსხვეჭილმა ფალავანმა, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლევან თედიაშვილმა მინსკის სპორტის

სასახლის ხალიჩაზე გამართულ მსოფლიოს უძლიერეს ათლე-ტებთან შერკინებაში კიდევ ერთხელ გაახარა თავისი ათასობით თაყვანისმცემელი და მეხუთედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის საპატიო ტიტული. ქართველმა მოჭიდავემ ტრიუმფით განვლო მთელი ჩემპიონატი და თავისებური რეკორდი დაამყარა: 6 შეხვედრიდან 5 წმინდად მოიგო, ხოლო ფინალურ ორთაბრძოლაში ქულების დიდი უპირატესობით გაიმარჯვა და ნახევარი საჯარიმო ქულით დაასრულა ასპარეზობა. გუშინწინ ლ.თედიაშვილი თბილისში დაბრუნდა. ჩვენი კორესპოდენტი ეწვია მას და რამდენიმე კითხვით მიმართა.

გვიამბოთ თქვენი ყოველკვირეული საწვრთნელი გრაფიკის შესახებ. რა სახის განსხვავებული ვარჯიშები შედის მასში?

ჩემი ყოველკვირეული საწვრთნელი გრაფიკის მიხედვით კვირაში 5 დღე ვმეცადინებო. ამასთან დღეში, როგორც წესი, სამჯერ. დილით ვაწყობ კროსებს კუს ტბაზე, შემდეგ ფალავანთა კლუბში ვხვეწავ ოსტატობას. შუადღით საცურაო აუზის სტუმარი ვარ. შემდეგ ვიმეორებ იღეთებს, საღამოს უკვე ვემზადები რესპუბლიკის ნაკრებ გუნდთან ერთად.

ასეა ყოველდღე შაბათისა და კვირის გარდა. დასვენების დღეებს ვიყენებ რაციონალურად ვმეცადინებ იურისპუდენციაში, დროს ვატარებ ოჯახში, ჩემს პატარა ბიჭებთან...

ვინ არის თქვენი კერძი ჭიდაობაში?

გურამ საღარაძე, ვლადიმერ რუბაშვილი.

ჭიდაობის გარდა სპორტის რომელისახეობა გიტაცებთ, საქართველოს რომელი ფიზკულტურელი მოგწონთ?

მიტაცებს ჭადრაკი, ჩოგბურთი, დიდ პატივს ვცემ ჩვენს სწორუპოვარ ნონა გაფრინდაშვილს, ალექსანდრე მეტრეველს, მძლეოსანს ვიქტორ სანეევსა და მარად ახალგაზრდა ძალოსან დიტო შანიძეს.

ჭიდაობის რამდენ სახეობაში შეგიძლიათ იასპარეზოთ?

თავისუფალ ჭიდაობას ვერ გავცვლი ჭიდაობის ვერც ერთ სახეობაზე. ძალები ვცადე სამბოშიც. კლასიკურსა და ძიუ-დოზე ვერაფერს გეტყვით.

მინსკის ხალიჩაზე რომელი შეხვედრა იყო თქვენთვის ყველაზე პასუხსაგები?

ამერიკელ რ.პელიკსონთან. იგი თბილისის საერთაშორისო ტურნირის დროს კინოფორზე იღებდა ჩემს გამოსვლას, სპეციალურად ემზადებოდა ჩემთან შესახვედრად. მე იგი წმინდად დავამარცხე. ძნელი იყო აგრეთვე ფინალური ბრძოლა გერმანელ ხ.შტოტმაისტერთან, რომელიც ჩინებულად იყო მომზადებული ამ ჩემპიონატისათვის.

როგორ რეაგირებას ახდენს თქვენზე მსაჯთა არაობიექტურობა?

როდესაც მე ეს პირადად მეხება, თქვენ წარმოიდგინეთ, არავითარს. მაგრამ აი, როცა სხვა ჩვენ საბჭოთა მოჭიდავეს „ჩაგრავენ“, ვლელავ.

კიდევ რამდენ ხანს აპირებთ საქიდაო ხალიჩაზე გამოსვლას?
ამას მომავალი გვიჩვენებს, გააჩნია როგორ სპორტულ ფორმაში ვიქნები. წინასწარ ვერაფერს გეტყვით.

რას უსურვებთ თქვენს თანაგუნდელებს?

ჭიდაობაში, ისევე როგორც, სპორტის დანარჩენ სახეობაში, მთავარია დიდი შრომისუნარიანობა, წერტინსადმი უაღრესად სერიოზული დამოკიდებულება. მხოლოდ სისტემატიური, ყოველდღიური ვარჯიშის წყალობითაა შესაძლებელი დიდ სარბიელზე გამარჯვება. თუ სპორტსმენი მხოლოდ სხვათაშორის გამოდის ხალიჩაზე და არ განიცდის დამარცხებით გამოწვეულ სინანულს, სწორ დასკვნებს არ აკეთებს წარუმატებლობიდან, მან, ჩემი აზრით, თავი უნდა მიანებოს ხალიჩაზე გამოსვლას.

თქვენი მომავალი გეგმები?

დიდი მონღოლებით მოვემზადები მონრეალის XXI ოლიმპიური თამაშებისათვის. ამჯერად კი ჩემთვის მთავარია კარგად შეეხვედო ზამთრის სესიებს. მე ხომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსზე ვსწავლობ.

რას გვეტყვით ჭიდაობის ახალი წესების შესახებ?

ჭიდაობის ახალმა წესებმა სანახაობრივად კიდევ უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახადა შერკინება. ხალიჩიდან გაქცევა, დროის გაყვანა, პასიური ჭიდუაობა - ყველაფერი ეს ისტორიას ჩაბარდა. თუ რომელიმე ფალავანმა ერთხელ მაინც სცადა ხალიჩიდან გასვლაც კი, მსაჯები მას დაუყოვნებლივ აძლევენ გაფრთხილებას. ახალი წესების შედეგად ყველა

მოჭიდავე ცდილობს მხოლოდ შეუტოს მეტოქეს.

ჩვენი რესპუბლიკის რომელი არბიტრი ემსახურებოდა მინსკის მსოფლიოს ჩემპიონატს?

საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ვახტანგ ბალავაძე და ილია ჩხარტიშვილი.

რას იტყვით სხვა ქვეყნების სპორტსმენთა გამოსვლებზე?

განსაკუთრებით მომეწონა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები. წარმატებით იასპარეზეს მონგოლმა მოჭიდავეებმა. კაპიტალისტური ქვეყნების მოჭიდავეებიდან აღმავლობის გზაზეა იაპონიის გუნდი, რომელსაც მონრეალში, ჩემის აზრით, ოქროს 4 მედლის მოპოვების შანსი აქვს. პოზიციები დათმეს ისეთმა ძლიერმა ქვეყნებმა თავისუფალ ჭიდაობაში, როგორც ირანის, თურქეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდები არიან.

საუბარი ჩაიწერა შ.ქირიამ.

გაზეთი „თბილისი“ 20 სექტემბერი 1975წ.

"БОРЕЦ ИЗ САГАРЕДЖО"

Когда он в четвертый раз стал чемпионом мира и шел с медалью по минскому Дворцу спорта, как всегда улыбаясь и подмигивая друзьям, я вдруг увидел на его лице безразличие. Улыбка была, смешинка в глазах, а вот усталости не было, и радость чувствовалась какая-то наигранная. Может, мне показалось?

... Шесть лет назад Леван Тедиашвили, еще не чемпион страны, сказал своему тренеру Вахтанг Михайлович Балавадзе: "Если через год не буду чемпионом мира, уважать себя перестану. Не хочу подводить вас - вы со мной столько занимались, силы тратили. Мужчина я или не мужчина?" Подивился Балавадзе, языком поцокал: "Вах, хорошо думаешь. Правильно думаешь. На меня похож. Я тоже в чемпионы рвался. Раз борешься - побеждай..."

Через год Леван Тедиашвили победил на мировом первенстве в Софии.

На Олимпиаду в Мюнхен Левана взяли после долгих споров на и тренерском совете. В категории до 82 кг у нас было три кандидата Юрий Шахмурадов, Виктор Новожилов и Тедиашвили, Шахмурадова называли "профессором ковра". Это был уникальный борец, прекрасный тактик, блестящий техник. Но все помнили его неудачу в Мехико. Новожилов - борец жесткий, упрямый, но не хватало еще молодому парню выносливости. О Тедиашвили говорили! "Красиво борется, виртуозно. Но азартен сверх меры, рискует постепенно. Да, чемпион мира, но на Олимпиаде конкуренция острее. Азарт хорошо, а холодная голова - важнее".

Спорили до хрипоты. Взвешивали "за" и "против". Все-таки решили послать Левана в Мюнхен. Поверили в него. И точно. На Олимпиаде 24-летний борец вольного стиля Леван Тедиашвили был сильнее всех соперников, стал чемпионом Игр.

...Поближе познакомиться с Леваном мне довелось на чемпионате мира 1973 года в Тегеране. Жили мы в одной гостинице, вместе ездили на соревнования. Турнир проходил на открытом стадионе "Фарах". Жара была испепеляющей, три ковра, расстеленные прямо на футбольном поле, накалились, как сковородка. Не спасал и брезентовый тент. Разборные трибуны, приближенные к центру действий, бушевали и готовы были развалиться от скандирования и песен болельщиков. Не надо говорить, что такое борьба для иранцев! Это идол. Чемпионы по борьбе в Иране - национальные герои.

Команда у нас была мощная, сплоченная. Труднее всего было не соперников одолеть, а переломить настроение беснующихся тегеранцев. И наши ребята это сделали! Покорили они истинных ценителей борьбы искроментным мастерством. А Левана Тедиашвили просто на руках готовы были носить. Чумазные мальчишки лезли к нему целоваться: В Иране есть примета - если мальчишку поцелует сильный человек, то сам он вырастет сильным_сильным пехлеваном.

С Леваном никто не мог справиться. Бились об него, как о скалу. Он и был скалой, неприступной крепостью - блестящий самыми эффективными приемами.

Турнир есть турнир. Отданы все силы. После невероятного

психологического напряжения - спад. Леван устал. Говорил, что очень скучает по дому, по жене НАне, по двум детишкам. Борцы вольного стиля готовились к отъезду, чтобы уступить место самбистам - они впервые в истории проводили свой чемпионат мира. И вдруг беда. В нашей команде заболел самбист второго среднего веса. И тогда Вахтанг Балавадзе сказал руководителю делегации! "Вы знаете, Леван несколько лет назад занимался самбо, был призером первенства страны среди юношей. Поставьте его в команду. Не подведет. Медаль у нас будет. Это я обещаю твердо".

Леван выслушал просьбу руководителя и широко улыбнулся! "Слушайте, какой разговор? Поборемся! Попробуем этих самбистов". И опять у него все легко пошло, что в одной схватке Тедиашвили, прижав лопатки американского борца к коврику, ожидая сигнала арбитра, поднял голову и хитро подмигнул нашему массажисту. А это все увидели. Трибуны, понятно, взорвались от восторга, а Леван получил нагоняй от тренера: "Шутки шутками, а нечего на публику работать, медаль выигрывать надо..."

И выиграл Леван золотую медаль. В течение шести дней он дважды стал чемпионом мира.

...В детстве Леван зачитывался детективами. Ночью читал, а то и на уроках. И когда учитель намекнул ему, что, мол, вот ходишь ты в секцию борьбы, время теряешь, а учишься неважно, он, умудренный педагог, еще не знал, что через несколько лет Леван и в спорте знаменитым станет, и любовь к детективам приведет его после окончания института физкультуры на юридический факультет Тбилисского университета.

Не надо спрашивать Тедиашвили, почему он занялся борьбой в 12-летнем возрасте. В грузинском селе Сагареджо каждый мальчишка владел приемами национальной борьбы "чидаоба" и каждый мальчишка знал, кто такой Арсен Мекокишвили. Именно он, олимпийский чемпион Хельсинки, родом из соседнего села Георгицминда, поздравлял Левана с первыми чемпионскими званиями.

...Тянуло Левана к борьбе, очень тянуло. Переехал в Тбилиси,

работал на мебельном комбинате, разнорабочим, шлифовщиком, укладчиком.

Серия блистательных побед, уважение и популярность. И вот в Минске мне показалось, что Леван устал от этих побед, от популярности. Видимо, он потерял вкус к выигрышам, ибо нет ему равных конкурентов. В Минске я спросил его об этом. Леван, как всегда, хотел отделаться шуткой, но потом вдруг, посерьезнев, ответил: "Всех соперников изучил, жду новых. И полагаю, что на Олимпиаде в Монреале молодежь появится хорошая".

Леван, как читателям известно, закончил два вуза — юридический и физкультурный. И особых познаний в сельском хозяйстве у него, естественно, не было. Но он уже отлично знал другое: если оставить все по-старому, то колхоз не вырвется из замыкающих «турнирную таблицу». И столько убежденности было у него, что Захар Квезерели согласился с его доводами. А в 1985 году «Красный Октябрь» план по продаже винограда не выполнил. Но Леван не расстроился, потому что в колхозе подтягивались тылы, шла кропотливая подготовка к переходу на новые рельсы. Главного же он добился: бригада Захара Квезерели, состоящая из 13 человек, убедительно доказала преимущество новой экономической организации труда. На площади в 37 гектаров она должна была собрать 240 тонн винограда и заработать 45 тысяч рублей. Собрала же 258 тонн и заработала 69 тысяч. Сверхприбыль получена за счет того, что сбор винограда провели в более сжатые сроки и сохранили его сладость и вес. Наибольшее же впечатление на колхозников произвело то, что у всех членов бригады Захара Квезерели ежемесячная оплата труда выросла в среднем на 50—60 рублей. В общем, когда Леван предложил другим подразделениям и службам перейти на коллективный подряд и хозрасчет, то люди восприняли это с пониманием и одобрением. Так «Красный Октябрь» стал первым, подчеркиваю, первым, колхозом

в Сагареджойском районе, который перешел на новые методы хозяйствования.

Главным же агрономом колхоза к моменту уборки урожая стал Захар Квезерели. А когда я весной приезжал в Какабети, в этой должности был другой человек. И как говорили мне, неплохой специалист. Отчего же ушел из «Красного Октября»? После долгих расспросов выяснил, что из-за чрезмерной обидчивости.

— На кого, — спрашиваю, — обижался? На начальство?

— Если бы на начальство, — отвечают, — то это было бы полбеды. На подчиненных обижался.

— Так, может, за дело?

— Не без этого... Отдаст распоряжение бригадиру, тот его не выполнит, он с ним и перестает разговаривать, и даже как бы не замечает больше.

Признаться, подобное поведение прежнего главного агронома не показалось мне предосудительным. Он не ругался, не оскорблял нерадивых подчиненных, а всего лишь не желал с ними общаться. Мог бы поступать и пожестче. Этим своим мнением я поделился с Леваном. И не нашел в нем понимания. Напротив, он довольно резко возразил, что уж лучше бы его бывший заместитель ругался, но умел прощать. А так что же получается? С одним перестал общаться, с другим... А с кем же работать?

— С теми, кто хочет и умеет это делать, — подлил я масла в огонь.

— А с другими как же? — рассердился Леван. — Вот я недавно был на совещании. Так там говорили, что перестройка сильных делает более сильными, а слабых сметает с пути. Может быть, и верно говорили. Да только, где взять столько сильных, чтобы осуществить ту же перестройку? А по мне, так перестройка прежде всего в том, чтобы из слабого сделать сильного.

Так и поступают в «Красном Октябре»: слабых делают сильными.

Убедительный пример этому Мано Отиашвили. Признаться, я все-таки опасался, как она станет жить в доме, который построил для нее колхоз. Опасался потому, что слышал от некоторых ее односельчан, что она не способна жить самостоятельно. И вот в первый день своего второго приезда в Какабети, когда Леван вместе с главным экономистом колхоза Гогуцей Эквтимидзе углубились в изучение каких-то графиков, я сказал ему, что хочу прогуляться по селу и заодно посмотреть, как устроилась

в новом доме Мано. Он же вдруг обрадовался, как школьник, извинился перед Гогучей, мне же сказал:

— Поехали!

И пока мы на красной «Ниве» взбирались по узким, крутым улочкам к не по-осеннему жаркому солнцу, Леван пугал меня собакой, которую завела себе Мано. Он уверял, что она огромных размеров и свирепа, как кавказская овчарка. Я не очень-то поверил ему, но на всякий случай, когда он открыл уже знакомую мне зеленую калитку, я вежливо пропустил его вперед. И оказалось, что мой спутник говорил правду. Во дворе действительно нас встретила собака. Тоненький ласковый щенок, с мягкой шерсткой почти такого же розового цвета, каким было платье Мано, когда я увидел ее весной на винограднике.

К моему великому сожалению, хозяйки дома не было. И я, воспользовавшись предложением Левана, совершил бестактный поступок: стал заглядывать в окна, ожидая увидеть сквозь прозрачные занавески что-то столь же необыкновенное, как цвет щенка. Но и в комнате и на кухне все было как у людей... А на обратном пути, когда уже подъезжали к правлению колхоза, встретили загорелую и помолодевшую Мано. Мы с Леваном вышли из машины, и через минуту он и она уже громко смеялись и хлопали друг друга по плечам.

Вообще, на сей раз, возможно, потому, что она одета в коричневое платье, я уже не нашел в ее облике ничего розового. Пожилая, но еще полная сил сельская женщина с веселым и, я бы даже сказал, лукавым выражением коричневых, под цвет платья, глаз. Потом же, когда узнал, о чем Мано по-грузински говорила с Леваном, то и вовсе убедился в ее нынешней «обыкновенности». Она надумала купить телевизор, но подруги (у Мано уже есть подруги!) посоветовали ей, прежде чем тратить собственные деньги, поинтересоваться у председателя, может быть, телевизор захочет ей подарить колхоз. Честное слово, я был разочарован: праведница Мано, которой колхоз подарил дом и мебель, хотела получить от него еще и телевизор?! А самое примечательное, что по лицу Левана я видел, что ему очень хочется удовлетворить это ее желание.

— Подарите? — спросил я.

— А почему бы и нет! — с вызовом ответил Леван. — Она заслужила! И все колхозники заслужили. Но поскольку всем колхозникам мы пока телевизоры подарить не в состоянии, то, наверное, и Мано его дарить не будем.

Она сейчас хорошо зарабатывает и может позволить себе такую покупку.

Дальше же Леван сказал, что «дурочкой» и «праведницей» Мано была в пору невзгод и несчастий, а сейчас она нормальный человек. И желания у нее нормальные, человеческие. И еще я услышал от Левана, что скоро Мано станет кинозвездой. Будто встретил ее случайно на сельской улице режиссер фильма «Хареба и Гоги» Георгий Шенгелая и тотчас захотел снимать в своей картине. На следующий день я имел возможность побеседовать с Георгием Николаевичем, и он подтвердил это. А вот спросить его о том, что такое особенное он увидел в Мано, я не удосужился. И, как мне кажется, понял это лишь тогда, когда уже уезжал из Какабети.

Вез меня колхозный шофер деликатный, стеснительный Печико Теднашвили, у которого сразу же после бритья на лице вырастает свирепая проволочная щетина и который, помните, был арестантом на Гомборской дороге. Мы ехали от правления колхоза вниз к Кахетинскому шоссе, и я смотрел на убегающие назад и еще украшенные веселыми резными листьями и янтарными либо пурпурными плодами виноградники. А весной, когда я впервые приехал в эти края, они угнетали сиротской обнаженностью морщинистой лозы, разнообразно изогнутой непогодой и временем. И я вдруг подумал, что у лозы есть сходство с Мано. Или, вернее, у Мано есть сходство с одним из главных богатств кахетинской земли — всегда живой, крепкой и ждущей лишь своего часа, чтобы расцвести, лозой.

Не дожидаясь моей просьбы, Печико затормозил у автобусной стоянки, построенной за полгода до этого Леваном и его помощниками. И я долго пил вкусную воду из фонтанчика, выпрыгивающего меж замшелых валунов, доставленных сюда с гор. Печико же рассказал, что в нынешнее необычайно жаркое лето его коллеги шоферы привыкли останавливаться здесь и даже дали этому месту название.

— Какое? — поинтересовался я.

— Родник чемпиона, — отчего-то засмутившись, ответил «свирепый» Печико.

• • •

На этом кончается повесть о Леване Теднашвили — председателе колхоза. И начинается другая: о Леване Теднашвили — спортивном руководителе: в мае 1987 года он был направлен работать председателем Тбилисского горспорткомитета...

„ჯანმრთელობა ოცდაათ კაპიკად“

თავყრილობები, რომლებიც ფიზიკურ კულტურასა და სპორტს ეძღვნება, ცხადია, მისი გამოცოცხლების, გაუმჯობესებისათვის არის მოწოდებული. დედაქალაქის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, 25 მარტს რომ გაიმართება, ყველა ადრინდელზე საქმიანი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში ასეთია სურვილი.

ეს სურვილი და თხოვნა, რომ აქტივისწინა პერიოდში ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე დისკუსიებში მონაწილეობა მიიღოს ყველა თბილისელმა, უკვე გამოეთქვით ჩვენი გაზეთის 9 თებერვლის ნომერში. კელავ მოვუწოდებთ დედაქალაქის სპორტსმენებს, სპორტის მუშაკებს, იმათ, ვინც ფიზიკურ კულტურასთან მეგობრობს, თავიანთი, თუნდაც ძალზე მწვავე აზრი მოგეაწოდონ ქალაქის სპორტულ და ფიზკულტურულ ცხოვრებაზე. დღეს კი მკითხველს ვთავაზობთ თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის, ხუთგზის მსოფლიოსა და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ლევან თედიაშვილის წერილს.

იმ „მონოლოგის“ შემდეგ, რომელიც შარშან გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნდა და რომელშიც მე ჩვენი სპორტის პრობლემებზე ვლაპარაკობდი, კარგა ხანი გავიდა. უფრო ღრმად ჩავიხედე საქმეებში და ახლა კიდევ უფრო ავტორიტეტულად და თავდაჯერებულად შემიძლია ვთქვა: ქალაქის სპორტკომიტეტი სრულიად უფუნქციოდ არის დარჩენილი და ალბათ უნდა გაუქმდეს, მის არსებობას არავითარი ფინანსური გამართლება არა აქვს.

დაახლოებით თხუთმეტი წლის წინათ ქალაქის კომიტეტთან შექმნილა სპორტული კომბინატი, რომელიც დროთა განმავლობაში რესპუბლიკის სპორტკომიტეტის დაქვემდებარებაში გადასულა. არსებობდა სარემონტო-სამშენებლო სამმართველოც, რომელსაც სპორტულ ბაზაზე მიმდინარე რემონტები უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ ფაქტიურად სხვა სამუშაოს ასრულებდა. იმის გამო, რომ მილიონნახევარი მანეთის დავალიანება აღმოჩნდა, სპორტული სარემონტო-სამშენებლო სამმართველო გააერთიანეს საბინაო კომუნალური მშენებლობის სამმართველოსთან. ახლა

როცა ის ძველი სამმართველო უფრო დიდი ორგანიზაციის დაქვემდებარებაშია, ჩვენ, ქალაქის სპორტკომიტეტს, შეგვიძლია მხოლოდ შევეუკუეთოთ. მაგრამ მას იმდენი საქმე აქვს, განსაკუთრებით სასექტემბროდ, რომ ჩვენი ბაზებისთვის აღარა სცხელა.

ყველამ იცის: თბილისის ზღვაზე არის იახტკლუბი, სანიჩბოსნო ბაზა. მისი მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა, როგორც იტყვიან, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. იქ ასაშენებელი დიდი სპორტული კომპლექსის პროექტში 27 ათასი მანეთი გადავიხადეთ. მისი მშენებლობისათვის ქალაქის საბჭოს აღმასკომს უნდა გამოეყო 300 (400) ათასი მანეთი. დღემდე კაპიკი არ გადმოურიცხავს. მაგრამ კომპლექსს აღარ ვჩივით, გამოდის, რომ ის 27 ათასი წყალში გადაეყარეთ.

საბინაო-კომუნიალური ანარიცხის ორი-სამი პროცენტი სპორტის განვითარებას უნდა მოხმარდეს. უკეთესი ხომ არ იქნება, რომ თანხა პირდაპირ ჩვენს, სპორტკომიტეტის ანგარიშზე გადარიცხულიყო, ჩვენ ვყოფილიყავით დამკვეთი, რომ სპორტული ბაზების შეკეთება შეგვძლებოდა. რასაკვირველია, ვგულისხმობ, რომ უნდა გვექონდეს სარემონტო-სამშენებლო სამმართველო, თორემ ნაღდ ფულს ვერ ავითვისებთ, აუთვისებლობისათვის კი დაგესჯიან.

თბილისში 12500000 მცხოვრებია. ქალაქის სპორტკომიტეტის ბიუჯეტი 460000 მანეთია (შარშანდელი პუბლიკაციის შემდეგ 80000 მანეთი დაგვიმატეს). ასე რომ, თუ სპორტკომიტეტი ის ორგანიზაციაა, რომელსაც დიდი სპორტის საქმეებთან ერთად მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვაც ევალება, ეს ზრუნვა კი ეკონომიკურადაც უნდა გამოიხატებოდეს, თითოეულ თბილისელზე 30 კაპიკი უნდა მოდიოდეს. ბავშვებს, სკოლის მოსწავლეებს, არა აქვთ სპორტული ფორმა. ვგულისხმობ უბრალო, სადა ფორმას, რომლის ფასი ხუთ-ექვს მანეთს არ უნდა აღემატებოდეს. ყველა მშობელს ხომ არა აქვს საშუალება, შეიღოს 75-მანეთიანი შალის სპორტული პიჟამო შეუძინოს. იქნებ ჩვენს სპორტულ ბაზაზე შეიქმნას კოოპერატივები, რომლებიც ასეთ ფორმებს დაამზადებენ.

ჩვენი მუშაობის ერთი დიდი ნაკლი პარადულობაა. იმისათვის,

რომ ვიღაცას დაეანახოთ, ნუთუ აუცილებელია ორი-სამი საათით გადაგვეტოთ რუსთაველისა და ჭავჭავაძის პროსპექტები და ლენინის მოედნიდან ვაკის პარკამდე ტრუსებით ვირბინოთ? თუ ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვა სამსახურებრივად გვევალება და კროსის ჩატარება გვინდა, განა საამისოდ კუს ტბის ან თბილისის ზღვის მიდამოები არ გამოდგება? საქმეში ჩახედული ხალხი დამეთანხმება, რომ ასეთი სპორტული ღონისძიებების ჩატარებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილს - კუს ტბაზე ან ვაკის პარკში უფრო ადვილად გაიქცევა ქარხნის დირექტორი, ტრესტის მმართველი, რაიკომის მდივანი... ფიზკულტურა მარტო მუშებისათვის ხომ არ არის?!... პირად მაგალითს დიდი ძალა აქვს. როცა მუშა დაინახავს, რომ მისი საამქროს უფროსი, მთავარი ინჟინერი და დირექტორიც გარბიან, ის უფრო მეტი ხალხით მოვა მომდევნო შეჯიბრებაზე. ბოლო დროს მეც მოვიმატე წონაში. ჩემი ბიოგრაფიის კაცს ეს არ ეპატიება. თუ არ დავეიკელი, ჩემი ლაპარაკი დაემსგავსება იმ მღვდლის ქადაგებას, რომელიც მრევლს ჭარხალს და ისპანახს აჭმევს, თავისთვის კი ქათამი აქვს გადანახული.

დიდ იმედებს ვამყარებთ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელმაც პრაქტიკულად ახალი ამოცანები უნდა დაუსახოს ქალაქის სპორტკომიტეტს. ჩვენ ველით თბილისელთა სურვილებს და წინადადებებს, გონივრულ რჩევებს, თუ როგორ უნდა გარდაქმნას სპორტკომიტეტმა მუშაობა ისე, რომ ფიზკულტურა და სპორტი თითოეული ჩვენგანის, მთელი ქალაქის ცხოვრების შემადგენელ ნაწილად იქცეს.

ლევან თედიაშვილი, თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე

გაზეთი „თბილისი“ 18 თებერვალი, 1988 წელი.

“ТАЛАНТ НА ВСЮ ЖИЗНЬ”

На последнем Международном кинофестивале в Ташкенте лента грузинских кинематографистов “Хареба и Гоги” завоевала сразу две награды - режиссер Георгий Шенгелая был удостоен

специального приза и диплома жюри за яркое воплощение национального характера и традиций, а киноактер Леван Тедиашвили - приза "Золотая арча" за лучшее исполнение мужской роли.

Фильм выйдет на экраны страны в сентябре. Так что к тому моменту, когда эти строки попадут к читателям, многие из них уже успеют его посмотреть. А мне повезло два года назад, тоже в сентябре, провести субботу и воскресенье на съемках "Харебы и Гоги", о чем тогда же написал в журнале (ФиС", 1986, N 11. "Как переехала дорога").

И в той своей корреспонденции я открыл секрет, что по меньшей мере два эпизода картины снимались не там, где они происходили на самом деле. Речь идет об освобождении разбойничьим отрядом "Ребята", руководимым Харебой и Гоги, арестантов, которых стражники вели по Гомборской дороге, и сцена знакомства Харебы и Гоги га берегу реки Алазани.

Именно в такой последовательности все и было. В субботу я наблюдал, как побратимы Харебы и Гоги сражались плечом к плечу, а в воскресенье имел аозможность увидеть, как они познакомились. Причем, вопреки сценарию и правда жизни в первом случае действие разворачивалось не на Гомборской дороге, а на лесистых склонах гор в окрестностях села Какабети, во втором же - реку Алазань заменила река Иори.

Зачем же понадобилась такая подтасовка? А затем, что исполнитель роли Гоги, победитель двух олимпийских турниров по вольной борьбе и пяти чемпионатов мира Леван Тедиашвили был в то время председателем колхоза "Красный Октябрь", что в селе Какабети. Он отказался в горячую сентябрьскую пору отлучаться из хозяйства. Вот и вынужден был режиссер Георгий Шенгелая вместе с Гомборской дорогой и рекой Алазанью пойти ему навстречу.

Следует отметить, что в бытность свою председателем "Красного Октября" Леван Тедиашвили пользовался, пожалуй, даже большей популярностью, чем в дни спортивных триумфов. Еще бы, он оказался первым из олимпиоников, возглавившим колхоз! Избрали его на эту должность весной 1984 года. И за короткий срок Леван

такие поистине богатырские подвиги совершил во благо сельчан, что кахетинские коммунисты доверили ему быть делегатом XXVII Съезда КПСС.

Наш журнал тогда в Какабети создал специальный корреспондентский пункт, сообщавший читателям обо всем существенном, что происходило ("ФиС", 1986, N 8, 9, 10, 11; 1987 - N 1). Мы надеялись, что Леван наконец нашел себя. Ведь до этого за чеиьре года, что минули после его ухода в тридцатидвухлетнем возрасте с борцовского ковра, он успел поработать следователем в милиции (имел диплом юриста), инструктором и заведующим отдела ЦК комсомола Грузии, парторгом Сагареджойского виноградарского совхоза.

Вот и представлялось нам важным привлечь внимание общественности к его успешной деятельности на посту председателя колхоза. Поскольку сейчас, когда такое огромное значение придается человеческому фактору, проблема трудоустройства переставших быть действующими чемпионов становится особенно актуальной. На примере Левана хотели показать, что эти столь щедро одаренные природой люди не исчерпывают себя полностью в процессе восхождения на спортивный Олимп. Но способны потом прекрасно трудиться в самых различных областях нашей жизни.

К слову сказать, победа Левана на X Международном кинофестивале стран Азии, Африки и Латинской Америки весомое подтверждение тому. И он не единственный известный спортсмен, снимавший в фильме-лауреате. Хареба это Омари Пхакадзе, первый в истории советского велоспорта чемпион мира в спринте. Еще двух разбойников играют экс-чемпионы мира по классической борьбе Михаил Саладзе и Автандил Майсурадзе.

Два года назад в райском уголке на берегу живописной речки Иори Леван, одетый в наряд разбойника Гоги, с преувелеченной серьезностью сказал мне, что рассчитывает получить все главные премии за лучшее исполнение мужской роли. Каюсь, я воспринял его слова как шутку, но про себя отметил, что мой собеседник просто-таки запрограммирован на чемпионство, каким бы делом ни занимался. Ну что же, компетентное жюри в Ташкенте подтвердило

обоснованность тех его притязаний.

А это еще раз убеждает меня в том, что чемпионы талантливы не сумели бы реализовать свои способности. Но отчего далеко не всем им удастся проявлять в полной мере эти качества и в послеспортивной жизни? Воспользовавшись тем, что в съемках фильма "Хареба и Гоги" участвовали четыре чемпиона, я задал всем им этот вопрос. В прошлых моих корреспонденциях из Какабети приводилось то, что сказал по этому поводу Леван. Ответы же его трех товарищей приведу ниже. Но прежде коротко об обстановке, в которой брал интервью.

В тот томительно жаркий сентябрьский день снималась сцена знакомства Харебы и Гоги. Происходит же она следующим образом. Они ссорятся, бьются, а убедившись в том, что силы у них равны, и почувствовав взаимную симпатию, становятся друзьями. Я с интересом следил за их схваткой. Она сыграна была так (с хитроумными зацепками, молниеносными подсечками), будто велосипедист Пхакадзе и вправду достойный соперник двукратного олимпийского чемпиона по вольной борьбе Тедиашвили.

Режиссер Георгий Шенгалая был в восторге, он счастливо улыбался, хлопал в ладоши, но после этого почему-то предложил все повторить. И так эта сцена знакомства повторялась бы еще и еще, если бы в шестом часу вечера кинооператор не показал режиссеру на солнце, которое, хотя и продолжало оставаться слепящим и жарким, но уже чем-то его не устраивало. И Георгий Николаевич, как-то сразу обмякнув, вяло махнул рукой: мол, достаточно. И все, в том числе и я, отправились к реке купаться...

А потом мокрые, счастливые мы выбрались из ласковых тихоструйной Иори на крутой, заросшей колючим терновником берег, и я всем испортил настроение, поскольку задал тот свой вопрос...

Как уже известно читателям, к моменту съемок ленты "Хареба и Гоги" Леван Тедиашвили был председателем колхоза "Красный Октябрь". А кем стали другие мои собеседники после того, как перестали соревноваться? Омари Пхакадзе и Автандил Майсурадзе - тренерами. Первый трудился на этом поприще больше десяти лет,

второй - несколько месяцев. Три года был спортивным наставником и Михаил Саладзе, а затем перешел работать инструктором в Тбилисский уголовный розыск.

Так вот больше других, на мой взгляд, был удовлетворен своим положением кудрявый доброжелательный Автандил Майсурадзе. Ему и в фильме доверена роль доброго великана: разбойника Сандро Кавалашвили, за великодушие и покладистость прозванного Дядей. Недавний борец, он осваивал профессию учителя борьбы. И все у него как будто ладилось, все им были довольны. Возможно, потому, что продолжал трудиться в привычной для себя обстановке, среди знакомых людей.

Автандилу повезло остаться тренером в сборной команде Грузии, за которую еще в прошлом сезоне выступал в самом тяжелом весе. Помогает здесь более опытным наставникам. А поскольку помогать им и прежде, то можно сказать, что в его жизни пока мало что изменилось, если не считать того, что отпала необходимость тренироваться, соблюдать режим и подвергать свой организм сверхнапряжениям. Правда, отчего-то похудел почти на пуд. Когда соревновался, весил 138 килограммов, а теперь - 123.

- Поработаешь еще годик-другой тренером, совсем как шепка будешь, то ли всерьез обнадежил младшего товарища Омари Пхакадзе.

Но тут же добавки, что лично с ним, когда перестал гоняться на велосипеде, случилось прямо противоположное. За короткий срок поправился на четверть центнера. Сердце отказывалось работать, задыхался на каждом шагу. Думал уже, так и придется доживать свой век инвалидам. Спасибо, знакомый борец помог. Принес в больницу, где Омари тогда безуспешно лечился, машинописный экземпляр книги американца Поля Брэга о дозированном голодании.

Сказал, что, когда ушел с борцовского ковра, тоже ужасно растолстел и чувствовал себя развалиной. А начал регулярно голодать (день - в неделю, неделю - в квартал), и все пришло в норму. С той поры Омари Пхакадзе свято следует советам Поля Брэга. И результаты, как говорить, налицо. Он строен, молодец,

мужествен; в сдержанных же его движениях угадывается сила до предела сжатой стальной пружины. В общем, типичный благородный разбойник Хареба, на которого, как было засвидетельствовано в сценарии, заглядывались дамы из высшего общества.

- А что было бы, Омари, если бы к вам в руки тогда не попала книга Поля Брэга? - задал я риторический вопрос.

Не знаю, помрачнел он. Наверное, выкарабкался бы как-нибудь иначе. Ведь выкарабкиваются же время, кроме родных и друзей, никому до тебя дела нет.

- Это в чемпионы нас выводят сообща; тренеры, врачи, ученые, различные администраторы и организаторы, меланхолично заметил Михаил Саладзе. Возвращаться же из чемпионов в нормальную жизнь, по сути, приходится в одиночку, на собственный страх и риск. И не удивительно, что мы, приспособившиеся к другой среде обитания, поначалу чувствуем себя в нормальной жизни рыбами, выброшенными на берег.

Знакомство с Михаилом Саладзе еще раз убедило меня в том, что режиссер Георгий Шенгелая знал, кого приглашать на роли милых его сердцу разбойников. Михаил, как и прочие члены отряда "Ребята", хорош собой, могуч (боролся в категории до 100 кг), интеллигентен и обоятелен. Не сомневаюсь, что духанщик Ило Бабуришвили в его исполнении привлечет зрительные симпатии.

Михаил рассказывал, что на первых порах своей тренерской деятельности, подобно Автандилу Майсурадзе, считал, что все у него прекрасно получается. А спустя три года понял, что занимался чужим делом, и перешел работать инспектором в уголовный розыск. Почему же так заблуждался? Уже потом с помощью знакомых медиков разобрался, что всему виной было то, что излишне волновался при решении множества непривычных вопросов, возникающих в новой, неборцовской жизни.

В этих случаях его тренированный организм получал примерно такие же импульсы, как прежде перед ответственным турниром, и по сохранившейся еще инерции начинал вырабатывать огромную энергию. А поскольку теперь она в схватках не выплескивалась, то копилась в Михайле, бушевала в нем, вязала речь, толкала на

необдуманные поступки, загоняла в состояние, схожее с эйфорией, когда все представляется не совсем таким, как оно есть. В общем, потребовалось время, чтобы и себя, и окружающий мир увидеть в верном свете.

И вот, увидев себя в верном свете, Михаил Саладзе, имеющий агрономическое образование (да он агроном!), отправляется служить в милицию. А Леван Тедиашвили, у которого, как помнит читатель, диплом юриста, в конце концов тоже трезво поразмыслив, становится председателем колхоза "Красный Октябрь". Я это им не в укор. Просто хочу привлечь внимание к тому, что чемпионы, заканчивающие нефизкультурные институты, приобретают там за малым исключением не профессию, а диплом. Только, пожалуйста, не подумайте, что я приказываю ограничить прием, к примеру, в технические вузы парней и девушек из спорта высших достижений. Ни в коем случае!

Напротив, я твердо убежден, что они могут стать чудесными инженерами и руководителями производства. Но готовить к этому нужно примерно с тех же двенадцати-четырнадцати лет, когда обнаружатся в юных спортсменах чемпионские задатки и взрослые люди поймут, что в дальнейшем этим мальчикам и девочкам предстоит жить в мире сверхнагрузок. Именно тогда следует выявлять и их предрасположенность к той или иной профессии, всячески развивать ее и приучать ребят находить для этого паузы в своей, заполненной недетским спортивным трудом жизни. Конечно же все это очень и очень непросто. А иначе нельзя. Наш большой спорт обязан в полной мере нести ответственность перед обществом за взятые у него на время таланты.

Об этом и еще о многом другом беседовал я в тот предвечерний час на берегу реки Иори с Омари Пхакадзе, Михаилом Саладзе и Автандилом Майсурадзе. Они говорили о том, что пора уже называть вещи своими именами. Это массовым спортом занимаются для собственного удовольствия и укрепления здоровья. Большой же спорт требует сейчас профессионального служения, то есть человека целиком. Он испытывает его, что называется, на разрыв и разлом. Так что чемпионы в определенной мере являются эксперимен-

нтаторами, ставящими на себе опыты. И уже поэтому вправе рассчитывать на то, что и общество станет относиться к ним профессионально. Что подразумевали под этим мои собеседники?

Их пожелания представляются мне удивительно скромными. Они полагали, что при наличии в нашем спорте огромного количества всевозможных управленческих подразделений там нет двух очень важных. Того, которое бы конкретно заботилась о подготовке ребят с человеческими задатками к послеспортивной жизни. И того, которое бы заботилось о трудоустройстве недавних чемпионов. Причем на это трудоустройство им следует предоставлять не месяц, не год, а срок, равный хотя бы одному олимпийскому циклу. Опыт подсказывает, что раньше они, вышедшие из горнила большого спорта, просто не успевают остыть, привыкнуть к своей новой жизни и наметить для себя в ней достойные ориентиры. И оттого, что мы делаем вид будто это не так, ничего не меняется. Вот, мол, даже такой разумный и предусмотрительный человек, как Леван Тедиашвили, четыре года пробовал себя в различных амплуа, пока не успокоился на посту председателя колхоза.

Последняя фраза принадлежала Омари Пхакадзе. И произнес ее нарочно громко, поскольку адресована она была не только мне, но и человеку, который только что вышел из Иори и пытался вдать мокрые ноги в брюки. Услышав слова “успокоился”, он добродушно усмехнулся в рыжеватые усы. и я вдруг вспомнил, что до этого видел Левана с усами лишь дважды. В 1977 году в Мюнхене, когда он впервые стал олимпийским чемпионом. И спустя четыре года на Играх в Монреале, когда он такого успеха добился во второй раз. Товарищи по сборной даже шутили, что усы приносят ему удачу.

И хотя сейчас Леван уверил, что отрастил их по просьбе режиссера, чтобы быть настоящим разбойником Гоги, я пордумал, что собирает свой третий урожай в колхозе. Разве мог я тогда подумать, что тот урожай в “Красном Октябре” будет для него последним. А он стал таким. Потому что в мае прошлого года Леван перешел работать председателем в тбилисский горспорткомитет.

И таким образом вернулся не только в спорт, но и в город, где ждала его жена Нана, сыновья Вахтанг и Виссарион. Возможно,

поэтому и вернулся, что для офтальмолога-хирурга Наны, заканчивавшей в то время кандидатскую диссертацию, в обозримом будущем работы по специальности в селе не предвиделось. Но, думаю, что о них могу лишь догадываться, потому, что после его отъезда из Какабети мы не встретились.

Но несколько телефонных бесед у нас было. И всякий раз Леван говорил мне, что все у него прекрасно. Так я и отвечаю читателям, которые в своих письмах в редакцию интересуются, доволен ли он тем, что вернулся в спорт. А когда позвонил в Тбилиси, чтобы поздравить Левана с победой на Международном кинофестивале, то дома я его не застал. Трубку взяла Нана, в которую Леван влюбился будучи еще пятиклассником.

Поздравляю, - сказал я, - Ваш муж и среди артистов стал чемпионом!

- Спасибо, - ответила Нана. - А меня не хотите поздравить?.. Я защитила кандидатскую диссертацию...

Игорь Сосновский

Журнал "Физкультура и спорт", 10/88 г.

„ტრიუმფატორი“

იშვიათად, რომ საგარეჯოში ჩატარებული რომელიმე სახალხო დღესასწაული ჭიდაობით არ დაგვირგვინდეს. ხშირად საგარეჯოელი ფალანგები მეზობელი რაიონების მოჭიდავეებსაც იწვევენ და სასპარეზოდ და მაშინ ჭიდაობა თავად არის დღესასწაული, ყველა დღესასწაულზე დიდი და სასურველი.

ერთ-ერთ ასეთ დღესასწაულს, რომელიც 1965 წელს გაიმართა სოფელ კაკაბეთში, ორჯის მსოფლიო ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვახტანგ ბალავაძე დაესწრო. მისი ყურადღება მიიქცია თექვსმეტიოდე წლის საგარეჯოელმა ჭაბუკმა. ლაგოდებელი მასზე ორჯერ მძიმე იქნებოდა. მაგრამ ამ სხარტმა. მოქნილმა ბიჭმა მაინც იმარჯვა.

ვინ არისო, იკითხა ცნობილმა ფალანგმა.

თედიანთ ლევანა არისო უპასუხეს.

თედიანთ ლევანა ჩვეულებრივი კახელი ბიჭი იყო და, როგორც ყველა მისი თანატოლი, ისიც სიამოვნებით ჭიდაობდა, რაკილა ამის საშუალება მიეცემოდა. მაგრამ ჭიდაობისკენ ეს ლტოლვა საგარეჯოელი ბიჭების „სახადი“ უფრო იყო, ვიდრე სერიოზული გატაცება. თუ მაინცდამაინც. ლევანს ფეხბურთი იზიდავდა.

„გულახდილად უნდა გითხრათ, ჭიდაობაზე თავდაპირველად არც მიფიქრია. „მესხობაზე“ ვოცნებობდი. თუმცა მე-11 ნომერი მაისურა ჩვენმა მწვრთნელმა გვაჩი ჯორბენაძემ უფრო ღირსეულს ჩააცვა. მე „ცხრიანი“ შემხვდა და განაწყენებულმა ცალი თვალი ახლა მძლეოსნობისკენ გავაპარე. რომელთაც იმხანად ვალიკო ოდიკაძე ავარჯიშებდა. მაგრამ ჩემგან არც ფეხბურთელი დადგა და არც მძლეოსანი...“

თედიანთ ლევანასაგან მოჭიდავე დადგა, დიდი, სახელოვანი მოჭიდავე: ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ხუთგზის მსოფლიო, სამგზის ევროპის ჩემპიონი საბჭოთა კავშირის შეიდეგზის ჩემპიონი, მსოფლიო თასის სამგზის მფლობელი, ლენინის ორდენისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენის კავალერი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ყველაფერი მშობლიურ საგარეჯოში დაიწყო. მისი პირველი მწვრთნელი სახელგანთქმული არსენ მეკოკიშვილის ბიძაშვილი - ვალერიან მეკოკიშვილი იყო. სწორედ მან აღმოაჩინა ლევანში მოჭიდავე.

„თხუთმეტი წლისა ვიყავი, ვალერიან მეკოკიშვილთან რომ მიმიყვანეს. თავის სექციაში ჩამრიცხა, საჭიდაო კოსტუმიც (ეგრეთ წოდებული „ფინკა“) მომცა და იმ დღიდან „არსენა მეკოკიშვილობაზე“ დავიწყე ფიქრი. სამ წელიწადში სამგზის სპორტის ოსტატი გავხდი - ქართულ ჭიდაობაში, თავისუფალში და სამბოში. 1966 წელს საშუალო სკოლა დავამთავრე“.

სხვათა შორის, იმ სკოლაში, სადაც ფალავანთა ფალავანი სწავლობდა. დღეს მისი სახელობის თასს ეცილებიან ერთმანეთს საგარეჯოელი ბიჭები.

ერთხელ, მაშინ ლევანი მერვე-მეცხრე კლასში იქნებოდა,

კლასის დამრიგებელმა უთხრა, დიდი ჩემპიონი შენგან მაინც არ დადგება და ტრიგონომეტრიაში კი ტყუილად ჩამორჩიო. ლევანმა იმავე მეოთხედში დასძლია ეს ჩამორჩენა და რამდენიმე წლის შემდეგ იმ მასწავლებლის „ჯიბრზე“ დიდი ჩემპიონიც გახდა.

სკოლა რომ დაამთავრა, ვახტანგ ბალავაძემ ლევანი თბილისში ჩამოიყვანა და თავის სახლში დააბინავა. მერე ლევანმა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩააბარა მისაღები გამოცდები.

„ახლა უკვე თვით „ჭიდაობის პროფესორი“ ვახტანგ ბალავაძე მავარჯიშებდა. ლენინგრადში გამართულ საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა პირველობაზე 71 კილოგრამში პირველი ჯილდო დავიმსახურე. 1967 წელს თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ვიჭიდავე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის ტურნირი არ ჩამოუვარდება არც ოლიმპიურ ტურნირს და არც მსოფლიო ჩემპიონატს. ზოგ რამეში კიდევაც აღემატება მათ“.

ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო ლევანი, როდესაც დასაბამი მიეცა თბილისის საერთაშორისო ტურნირებს. იჯდა საგარეჯოელი ბიჭი სპორტის სასახლის ტრიბუნაზე და სუნთქვა-შეკრული შეჰყურებდა მსოფლიოს საუკეთესო ფალანგებს: შოთა ლომიძეს და ვლადიმერ რუბაშვილს, ალექსანდრ მედვედს და იური შახმურადოვს. გურამ საღარაძეს და ალექსანდრ ივანიცკის, ახმეტ აიკს და აბდულაჰ მოვაჰედს, მანსურ მეჰტი-ზადეს და იმამლი ჰაბიბის...

რას იფიქრებდა მაშინ თედიაანთ ლევანა რომ თბილისის საერთაშორისო ტურნირების რეკორდსმენი ხუთგზის გამარჯვებული გახდებოდა და რომ დიდი სპორტიდან მისი გაცილების საზეიმო ცლერემონიალი ერთ-ერთი ასეთი ტურნირის მშვენიებად იქცეოდა...

1981 წლის 1 თებერვალი. თბილისის სპორტის სასახლე. XX საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ფინალური შეხვედრები. პირველ ხუთ წონით კატეგორიაში უკვე გაირკვა გამარჯვებულთა ვინაობა და ამ დროს შეჯიბრება შეჩერდა. არენაზე ფალანგანთა ფალანგანს - ლევან თედიაშვილს უხმეს და სპორტის სასახლე გულშემატკივართა ერთსულოვანმა ტაშმა

შეაზანზარა.

ლევანი გამოვიდა სარბიელზე. ხალიჩის კუთხეში დადგა და აქეთ-იქით თავისი ორი ბოკვერი ამიყენა - ვახტანგი და ბესარიონი.

მინახავს ცნობილ ათლექტთა დიდი სპორტიდან გაცილება, მაგრამ ასეთი შთამბეჭდავი არასოდეს. გუგუნებდა ვეება სასახლე, ყველაფერს ამაღლებული დღესასწაულის ძალა მართავდა და ამ დღესასწაულის ცენტრში იდგა ოცდაცამეტი წლის ლევან თედიაშვილი. იდგა „ნადავლით“ - მეგობარ მეტოქეთა, გულშემატკივართა და თანამემამულეთა სიყვარულით - ხელდამშვენებული, ვითარცა ნამდვილი ტრიუმფატორი.

ლევანს საზეიმოდ გადაეცა საქართველოს საუკეთესო სპორტსმენთა ყველა დროის სიმბოლური ათეულის მუდმივი საპატიო წევრის დიპლომი.

ერთმანეთს ცვლიან ორატორები, ლევანის აღმზრდელები, მეგობრები, ძველი მეტოქეები, თაყვანისმცემლები...

საბჭოთა კავშირის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი იური შახმურადოვი.

ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ილია მატე.

ორჯის ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ივან იარიგინი („წლების მანძილზე ჩვენ მეტოქეები ვიყავით, მაგრამ ამით ჩვენს მეგობრობას არაფერი დაჰკლებია. ერთხელ მან ჩემთან, კრასნოიარკსში მომიგო, მერე მეც ვაჯობე თბილისში. დარწმუნებული ვარ, ლევანი მომავალშიც ისე ლამაზად იცხოვრებს, როგორც აქამდე ცხოვრობდა სპორტში“).

ვახტანგ ბალავაძემ მოიგონა პირველად და საგარეჯოელ ფალავანთა შერკინებაზე.

სამოციან წლებში საბჭოთა ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრ დიაკინმა კი გაიხსენა 1967 წელი, როცა ლევან თედიაშვილი, 19 წლის ახალგაზრდა, პირველად გამოვიდა. თბილისის საერთაშორისო ტურნირში და მეოთხე ადგილი დაიკავა. იმ ტურნირის შემდეგ ალექსანდრ დიაკინმა იგი ქვეყნის მთავარ გუნდში შეიყვანა. მთელი ცამეტი წელი იცავდა ლევან თედიაშვილი საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსებას და რვა წლის განმავლობაში მისი კაპიტანი იყო.

ორგზის ოლიმპიური და სამგზის მსოფლიო ჩემპიონი სოსლან ანდიევი. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ეს ასოცილოიანი გოლიათი საჭიდაო არენაზე გამოვიდა და... ლექსს წაიკითხავდა! თანაც - საკუთარს! ანდიევი ამ ტურნირში არ მონაწილეობდა. ტურნირში არც ივან იარიგინი და ილია მატე მონაწილეობდნენ - ლევანის ყველაზე საშიში და ყველაზე ღირსეული მოწინააღმდეგენი ბოლო წლებში. სამივე ლევანის სიყვარულმა და პატივისცემამ ჩამოიყვანა თბილისში. სწორედ ამ სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულება იყო, რომ გაცილების საზეიმო ცერემონიალის ბოლოს მატემ და იარიგინმა მხრებზე შეისვეს ლევანი და ისე შემოატარეს საპატიო წრე. ანდიევი კი ამ დროს ზურგიდან შეეხიდა ტრიუმფატორს...

ეს ტრიუმფი გვირგვინი იყო ლევან თედიაშვილის ჩვიდმეტწლიანი სპორტული გზისა. არა ერთი და ორი ბრწყინვალე გამარჯვება უნახავს ლევანს ამ გზაზე. მხოლოდ ოფიციალურ სართაშორისო შეხვედრებს თუ ჩავთვლით. ლევან თედიაშვილმა 640 ორთაბრძოლა ჩაატარა და ნახევარზე მეტი წმინდად მოიგო: თავად კი სულ ორჯერ დატოვა ხალიჩა დამარცხებულმა.

„ორივე დამარცხება ცხადად მახსოვს. პირველად 1970 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალში წავაგე გერმანელ პორტს შტოტმაისტერთან ანგარიშით 8:7. ეს ფაქტიურად ჩემი პირველი გამოსვლა იყო დიდ საერთაშორისო სარბიელზე. შტოტმაისტერთან რევანში 1972 წელს ავიღე: ჩვენ თბილისის საერთაშორისო ტურნირის ფინალში შეხვდით ერთმანეთს. უფრო სწორად. უნდა შევხვედროდით. მაგრამ მან ბრძოლა არ ისურვა: ჩენი გეარები რომ გამოაცხადეს, იგი სრულიად სალ-სალამათი. საჭიდაო ფორმაში გამოწყობილი მშვიდად მომიახლოვდა, ხელი ჩამომართვა და გასახდელისაკენ გაემართა. მეორედ 1978 წელს წავაგე მეხიკოში, მსოფლიო პირველობის ფინალში და ისევ გერმანელთან ჰანს ბიუტნერთან. მე ვიგებდი შეხვედრას ანგარიშით 8:3, მაგრამ როცა ბრძოლის დამთავრებამდე ერთი წუთიღა რჩებოდა, ჩემსავე ილეთზე წამოვეგე და... მაშინ რა ვიცოდი, რომ ის ბრძოლა ჩემი უკანასკნელი გამოსვლა იქნებოდა საერთაშორისო ასპარეზზე. ასე რომ, ბიუტნერთან რევანშის აღება ველარ მოვახერხე“.

სულ უკანასკნელად კი ლევანი 1980 წლის 18 მაისს გამოვიდა ხალიჩაზე. ეს მოხდა მოსკოვიში. „დინამოს“ ოლიმპიურ დარბაზში, სადაც საკავშირო ჩემპიონატი მიმდინარეობდა თავისუფალ ჭიდაობაში. ლევან თედიაშვილისა და ილია მატეს ფინალური ორთაბრძოლა ფრედ დამთავრდა და ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალთან ერთად დონეცკელმა სპორტსმენმა მოსკოვის ოლიმპიადის საგზურიც მოიპოვა. ლევანმა მიულოცა მეტოქეს გამარჯვება და უოქროსმედლოდ არ დაბრუნდეთ, უთხრა. ილია მატე ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. „ჩემს მედალს ლევანს ვუმაღლი. - ამბობს იგი. - მე მისგან ვისწავლე ვაჟკაცობა და პატიოსნება!“.

ერთმა ჟურნალისტმა ლევანს ჰკითხა:

- არსებობს თუ არა მოჭიდავე, რომელიც არც ერთხელ არ დამარცხებულა?

- კი, როგორ არა! - უპასუხა ლევანმა და, როცა თანამოსაუბრემ ბლოკნოტი და კალამი მოიმარჯვა, დააზუსტა, - მამაჩემი იყო ასეთი!

- როგორ, განა მამათქვენი ჭიდაობდა? - გაიოცა ჟურნალისტმა, რომელმაც, ვგონებ, ყველაფერი იცოდა ლევან თედიაშვილის შესახებ.

- საქმეც ეგ არის! - სიცილით მიუგო ლევანმა, - მამაჩემს არასოდეს უჭიდავია, ხოლო რომ ეჭიდავია, ერთ-ორ შეხვედრას ისიც აუცილებლად წააგებდა!

ლევან თედიაშვილს უყვარს ხუმრობა, მეტად გულღიაა და ხალისიანი, მეხიკოს მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში საკდესის კორესპონდენტი წერდა: „თედიაშვილს გულშემატიკვრობდა ყველა, თუნდაც იმიტომ, რომ ის ერთადერთი მოჭიდავეა მსოფლიოში, სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში რომ გამოდიოდა, იმიტომაც. რომ მას მოწყენილს ვერასოდეს ნახავთ, ხუმრობს, იცინის, ორთაბრძოლის წინ კი სულ ცოტა დრო სჭირდება იმისათვის, რომ მთელი შეხვედრის გეგმა მოიფიქროს, მას ხომ ყველაფერი ძალუძს, როცა ხალიჩაზეა. ნახევარფინალური შეხვედრების დროს ლევანმა თვალი მოჰკრა ორიოდ წლის ბიჭს, რომელიც ხალიჩაზე კოტრიალობდა. ვერ მოითმინა, ხალიჩაზე გავიდა და მხიარული ორთაბრძოლა გამართა“.

დიახ, მეტად გულღიაა და ხალისიანი ლევან თედიაშვილი, საოცრად გადამდები სიცილი აქვს. მაგრამ იმ დღეს - 1981 წლის 1 თებერვალს - რამდენჯერმე ცრემლით აევსო თვალები. ცხადია, მისთვის ძნელი და სამწუხარო იყო სპორტთან განშორება.

* * *

„როცა ეს ამდენი ხალხი ფეხზე ადგა და ოვაცია გამიმართა, ცრემლი ვერ შევიკავე. მე ვწუხდი და ვნანობდი, რომ ვერ შევძელი და ვერ მოვიპოვე ქართველებისათვის ესოდენ სასურველი მესამე ოლიმპიური ოქრო. ეს ვალი მიმყვება დიდი სპორტიდან მიმავალს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან შეჭველად გამოჩნდება ქართველი ფალავანი, რომელიც ჩემს ვალს გადაიხდის და სამ, ან იქნებ მეტ, ოლიმპიურ გამარჯვებასაც იზიემებს“.

ჭიდაობა ქართველთა ეროვნული სპორტი იყო ოდითგანვე. ქართულმა ჭიდაობამ არაერთი ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი მისცა სამყაროს ჭიდაობის ოთხსავე საერთაშორისო სახეობაში: თავისუფალში, კლასიკურში, ძიუდოსა და სამბოში.

საქართველოს ჯერ კიდევ გასაბჭოებამდე ჰყავდა მსოფლიო მასშტაბის ფალავნები, რომელთაც მრავალი სასახელო გამარჯვება მოუპოვებიათ შინ თუ გარეთ. რომელი ერთი დავასახელოთ: დავით ხიზამბარელი და კულა გლდანელი, ნესტორ ესებუა და კოსტა მაისურაძე, ქიზიყელი კამბეჩუა და შაშო ვერელი, თედო ლილოელი და გიორგი „ჯიბგირი“, სანდრო კანდელაკი და სხვები.

თითოეული ამ ფალავანთაგანი საოცარი სპორტული ბიოგრაფიის პატრონია. კოსტა მაისურაძემ, მაგალითად, რამდენიმე წუთში ბეჭებით გააკრა ხალიჩას ცნობილი ზანგი მოჭიდავე ბამბო ულა. მას სხვადასხვა დროს დამარცხებული ჰყავს აგრეთვე სახელგანთქმული „შავნიდაბა“ - ოსკარ შნაიდერი, პარიზელი კოსტან ლემარენი, შვედი ვილსონი, ინდოელი ფალავნები: პირარდე-კოლოსი, შევალიე, რიცნელი, კორუ კანელი, ბიულერი, აპოლონი, ჰანს შვარცი, პაულ ბანი, ლურიხი, ყარა ახმადი, ჩია იანსი, კრაუზერი, კავანი, რიზბახერი, კლემენს

ბული, ველანდ შულცე... ქიზიყელი კამბეჩუა (ვანო აბულაძე) ის წლების განმავლობაში დიდი წარმატებით გამოდიოდა საფრანგეთსა და ინგლისის, გერმანიისა და ბელგიის, ესპანეთისა და ამერიკის ცირკებში თუ საჭიდაო არენებზე...

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ქართველ ფალავნებს საშუალება არ ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ მსოფლიო პირველობებსა თუ ოლიმპიურ თამაშებში, თორემ ვინ იცის, იქნებ პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი დავით ციმაკურიძე სულაც მეთე ან მეთხუთმეტე ყოფილიყო!

თავისუფალი სტილის ქართველი მოჭიდავეები მუდამ დომინირებდნენ არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მსოფლიო ასპარეზზე. ქართული ჭიდაობის სასახელო ტრადიციებზე აღზრდილ ფალავნებს მსოფლიოს არაერთი უძლიერესი მოჭიდავე დაუმარცხებიათ. იცვლებოდნენ თაობები, მაგრამ უცვლელი რჩებოდა ჭიდაობის ქართული სკოლის სახელი და დიდება, მისი ტრადიციები. არსენ მეკოკიშვილმა და დავით ციმაკურიძემ ვახტანგ ბალავაძეს და მირიან ცალქალამანიძეს გადასცეს ესტაფეტა, ვახტანგ ბალავაძემ და მირიან ცალქალამანიძემ - ვლადიმერ რუბაშვილსა და გურამ საღარაძეს, მათ კიდევ - შოთა ლომიძეს და ზარიბეგ ბერიაშვილს. შოთა ლომიძემ და ზარიბეგ ბერიაშვილმა ლევან თედიაშვილს... სამწუხაროდ, ლევან თედიაშვილი უმემკვიდრეოდ წავიდა დიდი სპორტიდან; მის შემდეგ ჩვენს თავისუფალ ჭიდაობაში დიდი ვაკუუმი გაჩნდა.

ეს თავად ლევანმაც აღნიშნა თავის საზეიმო გაცვილებაზე, როცა სამადლობელ სიტყვას ამბობდა. ხომ ხედავთ, ხალხო, რა დღეშია ჩვენი ჭიდაობა; მომეხმარეთ, მხარში ამომიდექით, იქნებ საქმეს ვუშველოთო.

ქართველ კაცს უყვარს ჭიდაობა, სპორტის ამ სახეობაში მისი სულის ნაწილია თითქოს ჩაქსოვილი და წარმოუდგენელია, საქართველოს აღარ ჰყავდეს მსოფლიო ფალავნები, ისეთები, რომლებიც ღირსეულად გააგრძელებენ ლევანის გზას, რომლებიც მისი ღირსეული მემკვიდრეები იქნებიან.

იმ დღეს კი ლევანმა თავისი უშუალო მემკვიდრეები დააჭიდა ერთმანეთს და ეს იყო მისი ტრიუმფის ნამდვილი აპოთეოზი.

- ხშირად მეკითხებიან, შენი ორი ბიჭიდან რომელი გამოვა

მოჭიდავეო. მე ვერ გეტყვი. მოდით, ახლა ვაჭიდავებ და თქვენ თვითონ შეარჩიეთ! - თქვა ლევანმა.

ცოტა ხანს იჭიდავეს ვახტანგ და ბესარიონ თედიაშვილებმა, მერე უფროსმა უმცროსს მოგვერდი უყო და მამამ ორივეს ხელი აუწია გამარჯვების ნიშნად. ლევანის მოქმედებაში და სახეზე ერთი რამ იკითხებოდა: „ბიჭები ჯერ ძალიან პატარები არიან. მაგრამ, თუ მომავალში რომელიმე მათგანმა ივარგა, მისი თავი ენაცვალოს საქართველოს!“

ვინ იცის, იქნებ რამდენიმე წლის შემდეგ ისევე გამოჩნდეს თედიაშვილის გვარი საჭიდაო სამყაროში. იქნებ ისევე აალაპარაკოს ქვეყანა თედიაანთ რომელიმე წარმომადგენელმა!

* * *

ჭიდაობაში რეკორდები ოფიციალურად არ აღინუსხება, მაგრამ ლევან თედიაშვილი მანინც არის ორი, ალბათ განუმეორებელი რეკორდის მფლობელი:

1974 წელს ისტამბულის მსოფლიო ჩემპიონატზე ლევანმა ზუსტად სამ წამში (დიახ, სამ წამში!) გააკრა ხალიჩას შვეიცარიელი მარტინეტი. ერთი, ორი, სამი და მორჩა! საოცარია! ფანტასტიკური!

მეორე ფანტასტიკური რეკორდი ლევანმა 1973 წელს დაამყარა თეირანში, სადაც ერთმანეთის მიყოლებით სამი მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა. თავისუფალ ჭიდაობაში, ლევანმა მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა და თანაგუნდელებთან ერთად სამშობლოში დასაბრუნებლად ემზადებოდა, მაგრამ მას კიდევ რამდენიმე დღით მოუხდა თეირანს დარჩენა: სამბისტა გუნდის საშუალოწონოსანი აჟად გამხდარიყო და მწვრთნელმა ლევანს მისი შეცვლა სთხოვეს. ლევან თედიაშვილი თავის დროზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო ჭაბუკთა შორის სამბოში, თუმცა ეს იყო რვა წლის წინათ. მაგრამ გუნდს დახმარება სჭირდებოდა და ლევან თედიაშვილი სამბისტა ტურნირშიც გამოვიდა. მის წონაში 12 ქვეყნის 69 წარმომადგენელი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. ასე რომ, ბრძოლა სულაც არ ყოფილა ადვილი. ლევანმა ზედიზედ დაამარცხა

რამდენიმე ძლიერი მოჭიდავე. მის წარმატებას აღფრთოვანებული ხედებოდა მრავალათასიანი „ფარაჰი“ - ირანის დედაქალაქის უდიდესი საჭიდაო არენა. ქართველი ფალანგის ოსტატობით გაოცებულნი იყვნენ ლეგენდარული ირანელი ფალანგები მანსურ მეჰტიზადე და აბდულაჰ მოვაჰედი. ისინი მონუსხულები მისჩერებოდნენ ლევან თედიაშვილს, სწორედ ისე, როგორც რამდენიმე წლის წინ თბილისის სპორტის სასახლეში მისული საგარეჯოელი ბიჭი უყურებდა მათ ჭიდაობას. ლევანმა ბოლოს ტურნირის ფავორიტი, ამერიკელი ჯონ ბაგმანიც დაამარცხა და ერთი კვირის მანძილზე მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

- კლასიკურშიც. ალა თედია, კლასიკურშიც! - გაჰყვიროდნენ ტრიბუნები.

ლევანი, ალბათ, მესამე ოქროს მედალსაც წამოიღებდა თეირანიდან. მაგრამ ვალერი რეზანცევი ავად არ გამხდარა!...

ლევანი მეორე მსგავს შემთხვევასაც იხსენებს:

„1972 წელს იაპონიის პროფკავშირთა სპორტულმა ასოციაციამ ქართველ ძიუდოისტებთან ერთად ამხანაგური გამოსვლებისათვის მიგვიწვია. ჩვენს ცნობილ ძიუდოისტს შოთა ჩოჩიშვილს ერთ-ერთ შერკინებაში მხარი დაუზიანდა და ვეღარ შესძლებდა ტატამზე გამოსვლას. ეს კი ჩვენ წაგებას გვიქადდა. მწვრთნელებმა მთხოვეს. რომ ძიუდოშიც დამეცვა ჩვენი გუნდის ღირსება. ბედზე ძიუდოისტთა და ჩვენი დარბაზები მეზობლად იყო. ასე რომ, როგორც კი ხალიჩაზე თავისუფალ ჭიდაობას დავამთავრებდი, ტატამზე გავდიოდი. ერთ დღეს ათი შეხვედრა მოვიგე“.

* * *

ლევან თედიაშვილის ყოველი გამოსვლა თბილისში ნამდვილი დღესასწაული იყო ქართველი გულშემატკივრებისათვის. საიდან აღარ მოდიოდნენ მისი ჭიდაობის სანახავად და ლევანსაც არასოდეს გაუწიილებია თაყვანისმცემლები. ეს იყო მხოლოდ, რომ ზოგჯერ სწრაფად იგებდა ორთაბრძოლას, მაყურებელი ჭიდაობის ემხში შესვლასაც ვერ ასწრებდა.

ერთხელ გაუგონარი რამ მოხდა: როცა ლევანმა ქვეშე

მოიგდო მოწინააღმდეგე და წმინდა გამარჯვებას აღარაფერი უკლდა, ხალხი შეეხვეწა თავის ფალავანს:

- გაუშვი, ლევან, ცოდოა!

არ წააქციო ლევან! გულშემატკივართა ხათრით ლევან თედიაშვილმა ის შეხვედრა ფაქტიურად რამდენჯერმე მოიგო. თითქოს დიდი არტისტი ბისზე გამოიხმოო მაყურებელმა.

* * *

ამერიკელები ტრადიციულად ძლიერები არიან თავისუფდალ ჭიდაობაში. მათ ყოველთვის ჰყავდათ სახელმოხვეჭილი ფალავნები ჭიდაობის ამ სახეობაში. ძმები ჯონ და ბენ პიტერსონები უძლიერესნი იყვნენ მათ შორის. 1972 წელს ძმები მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდნენ. ჯონ პირველი საშუალო წონაში ასპარეზობდა, ბენი კი მეორე საშუალოში. ბენი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ხოლო ჯონი ვერცხლის მედალს დასჯერდა, რადგან მის წონაში თვით ლევან თედიაშვილი გამოდიოდა. მომდევნო ოლიმპიურ თამაშებზე ლევანმა წონაში მოიმატა და მეორე საშუალო წონაში მოუხდა გამოსვლა. ამჯერად ჯონ პიტერსონი გახდა ჩემპიონი. ბენმა კი მეორე ადგილი დაიკავა. პირველი, რასაკვირველია, ლევან თედიაშვილი იყო!

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთ-ერთი ამხანაგური შეხვედრის დროს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართა, ჯონ პიტერსონი გულშემატკივრებსა და ჟურნალისტებს შეპირდა, რომ ამჯერად უეჭველად დაამარცხებდა ლევან თედიაშვილს. მართლაც, დაიწყო თუ არა მათი ორთაბრძოლა, პეტერსონმა მომგებიანი ქულა აიღო და... ხალიჩიდან გაქრა.

„საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი; ხალხმა ჯონი ხელში აიტაცა და რიგიდან რიგში ერთმანეთს გადასცემდა“.

როგორც იქნა, დაბრუნდა ჯონ პიტერსონი ხალიჩაზე. შეხვედრა გაგრძელდა და ლევანმა იგი გამანადგურებელი ანგარიშით მოიგო.

ამერიკელ მოჭიდავეთა მწვრთნელმა მონრეალის ოლიმპიადაზე მიუნჰენის ოლიმპიადის ჩემპიონმა დან გეიბლიმ ლევანის

გამო თქვა:

- ეს არის ფენომენი, რომელიც მანამ იბატონებს სარბიელზე, სანამ სული უდგას. ჯონი და ბენი უფრო ბედნიერ ვარსკვლავზე რომ იყვნენ დაბადებული, წონა ნაკლები ექნებოდათ!

მონრეალში ეურნალისტებმა ლევანს „დიდი ტედი“ შეარქვეს. „მონრეალ სტარის“ კორესპონდენტი წერდა:

„ტედი თანამედროვე სპორტსმენის ნამდვილი იდეალია: იგი ყველაზე დიდია მსოფლიოში, ყველაზე დიდი და ყველაზე სრულყოფილი. ტედის ვარსკვლავი თვალისმომჭრელად კაშკაშებს და ზღაპრული სიმაღლიდან დაჰყურებს სარბიელს. იგი ალბათ კიდევ დიდხანს იკაშკაშებს, რადგან ყველაფერთან ერთად ტედი ბედის ნებიერიცაა“.

ამერიკელებს უყვართ ყველაფერი ექსტრავაგანტური მსოფლიო თასის გათამაშების შემდეგ სან-დიეგოში გაიმართა საბჭოთა და ამერიკელ მოჭიდავეთა ამხანაგური შეხვედრა. შეხვედრის დაწყებამდე შეჯიბრების ორგანიზატორებმა სან-დიეგოს ცირკიდან დათვი მოიყვანეს და სოსლან ანდიევს დაუყენეს. ანდიევმა უარი თქვა დათვთან ჭიდაობაზე. სხვა გზა არ იყო, საბჭოთა გუნდის ღირსება მის კაპიტანს - ლევან თედიაშვილს უნდა ეხსნა და „ბედის ნებიერიც“ დათვის პირისპირ დადგა ხალიჩაზე. ორთაბრძოლას დათვის მწვრთნელი სჯიდა, მაგრამ ეს სუბიექტური მსაჯიც კი იძულებული გახდა, ზედიზედ სამი მომგებიანი ქულა მიეცა „დიდი ტედისათვის“. დათვთან სამწუთიანი შერკინება ქართველი ფალავნის გამარჯვებით დამთავრდა. ამის შემხედვარე ამერიკელმა მოჭიდავემ, რომელიც ლევანის წინაში გამოდიოდა ბრძოლაზე უარი განაცხადა.

ევროპის ერთ-ერთ ჩემპიონატზე თედიაშვილის მოსყიდვა განიზრახეს. მას დიდძალი თანხა აღუთქვეს, თუ ასპარეზობის ფინალურ ბრძოლას მასპირძელთა გუნდის წარმომადგენელთან წააგებდა.

ლევანმა ის შეხვედრა წმინდად მოიგო.

* * *

ლევან თედიაშვილის გაცილებების საზეიმო ცერემონიალზე ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციისა და ტურნირზე ჩამოსულ უცხოელ სტუმართა სახელით სიტყვა წარმოთქვა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ბიუროს წევრმა და ტექნიკური კომისიის თავმჯდომარემ, ბულგარეთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, სოციალისტური შრომის გმირმა, პროფესორმა რაიკო პეტროვმა:

„ძვირფასო ამხანაგებო! ძვირფასო მეგობრებო! ჩემო საყვა-რელო, ძვირფასო ლევან!

ჩემთვის დიდად საპატიო და სასიამოვნოა, ჭიდაობის საერთა-შორისო ფედერაციისა და უცხოელ სტუმართა სახელით მივე-სალმო ჩვენი ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე შესანიშნავ სპორტსმენს.

ლევან თედიაშვილი ეს არის მოჭიდავე, რომელსაც დამარცხებული პყავს ჩვენი პლანეტის უძლიერესი ფალანგები რამდენიმე წონით კატეგორიაში. მან თავის თავში, როგორც ფოკუსში. შეკრიბა ყოველივე საუკეთესო, რაც საქართველოს ჭიდაობას გააჩნია და გააგრძელა სახელოვანი ტრადიციები დავით ციმაკურიძის, არსენ მეკოკიშვილის, ვახტანგ ბალავაძის, მირიან ცალქალამანიძის, ვლადიმერ რუბაშვილს, გურამ საღარაძის, ზარიბეგ ბერიაშვილის, შოთა ლომიძის და სხვათა.

ჩვენ გულითად მადლობას ვუხდით ლევანს იმ წვლილისათვის, რომელიც მან მსოფლიო ჭიდაობის საგანძურში შეიტანა. ლევანი იყო მსოფლიოს ყველა მოჭიდავის არა მხოლოდ დამარცხებული, არამედ - მასწავლებელიც. ლევანმა ბევრი გამარჯვება მოიპოვა საჭიდაო ხალიჩაზე. მაგრამ მისი ყველაზე დიდი გამარჯვება დროზე გამარჯვებაა. მისი დიდება კოსმოსური მასშტაბით თუ განიზომება ხოლო მისი სპორტული გმირობა მაგალითად დარჩება ყველასათვის ჭიდაობის განვითარების მთელ მანძილზე.

ჩემო ძვირფასო ლევან! ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის მიღან ერცევგანისა და თბილისის XX საერთა-შორისო ტურნირის ყველა უცხოელი სტუმრის სახელით სულითა და გულით გისურვებ მტკიცე ჯანმრთელობას, ბევრ, ძალიან ბევრ სიხარულს და დიდ წარმატებებს შრომასა და პირად ცხოვრებაში“.

ლევან თედიაშვილის დარი სპორტსმენები თითებზე ჩამოსათ-

ვლელი ჰყავდა საქართველოს. არ დარჩენილა სპორტული ტიტული რომ მას არ მოეპოვებინოს. ქართველ სპორტსმენთაგან მოჭიდავეები არიან ყველაზე ტიტულოვანნი, ლევანი კი მათ ფონზეც გამოირჩეულია: მაგრამ ტიტულებთან ერთად ლევანმა მოიხვეჭა ყველაზე მთავარი - თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის სიყვარული და პატივისცემა.

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ სპორტსმენს ხშირად უფრო მეტის გაკეთება შეუძლია ქვეყნისათვის. თუნდაც ერის პოპულარობის გაზრდის თვალსაზრისით, ვიდრე მხატვარს. მწერალსა თუ მეცნიერს. ამდენად. მას ფრიად საპატიო მისია აკისრია, მაგრამ მის შესასრულებლად სპორტსმენი ღირსი უნდა იყოს ამ მისიისა.

ლევან თედიაშვილი სწორედ ასეთი სპორტსმენი იყო.

თბილისი 1988 წელი.

„მოგავალზეც სომ უნდა ვიფიქროთ?“

გამოხმაურება წერილზე: „ოცნების ქალაქამდე ორი ნაბიჯია“
მწერალ გურამ ფანჯიკიძის წინადადებას თბილისის ცენტრში სპორტული ქალაქის აშენების შესახებ, რომელიც გაზეთ „თბილისში“ დაიბეჭდა (1988 წლის 21 აპრილი, „ოცნების ქალაქამდე ორი ნაბიჯია“), ბევრი მომხრე გამოუჩნდა. არც არის გასაკვირი. საკითხის წმიდა სპორტულ და ეკოლოგიურ მხარეზე რომ არაფერი ვთქვათ, სპორტული ქალაქის აშენებით დიდი ნაბიჯი გადაიდგმება თბილისელთა ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეში. ეს, ცხადია, ყველაზე ნათლად აქვს წარმოდგენილი ამ სფეროში მომუშავე ხალხს. გთავაზობთ თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ლევან თედიაშვილის გამოხმაურებას გურამ ფანჯიკიძის წერილზე.

ჩვენი პატივცემული მწერლის წინადადება იმდენად საჭირო და მისაღებია, რომ ახლა მიკვირს კიდევ, ეს იღეა უფრო ადრე რატომ არავის დაებადა.

მე ახლა ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ვარ და ჩემსავით იქნებ ბევრმა არ იცოდეს, როგორ გეიჭირს სპორტული ბაზები. აგერ გამოჩნდა გონიერი კაცი და ჯანსაღ იდეას გვთავაზობს, უარი უნდა ვთქვათ? ან რა საბუთი უნდა მოვიშველიოთ ასეთი წინადადების უარსაყოფად? თუ საერთო აზრია საჭირო, თბილისში ყოველი მეორე ადამიანი სპორტის გულშემატკივარია, მათ ვკითხვით, ვინ იტყვის უარს?

ამიტომ აუცილებელია სპორტული ქალაქის აშენების ნებართვა მივიღოთ და ამისათვის ყოფილი აბრეშუმის ფაბრიკის ტერიტორიაც გამოვიყენოთ. ვიცი, დიდი ბრძოლა გახდება საჭირო იმ ორგანიზაციებთან, ვინც სათავესოდ დაიგულა ეს ადგილი. მათი გამარჯვება სამწუხარო იქნება სპორტის მოყვარულთათვის და, საერთოდ, საღი აზრისთვის. ჩვენთან თუ უცხოეთში რამდენ ქალაქშია ისეთი დიდი სპორტული კომპლექსები, როგორც პატივცემული გურამ ფანჯიკიძე ლაპარაკობს. არადა, ასეთი კომპლექსის კონტურები, კონტურები კი არა უფრო დიდი ნაწილი, აგერ არა გვაქვს? - კიროვის პარკის მოედნები, ქვემოთ - მშვენიერი საცურაო აუზი... ჩვენი მივამატოთ სიკეთეს სიკეთე, განა გაფუჭდება რამე?

ახლა უკვე ცნობილია, ზოოპარკის სხვაგან გადატანას აპირებენ. დიდი შორსმჭვრეტელობა არ უნდა იმის წარმოდგენას, რა ჩხუბი ატყდება ამ ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად, ალბათ საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ნაგებობების აშენებას მოიწადინებენ. საკვირველია პირდაპირ, ახლა არ ითქვა გმირთა მოედნის შესახებ, ჰაერი იმდენად გატუჭყიანებულია, წესით, იქ ცხოვრება არ შეიძლებაო? თუ კიდევ დატვირთვის ეს ადგილი, ახლომახლო მცხოვრებლებისათვის ალბათ აირწინალების დარიგება გახდება საჭირო. ვფიქრობ, ამ ადგილს სპორტული ქალაქი და სიმწვანე თუ დაემატა, საქმეს მხოლოდ წაადგება.

თუკი იქ აუცილებლად შენობაა საჭირო, ბარემ ერთი კარგი სასტუმრო ჩაიდგას სპორტსმენებისათვის. იმდენ შეჯიბრებაზე ვამბობთ უარს სასტუმროების ნაკლებობის გამო. ხალხს კი კარგი სპორტული სანახაობა, კარგი შეჯიბრება სჭირდება, გვექონდეს ერთი კარგი სასტუმრო სპორტისათვის, როცა შეჯიბრება არ იქნება, ცარიელს ვინ გააჩერებს ჩვენი სივიწროვის

პირობებში.

კიდევ რა მინდა ვთქვა: თუ ის ტერიტორია გაიმეტეს სპორტისათვის, მოედნების აშენებას მალე დადგება საშუელი. აგერ, მეზობლად არ არის პოლიტექნიკური ინსტიტუტი თავისი 25 ათასი სტუდენტით? მით უმეტეს, ამისთვის მონდომებულია ის ხალხი, სწორედ თქვენს გაზეთში წაეკითხე, ინსტიტუტის ხელმძღვანელები, პროფესორ-მასწავლებლები როგორ არიან დაინტერესებული სპორტული ქალაქის აშენებით და დიდ დახმარებასაც გეპირდებიან. ასეთ ენთუზიასტ ხალხს ქალაქში რა გამოლევს ბევრნი დაგვეხმარებიან, სტუდენტები, გულშემატკივრები. ახალი ბაზები სულაც წილობრივი წესით შეიძლება ააშენო სხვადასხვა ორგანიზაციასთან ერთად, ბევრი არ იტყვის უარს.

ბოლო ხანს ჩვენში სპორტული ღონისძიება საკმაოდ ტარდება: ვატარებთ სადაც მოგვიხდება, სადაც არის საშუალება ქუჩებში, სკვერებში, მოედნებზე... კიდევ ვინ იცის, სად. ასეთი და კიდევ სხვა რამდენი პრობლემა გადაწყდებოდა, იმ „ოცნების ქალაქის“ აშენებით, რომელსაც გურამ ფანჯიკიძე გეთავაზობს. იმ აბიტურიენტებსაც, ახლა გამწარებით რომ დარბიან ერთი ბაზიდან მეორეზე ფიზკულტურაში ჩათვლების ჩასაბარებლად, უფრო გაუადვილდებათ საქმე, მომავალზეც ხომ უნდა ვიფიქროთ? გაზეთი „თბილისი“ 6 ივლისი 1988 წ.

"ВЗГЛЯД В ПРОШЛОЕ И БУДУЩЕЕ"

С чего лучше начать беседу с олимпийским чемпионом в эти дни! Конечно же, с олимпийской темы. Хотя олимпийский огонь в Сеуле погас, события там еще будет владеть умами. На мой взгляд, говорит Леван Тедиашвили, герой Олимпиад в Мюнхене и Монреале, пятикратный чемпион мира, на этот раз был достигнут подлинный триумф. В Южную Корею я не поехал, смотрел соревнования по телевидению, но впечатлений много. Вот и Нана ханум все переживала, волновалась, да и сейчас еще успокаиться не может: две недели пердынфарктного состояния даже у жены чемпионов...

Леван Тедиашвили не шутит. Перегрузки неравные испытали все мы, любители спорта, что уже говорить тогда человеку, который все это знает изнутри, почувствовал, как говорится, своими печенками. Сейчас олимпийский чемпион, ему сорок лет, и он возглавляет Тбилисский спорткомитет, находится в отпуске. Год последний выдался суматошный, тяжелый, дел было все время невпроворот. Где же отдохнуть? Разумеется, в Баку, с друзьями, туда дорога накатана: Айдын Ибрагимов, Ибрагимпаша Дадашев - все люди близкие, родные, да и жена, ее Леван называет Нана ханум, нашего города еще не видела.

- Я много поездил значит, и повидал много, - говорит мой собеседник. Скажу: ничего тяжелей Олимпийских игр для спортсмена нет. С ними ни в какое сравнение не идут ни чемпионаты континента и мира, ни внутренние первенства. Здесь все на нервах. Если дашь чувствам захватить себя, если переговоришь, пиши-пропало. Главное - самообладание. Да, да, не спорю, надо и силу иметь, и ловким быть, и приемы хорошо знать - как же спортсмену без всего этого, но если не можешь нервы сжать в кулак, проявить мужественность, то на Олимпиаду лучше не ездить. Потому-то, быть может, чаще всего в выигрыше оказываются дебютанты, молодые еще атлеты, на которых меньше давит груз ответственности, у которых нервы не пошаливают.

Конечно, в такой беседе не могут быть потревожены тени совсем не забытых предков. Арсен Мекокишвили, Давид Цимакуридзе, Вахтанг Балавадзе... Вот, кто первыми прокладывал путь советским борцам к пьедесталу почета на олимпиадах. Им было трудно, а их преемникам еще тяжелей. Конкуренция стала такой большой как никогда прежде. Вахтанг Балавадзе, крестный отец Левана, который-то и дал ему путевку в большой спорт, однажды удивленно спросил ученика на чемпионате мира: ты как-то удивительно спокоен сегодня, а у тебя схватка с иранцем. Я пошутил, вспоминает мой собеседник: проблем не будет. Вахтанг покачал головой: прежде, когда я готовился к схватке с иранскими да турецкими чемпионами, сон пропадал, аппетита лишался. Понимаю хорошо: самонадеянность спортсмена не красит, но в мое

время табель о рангах стал другими. Болгары стали себя утверждать, румыны, монголы. Впрочем, изменилось положение и в сборной Союза. Сорок лет назад, я тогда только родился и знаю все это по рассказам, в число чемпионов Союза-48 в закавказскую когорту включился только один эстонский богатырь прежде там главенствовали, вспомните великого Али Алиева, у "вольников" не оказался представленным Азербайджан. Может потому это, что начинаем всегда мы, - за нами, кавказцами, национальные традиции в борьбе, темперамент, а потом нас начинают теснить люди более работоспособные, целеустремленные, если хотите, и более честолюбивые. Труд спортсмена - сила решающая. Тут есть над чем нам всем задуматься и что-то в себе постараться изменить, и тогда нам цены не станет.

Повторяю: внимательно следил за всеми схватками на ковре. Был там и диктат судей. Но Юрий Шахмурадов и Айдыр Ибрагимов, который тоже основательно приложил ко мне руку. Они учили нас мыслить, в мастерах той плеяды было меньше скованности. Риск поощряли спортивную хитрость, да ведь и о зрителе надо помнить, не только о медалях. Чтоб волновался, переживал восхищался. Ценил ум борца.

Как видите, и эти воспоминания - в стиле ретро. Но вовсе не потому, что душа не приемлет сегодняшних кумиров ковра. Совсем напротив, и они милы мне, и им нельзя не воздать должного.

Кстати, о табели о рангах. Скорей для перепроверки самого себя задаю ему вопрос, какой след в спорте оставил Леван Тедиашвили, какие места занимал. Леван удивительно вскидывает брови: первые. Только первые. И ни тени хваставства. Ушел с ковра непобежденным - для борца это высшая похвала. После беседы из дома звоню Алкивиаду Пвалиди, мастеру спорта, многократному чемпиону Азербайджана по вольной борьбе: ты-то помнишь его лучше, что он за человек, этот Леван? Да это, отвечает Пвалиди, сама бодрота, душа открытая, бесхитростная. Зато на ковре был хитрованом, каких не сыщешь неитощимым на каверзы. Не смотрите, что богатырь, и силой в руках обладал феноменальной. А соперника не ломал, к каждому подбирал свой ключик.

Нечего и говорить, что во время такой беседы на вольную тему Баку и бакинцы были все время на первом плане. Нана ханум поражена Баку в самое сердце. И в мыслях не могла иметь, что так красив он и своеобразен. Площадь Низами - чудо, мне именно тут стала раскрываться душа народа. Эта гармония красок, неброскость красоты, естественность и скромность наряда сродни бакинцам.

Леван знает нашу республику изнутри, нет для него секретов, белых пятен в каменной летописи Ичери шехер, гянджинских площадей. Полжизни, даже больше провел на колесах, посетил десятки стран, и римских Колизей, и форум видел, только в США девять раз побывал. Так что может сравнивать. Баку полюбил же, говорит чемпион, с первого взгляда. А сейчас проникся особым уважением и к бакинцам. Убежден: потомки оценят по достоинству то, что делают они для сохранения красоты своего города. Но только ли в камнях дело? мне приятно, что люди само гостеприимство, хотя жизнь вовсе не так и проста. Не забывают никогда о том, что старшего надо почитать, а памятью о предках не поступаться.

Сейчас, как председатель городского Спорткомитета, часто встречаюсь в коллективах со спортсменами. Город мой тоже интернациональный, в этом смысле от Баку отличается мало. Все чаще в списках чемпионов, призеров называются фамилии азербайджанцев. Живем, вы это и сами хорошо знаете, дружно, и в общежитии людском такие отношения утвердились, и в производстве, и в науке, и о спорте и говорить нечего. Да и что нам делить?

Мы прощаемся. Беседы была долгой. Но для короткого пребывания в Баку расписаны у четы Тедиашвили дни по часам. А нужно еще побывать на взморье, хоть я не сезон, познакомиться с новыми жилыми массивами, посетить памятные места - да мало ли...

Марк Пейзель.
Газета "Спорт", 4 октября 1988 года.
г. Баку.

„გვილოცავენ სახელოვანი სპორტსმენები“

ლევან თედიაშვილი

ერთი მაგალითი როგორ გამოვეყო საგანგებოდ, მთელი ჩემი ბიოგრაფია სულ კურიოზებისაგან შედგება:

ჯერ იყო რა, კაკაბეთში ვმუშაობდი კოლმეურნეობის თავჯდომარედ V მივიღებდი გადაწვეტილებას და, ხალხს თუ არ მოეწონებოდა, ამას, კოლმეურნეობა სპორტში ხომ არ ეშლებათ. ეხლა სპორტკომიტეტში ვარ და, თუ ვინმე დარჩა უკმაყოფილო - ამას სპორტი კოლმეურნეობა ხომ არ ჰგონია.

მე არა მგონია არ ვიცი, მაგრამ, ერთი როლი მათამაშეს კინოში და პრიზი მომცეს. კინომსახიობებს ვეუბნებოდი, აბა თუ ბიჭები ხართ, ერთხელ თქვენც სცადეთ ჭიდაობის საერთაშორისო ტურნირზე გამოსვლა, რომელი გაიმარჯვებთ-მეთქი.

გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1 იანვარი 1989 წ.

„2200 დოლარი ჭაბუკ ფალავანეს“

„წითელ შუქთან“, გახსოვთ ალბათ, „ლელომ“. ამ სათაურით აუწყა მკითხველებს იმ პირობების შესახებ, რომელიც ჩვენი ექვსი ჭაბუკის თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობასთან დაკავშირებით წამოიჭრა. ცენტრმა უარი თქვა ნაკრების ვალუტით დაფინანსებაზე და ამ საკითხის მოგვარება იმ რესპუბლიკებს მიანდეს, ვისი წევრებიც ნაკრებში მოხვდნენ. „ლელომ“ მიმართა ყველას დახმარებოდნენ ჭაბუკ სპორტსმენებს.

და აი პირველი ცნობაც: საქართველო-იაპონია მეგობრების ასოციაციის სახელით, ჩვენმა ლეგენდარულმა ფალავანმა ლევან თედიაშვილმა, გუშინ საქართველოს სპორტსახეობის ჭიდაობის რესპუბლიკური გაერთიანების 2200 დოლარი გადასცა.

მაშ ასე, მწვანე შუქი აინთო!

გაზეთი „ლელო“ 21 ივნისი 1990 წელი.

„როგორ ცხოვრობ, ჩემპიონო?“

ინტერვიუ „ტოიოტაში“ ცნობილი სპორტსმენი თავისი დიდების წლებში ყველას თვალწინაა. შემდეგ დგება სპორტსმენთან გამოთხოვების ხანა და იგი ხშირად გვეკარგება თვალთახედვიდან. მერე სადღაც, ან რომელიმე საიუბილეო ღონისძიებაზე „აღმოვაჩინო“ ხოლმე ვის მობერებულს, ცხოვრების მდორე მდინარებას აყოლილსა და უხალსოს, ვის, იღბალშერჩენილს, ახალი საქმით გატაცებულსა და ენერჯიულს...

ლევან თედიაშვილი თავის ახალთახალ, ჯიპის ტიპის „ტოიოტას“ მარცხენა კარს მიადგა, შეიკურთხა, კიდევ ვერ მივეჩვიეო, და მარჯვენა კარისკენ შემოუარა, საითაც საჭე ჰქონდა მანქანას. ძალზე ჩქარობდა და მანქანაშივე მოგვიხდა ინტერვიუს აღება, რომელიც შემდეგ მის ბინაში გავაგრძელებთ, სადაც რამოდენიმე წუთით შევირბინეთ.

- გაჩუქეს თუ იყიდეთ ეს მანქანა? ვილაცამ მითხრა იაპონლებმა აჩუქესო?

- არა ვიყიდე.

- თუ არ ვცდები გულშემატკივრებმა მას შემდეგ დაგკარგეს თვალთახედვის არიდან, რაც ქალაქის სპორტკომიტეტში მუშაობას დაანებეთ თავი და იაპონიაში წახვედით. სად მუშაობთ?

ცნობილი კეტჩისტის ანტონიო ინოკის პროფესიულ მოჭიდავეთა ფირმაში მთავარი კონსულტანტი ვარ. ასევე თავისუფალ ჭიდაობას ვასწავლი ტოკაის უნივერსიტეტში. საათები მაქვს სემესტრის ბოლს ჩავდივარ ხოლმე, ისევე როგორც სხვა სპეციალისტები. იქ, პირველ ყოვლისა, ჩემი ტიტულები აინტერესებთ.

- კმაყოფილი ხართ იაპონიაში მუშაობით?

- არც იმდენად. მატერიალური მხარე ერთია, საქართველოს რატომ უნდა ვიყო მოწყვეტილი? მაგრამ პროფესიული თვალსაზრისით, იაპონიაში მუშაობამ ბევრი რამ მომცა, ბევრი რამ ვნახე და ეს გამოცდილება აქ, ჩემს მომავალ საქმიანობაში გამომადგა.

- როგორ მოგეწონათ იაპონელი თანამოსაქმეები?

ნამდვილი აზიელები არიან. იაპონელი ერთს ფიქრობს,

მეორეს გეუბნება მესამეს აკეთებს. მათთან ფრთხილად უნდა იყო, თორემ მშრალზე დარჩები. ჩემთანაც ერთი ორჯერ სცადეს მსგავსი რამ, მაგრამ მათთვის ადვილი მოსატყუებელი კაცი არ აღმოვჩნდი. გაუკვირდათ კიდევ და, და მგონი უფრო კარგი თვალთ დამიწყეს ყურება.

- ზოგი ფიქრობს რომ სპორტსმენი აუცილებლად სპორტში უნდა მუშაობდეს.

- არა, მე ამაც აუცილებლად არ ვთვლი. სხვას გეტყვით: არასპორტსმენი არ უნდა იყოს სპორტში?

- ბატონო ლევან, რა დასამალია ბევრ ცნობილ სპორტსმენს თავისი სახელის გამოაწყობენ ამა თუ იმ ხელსაყრელ სამუშაოზე ისე, რომ არავინ იცის, გაამართლებს თუ არა იგი დაკისრებულ მოვალეობას. ამით არც ისე იშვიათად სპორტსმენი თავის სოციალურ ფუნქციას კარგავს. მისი ნიჭი ქვეყანას სწორედ იმ პერიოდში ადგება, როცა იგი სარბიელზე გამოდის, შემდეგ მას ასე ვთქვათ, სახელი ინახავს, თუმცა სხვა შემთხვევაში ვინ იცის, შემდეგშიც რამდენ საქმეს გააკეთებდა.

- მე თვითონ სპორტისთვის თავის დანებება რომ დავაპირე, სახლში ვიჯექი და მაწვალებდა, პირდაპირ მტანჯავდა აზრი: მე რა გამეკეთებინა, რით შემენახა ოჯახი, რით გადამეხადა, ვთქვათ სინათლის გადასახადი. ამხელა თექვსმეტსართულიანი კორპუსში რომ ვცხოვრობ, ხომ ვიღაცა მოკვდება, ორი კაპიკი ხომ უნდა დადო?.. სპორტსმენს ამ დროს სჭირდება დახმარება, სჭირდება მრჩეველი, ვინც გზაზე დააყენებს.

ბევრი ვალის აღებით იწყებს, მეტი გზა არა აქვს. აცხადებს ტელევიზორში, ჩვენი სახელოვანი ჩემპიონი, მეზობელი კინაცნობი გულში იცინის, ამ გლახას ჩემი ორასი მანეთი მართებს, თავი ვერ შეუნახავსო... სამუშაოც თუ უშოვეს, ცდილობენ მისი სახელი გამოიყენონ, უკანონოსაქმე გააკეთებინონ, რაღაც დოკუმენტზე მოაწერინონ ხელი... ისე ვინ რას მოგცემს. თუ კი მაინც მოგცეს, უკვე ვალდებული ხდები, უხერხულად გრძნობ თავს, ფიქრობ რითი გადაუხადო. ერთი ნაცნობი მყავს, გოლუბევი, საკავშირო ტელევიზიაში მუშაობს. გადამეკიდა, ინტერვიუს მეხვეწებოდა. ვუთხარი, ჩემს ნათქვამს ტელევიზორში არ გამოუშვებენ-მეთქი. არა, ახლა სხვა დროაო. მაინც არ გაუშვეს...

გოლუბეგმა მკითხა, ფული თუ გიყვარსო. პირდაპირ ვუთხარი, მიყვარს-მეთქი. იმათ კი მეტისმეტად პირდაპირ პასუხად მიიჩნიეს და აღარ გაუშვეს.

ასე იმოტომ ვქვი, რომ ფული ცხოვრების საშუალებას გვაძლევს. ოღონდ გააჩნია როგორ იშოვი ფულს. ყაჩაღობა და ქურდობა ჩემი საქმე არა არის, ჩემი ბუნება ამას ვერ მიიღებს. ახლა, კიდევ კარგი ბიზნეს თავისი სახელი დაერქვა. ადრე მას საქმოსნობას ეძახდნენ და ხალხს იჭერდნენ. ფულის ხსენებაც არ შეიძლებოდა, რომ გეხსენებინა უკვე ცუდი კაცი იყავი... არადა, თუკი ბევრი ფული გექნება, სხვებსაც ხომ კარგად დაეხმარები.

- სპორტის დღევანდელ საქმიანობაზე რას იტყვი?

ყველა ქვეყანაში სპორტის სპონსორი პყავს, ყველაზე მთავარი სპონსორი კი სახელმწიფოა. სპორტს ძალიან დიდი სახსრები სჭირდება. ოღონდ ისე არ უნდა გაიგოს ვინმემ, რომ ამას ვიღაცას ტყუილად აძლევენ ეს ფული მათი შვილების ჯანმრთელობაზე იხარჯება.

იაპონიაში საბავშვო ბაგა და ბავი არ არის საცურაო აუზი რომ არ ჰქონდეს. ადრე ბავშვი ფიზიკურად შრომობდა, ბევრს მოძრაობდა და ჯანმრთელი იყო. ახლა ერთადერთი გამოსავალი სპორტია, სპორტული ბაზები. იმათი 80 პროცენტი, ვინც ჩვენთან სპორტში მუშაობს, თავს უიღბლო ადამიანად თვლის. რატომ? ვისზე ნაკლები არიან, გინდა ფიზიკოსზე, გინდა ქიმიკოსზე...

ტყუილად ვარჯიშობენ 'ამდენს კაპიტალისტურ ქვეყნებში? თბილისში საერთაშორისო ტურნირზე ჯონ პეტერსონი ჩამოვიდა და მნახა. მე ადამიანური ფორმა დაკარგული მქონდა (ლევან თედიაშვილმა ღიპზე ჩამოისვა ხელი, - გ.ჩ.), ის კი ახლაც ნამდვილი ათლეტია. მითხრა, მე ჯანმრთელობა იმიტომ მინდა რომ ხუთი შვილი მყავს გასაზრდელიო. დამნაშავედ ვიგრძენი თავი, ესე იგი ჩემი შვილების მტერი გამოვედი. ჩვენ თეორიულად კი ვიცით, რომ უნდა ვივარჯიშოთ, მაგრამ ამისთვის ფსიქოლოგიურად არ ვართ მზად.

- როგორ შეგხვდათ ძველი მეტოქე?

- იმიტომ მომწონს ამერიკელები, რაღაცნაირად ბუნებრივი

ხალხია. აი, ძმები პეტერსონები ავიღოთ, ერთს მიუნჰენში წავართვი ოქროს მედალი, მეორეს, მონრეალში. ზოგი ასეთ შემთხვევაში შეგიძლებს. ესენი კი, ვითომც არაფერი... კარგად ესმით, რომ პატიოსანი ორთაბრძოლა იყო და სპორტში ყველაფერი ხდება.

- ხშირად გიხდება სმა?

- ბოლო ხანს რაც შემიძლია, თავს ვიკავებ. ძალიან ცოტას ვსვამ საერთოდ ყველასთან არ უნდა დალიო.

- იქნებ ახლა ცოტა ძველი ამბები გავიხსენოთ. როგორ დაინიშნეთ კოლმეურნეობის თავჯდომარედ?

- კოლმეურნეობა? ეს კარგი ცხოვრებით არ იყო გამოწვეული. რა მინდოდა მე კოლმეურნეობაში? ძველი სიტუაციისა და სისტემის ბრალი იყო. უმაღლესი და ფიზკულტურული და იურიდიული განათლება მაქვს. ვიტყვოდი ბრწყინვალე იურისტი ვარ-მეთქი, მაგრამ კლმეურნეობაში მაინც არ უნდა გავეგზავნეთ. ერთმა თუ რამოდენიმე პიროვნებამ გადაწყვიტა ეს.

ეს კია, რომ ალბათ იფიქრეს: მე ჩემი ავტორიტეტით, შეიძლება კარგი საქმეები გამეკეთებინა, ყოველ შემთხვევაში ცუდი არაფერი გამიკეთებია, ვცდილობდი, რაც შემეძლო.

იქ წავაწყდი პირველად სოფლის პრობლემებს, ახალგაზრდობის მიგრაციის მიზეზებს... მიწამ პატრონი დაკარგა.

საკარმიდამო ნაკვეთები სამართლიანად არ რიგდებოდა. კანონები იყო ასეთი ახალგაზრდებს გასაქანი არ ჰქონდათ, რომ ცალკე დასახლებულიყვნენ და ოჯახები შეექმნათ.

- სინანულით ხომ არ იგონებთ კაკაბეთის კოლმეურნეობაში გატარებულ წლებს?

- არა, ის ჩემი ბედნიერი წლები იყო. დავამტკიცე რომ ხალიჩის გარეთაც შემეძლო რაიმეს გაკეთება. მე „ცეხებში“ ვერ ვიმუშავებდი, მე ამის ხასიათი არა მაქვს. ისეთაც კონფლიქტურ კაცს მეძახიან.

უკვე გითხარით, გლეხების გაჭირვება ვნახე-მეთქი. ნაწილობრივ ისინიც ტყუიან: უფრო მეტს ითხოვენ, ვიდრე მოცემა უნდათ. თუმცა, რა გინდა თქვა ასე მიაჩვიეს, თან აძლევენ საქონლის ყოლის ნებას, და ხან ართმევდნენ. ჯერ - „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ და მეორე „მთას დაუბრუნდა. მთიელი“... ასეთი

ლოზუნგები იყო. აქ არ აძოვო საქონელი, სატყეო მეურნეობის ზოლია. იქ სათესი მიწააო და ასე შემდეგ. ლიფტით ხომ არ ატარებენ საქონელს?

- კოლმეურნეობიდან წამოსვლის შემდეგ აღარ გაწვალუბდათ ის აზრი რა გაგეკეთებინათ?

- როგორ არა, ზოგჯერ პირდაპირ გიყვებოდა. კოლმეურნეობიდან აღარ უნდა გამოვეყვანეთ. იაპონიაში ჩემი ინიციატივით წავიყვანი... ჩვენთან მალე იციან დავიწყება. იყო დრო, მთელი ორი წელი არაფერი დაინტერესებულა, რას ვაკეთებდი, რით ვარსებობდი. აგერ სანეევის მაგალითი აიღე... მარტო სპორტსმენებს კი არა, ალბათ სხვებსაც ასე ივიწყებენ მეცნიერებს, გამომგონებლებს...

ახლა ხშირად არის ლაპარაკი ჩვენი სპორტის საკავშიროსაგან გამოყაფაზე...

- ამ ეტაპზე გამოყოფა ძალიან ნაადრევად მეჩვენება. საერთოდ ჯოხი საწყალ ხალხზე არ უნდა გადატყდეს. სპორტსმენს სამი ოთხი წელი აქვს, რომ რაღაც გააკეთოს. სანეევისთანა დღეგრძელები თითოთოროლა არიან. კარგით, გამოვეყავით, მერე... იმ ახალგაზრდამ რაღა გააკეთოს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონობაზე ოცნებობს? გზა ხომ გადაეკეტა. ჩემპიონობა კი რას იძლევა? სახელსა და ხალხის სიყვარულის მეტს არაფერს.

- მაგრამ ხომ შეიძლება უფრო აქტიურად ვეძებოთ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი? ეს ხომ უკვე ყველაზე უკეთ თქვენ, ტიტულოვან სპორტსმენებს შეიგძლიათ. თვითონ თუ სცადეთ რაიმე?

- ვცადე. მაგალითად, გუშინ ველაპარაკე ფილა-ს მსაჯთა კოლეგიის თავჯომარეს მარტინეტის. პირდაპირ ანეკდოტად მიიღეს ჩემი ნათქვამი. იაპონელებთანაც მილაპარაკია. მათაც ეს ამბავი აბსურდად მიაჩნიათ. საერთოდ ეს საკითხი სპორტსმენთა დონეზე არ უნდა გადაწყდეს ეს ჩვენი პარლამენტისა და მთავრობის საქმეა, მათ უნდა მისცენ მიმართულება სპორტსმენებს.

სხვა საქმეა, თუ რომელმა სპორტსმენმა ანდა სპორტსმენთა ჯგუფმა თვითონ, თავისი ნებით გადაწყვიტა საკავშირო ფედერაციიდან გამოყოფა. მაგრამ ამ გადაწყვეტილებაშიც იაფფასიანი პროვინციალიზმი არ უნდა ერიოს. გულდასმით უნდა მოვიფიქროთ

ყველაფერი.

- თქვენზე ათასი ჭორ-მართალი დადის. სხვათა შორის, ამას წინათ არც ისე სასიამოვნო რამ მოვისმინე.

- ყოველთვის ასეა, ზოგს უყვარხარ, ზოგს ეჯავრები და ცდილობს ჭორი დაგვიყაროს. ჭორი კი ყოველთვის ჭორია.

- საკავშირო ნაკრებში ხომ არ გჩაგრავდნენ?

- ძველი ამბების გამო ჩივილი აღარ ღირს. ერთს კი გეტყვით: ნაკრებში ორი თავით მაღლა უნდა მდგარიყავი ყველა კონკურენტზე. მოსკოვის ოლიმპიადის წინ საკავშირო სპორტკომიტეტმა და ჭიდაობის ფედერაციამ ყველაფერი გააკეთეს, რომ მესამედ არ გამხდარიყავი ოლიმპიური ჩემპიონი. თუმცა ამ განახევრებულ შეჯიბრებას და კიდევ ლოს ანჯელესის ოლიმპიადას ბევრი ოლიმპიადებად არც კი თვლის.

კიდევ ვიმეორებ, ძველ ამბებზე აღარ ღირს ლაპარაკი. აბა, კარგად მოიქცა შახმურადოვი, რომ მოდგა და გაზეთში ათასი ტყუილი თქვა ჩემზე? ახლა ხომ ნათელია, ვინ იყო მართალი?

- ის თუ არის მართალი, რომ თქვენ და ივან იარიგინი ნიუორკის ზანგთა უბანში, ჰარლემში ზანგების მთელ რაზმს მოერიეთ?

- კი, ჩხუბი კარგად ვიცი მაგრამ, მჯობნზე მჯობნი არ დაიღვევო. ჩხუბზე ადვილი რა არის, ეაქცა ცოლა ისაა, არ იჩხუბო.

ის ზანგები ძალიან უზრდელად მოიქცნენ. მათი შემყურე, მიკვირს, როგორ ითმენენ ამერიკელები.

- მერე პოლიციამ არაფერი გითხრათ. ქუჩაში ჩხუბი ამერიკაში...

პოლიცია მაშინ მოვიდა, როცა ყველანი ძირს ეყარნენ. წაგვიყვანეს მე და იარიგინი პოლიციაში და... შერიფის საპატიო ნიშნით დაგვაჯილდოვეს. (ორგზის ოლიმპიურმა და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონმა იქვე გვიჩვენა ყველა ჩვენგანისათვის ამერიკული ფილმებიდან კარგად ნაცნობი თუნუქის ხუთკუთხა ვარსკვლავი, - გ.ჩ.).

- ამბობენ, რომ ირანში რომ შაჰის საყვარელი ფალავანი არ წაგექციათ, დიდძალი ქრთამი შემოგვთავაზეს.

- არ ვიცი, 'ის მოჭიდავე მართლაც შაჰის საყვარელი

ფალავანი იყო თუ არა. ფული კი შემომამძლიეს. ვიცოტავე. კიდევ დაამატეს. ამ ვაჭრობა-ვაჭრობაში ყველაფერი ასი ათას დოლარამდე ავიდა. მერე გავედი ხალიჩახზე და იმათი ფალავანი შაჰის თვალწინ დავამარცხე. ფული აღარ მოუციათ...

- მართლა არ დაგენანთ ასი ათასი?

გაყიდული შეხვედრით არავინ გამდიდრებულა. მერე, შვილები მყავს, თვალეში როგორ უნდა შემეხედა...

- კიდევ დიდხანს იმუშავე იაპონიაში?

- არა, სამ თვეში მიმთავრდება კონტრაქტი.

- და კიდევ მოგიწევთ ფიქრი იმაზე, რა უნდა გააკეთოთ?

- არა ეს ეტაპი მე უკვე გავიარე. ახლა უკვე კარგად ვიცი, რას გავაკეთებ აქ, თბილისში.

ესაუბრა
გიორგი ჩოჩიშვილი
გაზეთი „სარბიელი“ 8 თებერვალი, 1991 წელი.

„პრეზიდენტთანაც მივალთ“

რა საქმიანობასაც არ უნდა ეწეოდეს ლევან თედიაშვილი, მის სახელს, სიტყვით თუ ქვეცნობიერად, მაინც ჭიდაობას ვუკავშირებთ. ბოლო ხანს ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი ფალავანი - ორგზის ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი თითქოს განერიდა სპორტს. ასეთი რამ, რასაკვირველია, ხდება ხოლმე თვით სპორტსმენტა სურვილით და, ესეც სათქმელია, ზოგჯერ სხვათა „ხელშეწყობითაც“. შემდეგ ლევან თედიაშვილი იაპონლებმა მიიწვიეს და ტოკიოს უნივერსიტეტში უზიარებდა სტუდენტებს თავის უმდიდრეს გამოცდილებას. ახლა კი ჩვენშიც მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მის უდიდეს ავტორიტეტს მთელ ჭიდაობის სამყაროში შეუძლია ჩვენს სპორტსაც მოუტანოს სარგებლობა, მით უმეტეს დღევანდელ მძიმე პერიოდში. ლევან თედიაშვილი საქართველოს თავისუფალი ჭიდაობის ფედერაციის თანაპრეზიდენტად აირჩიეს. თვით პრეზიდენტიც ძველი მოჭიდავეა - საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავჯომარის პირველი მოადგილე მურმან ომანიძე - იგი უფრო

ადრე აირჩიეს, - ფედერაციის დამფუძნებელ კრებაზე, სადაც თედიაშვილი... არ მიუწვევიათ (?!) შემდეგ კი, გამგეობის სხდომაზე, უკვე ვთქვით, მაინც აირჩიეს თანაპრეზიდენტად... ლ. თედიაშვილის მიერ ჩვენი თხოვნით წარმოთქმული ეს მცირე მონოლოგი, რომელსაც ქვემოთ გეთავაზობთ, შეიძლება ერთგვარ შესავალ სიტყვად ჩაითვალოს ფედერაციის პრაქტიკული საქმიანობის დაწყების წინ.

- დღეს პირველ ყოვლისა უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება ბევრ შეჯიბრებაში მივიღოთ მონაწილეობა, სულ ერთია რომელი იქნება: სხვადასხვა ტურნირი ევროპაში, რუსეთში ხელშეკრულებით... ამას ფინანსები სჭირდება. ვარჯიში, კვება, გზა, სასტუმრო - ყველაფერი ფული ღირს. უნდა გაირკვეს დაფინანსების წყაროები, გაირკვეს და რაც შეიძლება ჩქარა, ურთიერთობა ფილა-სთან (ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია. - გ.ჩ.), გავიგოთ, როდის მიიღებენ მონაწილეობას ჩვენი მოჭიდავეები ოფიციალურ ტურნირებში, მათ სტიმული სჭირდებათ, მიზანი - რისთვის შრომობენ... ფედერაცია ალბათ, იმსჯელებს ყველაფერ ამაზე. მთავრობის დახმარება გეჭირდება, ჭიდაობა მარტო ნაკრები ხომ არ არის - რეზერვიც არის, სპორტული სკოლები... ყველაფერი უნდა ჩამოყალიბდეს.

ახლა ჭიდაობის სამმართველო ცალ-ცალკე ფედერაციებად დაიშალა. ყველას თავის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი ჰყავს. მაგრამ ეს სეზონური სამსახური არ უნდა იყოს - წელს რომ იმუშავენ და გაისად გაუშვებ. უნდა შეიქმნას მყარი ჩამოყალიბებული სტრუქტურა. სპონსორებიც არიან, მაგრამ ასეთ მკაცრ ეკონომიკურ პირობებში შეიძლება სპონსორებიც გაკოტრდეს. როგორღა დაგეხმარება. მოკლედ, სადაც გაიხედავ ყველგან კითხვის ნიშანია.

მე სპორტს ერთხანს ჩამოცილებული ვიყავი და ამ საკითხების გადასაჭრელად მზამზარეული რფცეპტების გამოწერა არ შემიძლია. შეიქმნა ახალი ფედერაცია, აირჩიეს პრეზიდენტი, ძველი რგოლი დაიშალა. რა შედეგები მოჰყვა ამას, ჯერ არ ვიცით. ასე უცებ ჩამოშორება (იგულისხმება საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში გამოსვლაზე უარი თქმა - გ.ჩ.) კარ შედეგს არ მოგვიტანს. იმიტომ რომ ძლიერი ბიჭები გყავს. დღევანდელი

პირობებით უკმაყოფილონი არიან. ცოტა ხელს აღარ აძლევთ, სულ სხვა დონის შეჯიბრებაში გამოსვლას არიან მიჩვეულები. ფულიც მნიშვნელოვანი ფაქტორია სპორტსმენისათვის, მაგრამ ესეც არ არის საქმე. რომ წვალობ, ვარჯიშობ, რაღაცას მიაღწევ, ხალხი პატივს გცემს - ეს რაღაც განსაკუთრებული გრძნობაა... ადამიანი სპორტში ვარჯიშს რომ იწყებს, მისი პირველი ოცნებაა ოლიმპიური ჩემპიონი გახდეს. თუ ეს მისწრაფება გარკვეულ დროში ვერ დაიკმაყოფილა, მერე გვიან იქნება. ისიც მართალია, რომ დღევანდელ პირობებში დიდი მოთმინება გემართებს. ამის თქმა ჩემთვის უფრო ადვილია, რადგან უკვე ვიყავი ოლიმპიური ჩემპიონი. მაგრამ როცა თავს დღევანდელი სპორტსმენების ადგილზე წარმოვიდგინე... დღევანდელ პირობებში ოლიმპიური ჩემპიონი ხომ ვერ გავხდებოდი... მერე ბაზები არა გვაქვს... მე თვითონ საბჭოთა კავშირის ნაკრების ბაზებზე რომ არ მევარჯიშა, იქნებ ვერც გამემარჯვა ოლიმპიადებზე. ერთხელ ყვარელში ვიყავით საწვრთნელ შეკრებაზე. სპორტსმენებმა ხაჭო მოითხოვეს: ერთ იქაურ, ადგილობრივ ხელმძღვანელს გაუკვირდა: ხაჭო რათ გინდათ, მწვადი ხომ გაქეთო... სპორტსმენმა თუ ვარჯიშის შემდეგ ცხელი შხაპი არ მიიღო, ის გახურებული კუნთები მერე აღარ იმუშავებს. მოკლედ, ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი. თან კიდევ სპორტის საქმეში ბევრი დილექტანტი ერევა. ზოგი მათგანი ოდესღაც ყოფილა სპორტსმენი, ახლა რაღაც აზრი გასჩენია და მისი განხორციელება სურს.

ფედერაციაც და პირადა მეც რაც შეიძლება ვეცდებით, თუმცა რა შედეგს მივალწევთ, ეს ძნელი სათქმელია. ტურნირებში კი გამოვალთ, მაგალითად, ახლახან თურქეთში ვიყავი მოსალაპარაკებლად, რომ ჩვენი მოჭიდაავეები იქ მოემზადონ და შემდეგ საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღონ მონაწილეობა. მაგალითად, მე სამოცამდე საერთაშორისო ტურნირი მომიგია. აბა გახსოვთ რომელიმე? ასეთი ტურნირები მოსამზადებელი ეტაპებია მსოფლიო ჩემპიონებისა და ოლიმპიადებისათვის. კიდევ ვიმეორებ, რასაც საქმე მოითხოვს, ყველაფერს გავაკეთებთ. ფილა-ს პრეზიდენტს ერციგენსაც შევხვდებით და სხვებსაც. იქნებ ისიც კი მოხერხდეს რაც მოსკოვის ოლიმპიადაზე გააკეთა

ზოგიერთმა უცხოელმა სპორტსმენმა. გეხსომებათ, მათმა ქვეყნებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ოლიმპიადას და სპორტსმენები საკუთარი ხარჯებით გამოვიდნენ ორლიმპიურ თამაშებში. მაგრამ - ეს ყველაფერი ვარაუდია, კონკრეტულად კი რა იქნება ახლო მომავალში, ამის თქმა ახლა შეუძლებელია...

გიორგი ჩოჩიშვილმა
გაზეთი „დრონი“ 9 აგვისტო 1991 წელი.

„ცარიელ ლაპარაკს საქმის კეთება სჯობია“

ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმარს, კაცმა რომ ძქვას! არავითარი წარდგენა არ სჭირდება. ლევან თედიაშვილი, ეს ის სახელი და გვარია, რომელიც ყოველგვარი რეგალიების, წოდებების, განმარტებების გარეშეც იცის ყოველმა ქართველმა. ამიტომ ჩვენც არ დავიწყებთ იმ წარმატებათა შეხსენებას, რომლებიც არა მხოლოდ თავად ლევან თედიაშვილის სპორტულ ბიოგრაფიაში, არამედ მთლიანად ქართული სპორტის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა, რომლებმაც არაერთი განუმეორებელი წუთი აჩუქეს ქართველ გულშემატკივარს, ქვეყნის კიდით, კიდემდე გაიტანეს საქართველოს სახელი...

იმან, რომ სახელგანთქმული სპორტსმენი დიდი სპორტიდან წავიდა, ოდნავადაც ვერ გაახუნა მისი უზარმაზარი პოპულარობა. როგორ წარიმართა მისი შემდგომი ცხოვრება, რას საქმიანობს ახლა, როგორი გეგმები აქვს ეს ყველაფერი, ბუნებრივია, აინტერესებთ მის თაყვანისმცემლებს. ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ შეძლებისდაგვარად გასცემს ამ კითხვებზე პასუხს.

ბატონო ლევან, ქართველი საზოგადოებრიობა თქვენ გიცნობთ როგორც დიდ სპორტსმენს. თქვენს თაყვანისმცემელთა უზარმაზარი არმიისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება იმის გაგება, თუ რას მოღვაწეობს დღეს მისი კერპი.

- დღესდღეობით მე ბიზნესითა ვარ დაკავებული. შევქმენით

ორი ფირმა. ერთია საზოგადოება „აბჯარი“ განსაზღვრული პასუხისმგებლობით, მეორე კი - საქართველოსა და თურქეთს შორის საქმიანი კონტაქტების მწარმოებელი ფირმა „თსბ“. ძირითადი სამუშაოა რესპუბლიკისათვის ხელსაყრელი გაცვლა, გაყიდვა, შეძენა... ჯერჯერობით არცთუ სახარბიელოდ მიდის საქმე სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მალე უკეთესობისაკენ შეიცვლება ყველაფერი.

- ბატონო ლევან, საჭიდაო ხალიჩიდან ერთ მშენიერ დღეს გადასადებ მოედანზე აღმოჩნდით. მაყურებელმა შეიყვარა „ხარება და გოგია“. ამ ფილმით თქვენ ახალი, ამჯერად სამსახიობო კარიერა ხომ არ დაიწყო?

- ამ ფილმში სრულიად შემთხვევით გადამიღეს - გიორგი შენგელაიას დაჟინებული თხოვნა იყო. ფილმის ტიპაჟს, ეტყობა, კარგად მიესადაგებოდა ჩემი გარეგნობაც, ხასიათიც. ადრე ყაჩაღებს რომ ეძახდნენ, ის ხალხი, არსენასავით, მდიდარს ართმევდა და ღარიბს აძლევდა. ასეთ ტიპს მოვერგე... ახლაც არის მსგავსი წინადადებები. დგებუაძის „მგლის ბილიკში“ შემომთავაზეს როლი. ჯერ ვფიქრობ. დიდად არ გაუტაცვიარ ახალ როლს. ყაჩაღობა უფრო მომიხდა. ვნახოთ, დრო გვიჩვენებს. საერთოდ, ჩემს ბიოგრაფიას რაც შეეხება, მეც არ ვიცი, სისტემის ბრალი იყო, ხელმძღვანელობის თუ ჩემი, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ წასვლა კი მომიწია. ბედად, იქ იყვნენ თავისი საქმის მცოდნე ხალხი, ნამდვილი სპეციალისტები და ისინი უძღვებოდნენ საქმეს. ჩემი მთავარი დანიშნულება ის იყო, რომ მათთვის ხელი არ შემეშალა.

- თქვენ დიდ ბიოგრაფიაში ყველაფერი საინტერესოა, მაგრამ, ალბათ, ყოფილა კურიოზული მომენტებიც, რომლებიც არასოდეს დაგავიწყდებათ.

- ასეთი შემთხვევები მქონია სპორტშიც და მის მიღმაც. კურიოზია, აბა, სხვა რა ჰქვია მსოფლიო პირველობა რომ მოვიგე თავისუფალ ჭიდაობაში, უცბად შემომთავაზეს, სამბოც იჭიდავეო. გამიკვირდა, მაგრამ მაინც ვიჭიდავე და, წარმოიდგინეთ, მოვიგე. იყო ასეთი შემთხვევაც - მეგობრებს ხშირად ვუყვები ხოლმე - ამხანაგურ შეხვედრაზე ვიყავით შეერთებულ

შტატებში. მაშინ ამერიკაში ძალიან აქტიურად იყო გაშლილი სიონისტური მოძრაობა. მოთელვას ვაკეთებ და ვხედავ, მოვიდა ხალხი, დიდი ჯგუფი პლაკატით - გაათავისუფლეთ ჩვენი ებრაელები!“ აღმოჩნდა, რომ ჩემს გარდა ჩვენი დელეგაციიდან იქარავინ იყო. მომაშვირეს თითი - შენ მოგმართავთო. გამოვართვი ფლომასტერი და „დავადე რეზოლუცია“ მათ პლაკატს - თავისუფლება ებრაელებს! არ ვიცი, რა ბედი ეწიათ ჩემი „რეზოლუციის“ შემდეგ. კმაყოფილები კი წავიდნენ.

- სპორტსმენისა და მსახიობის გარდა არსებობს დიდი შანსი იმისა, რომ ვიხილოთ ლევან თედიაშვილი - პოლიტიეოლსი. ახლახან გამოქვეყნდა სიები და აღმოჩნდა, რომ თქვენ პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი ხართ.

- არც კი დამესიზმრებოდა ცხოვრებაში, რომ ოდესმე პოლიტიკაში ჩავერთებოდი. პოლიტიკა პოლიტიკოსებმა უნდა აწარმოონ. ვინც რაშია პროფესიონალი, ის საქმე უნდა აკეთოს. მე რამ მაიძულა ამ ჩემთვის უჩვეულო საქმეში ჩართვა? „ეროვნულ“ პარლამენტში მოსული ხალხის მიერ ჩადენილმა საქმეებმა, იმას, რომ ერთი წლის განმავლობაში ნგრევის, არეულობის მეტი არაფერი გააკეთეს, რომ ცრუ პატრიოტიზმით გააბრუეს ხალხი. ამან მაიძულა. არ ვიცი, მე რას მივალწევ, რას შევძლებ. ცოტა არ იყოს, მეშინია კიდევ. მაგრამ ისეთი ზედმიწევნით ჭკვიანი კაცის ხელში, როგორც შევარდნაძეა, თითოეული უნდა გავიზარდოთ, ვისწავლოთ... მოვხვდები თუ არა პარლამენტში, არ ვიცი, მაგრამ, ყველა შემთხვევაში, ვეცდები, რომ თუ არ გავაკეთებ, არ გავაფუჭო მაინც საქმე.

- დეპუტატობის კანდიდატად ბლოკმა „მშვიდობამ“ წარგადგინათ. დღეს ამ ბლოკს „წითლების“ ბლოკს ეძახიან. არ გეხამუშებათ „წითლების“ გვერდში ყოფნა? ან რამ გამოიწვია სწორედ ამ ბლოკში თქვენი მოხვედრა.

- ვითომ, კომუნისტები ხართო, იმიტომ ეძახიან წითლებს, არა?

მეც ვიყავი პარტიის წევრი. შევადართო ამ „წითლების“ წრე სხვებისაა და გამოჩნდება, ვინ ჯობია. და, საერთოდ, პატრიოტობაში თუ შევეჯიბრებით ერთმანეთს, უფრო მეტ სიკეთეს მოვუტანთ ქვეყანას. ჩვენ საერთო გეგმები და მიზნები გვაქვს,

ბლოკის თითოეულ წევრს. გაზეპირებულ ფრაზებს სჯობს ყველამ საქმე აკეთოს. არჩევნები გამოაჩენს ყველაფერს.

- მაინც რით ხსნით ასეთ უსაფუძვლო ბრალდებას, ჩვენთვისაც მიუთითებიათ, რომ ჩვენ 70 წელი დავტანჯეთ ხალხი, დავაქციეთ ქვეყანა. იცით რა? მე 70 წელი არავინ არ მიტანჯია. 1948 წელს დავიბადე. გადავთვალეთ, როდის შემეძლო შევსულიყავი პარტიაში და, აქედან გამოადინარე, „დამეტანჯა“ ქვეყანა.

- ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ შეხვედით პარტიაში?

რადაცის მჯეროდა. აბა, მისი დახმარება მე რისთვის მჭირდებოდა. პარტიის წევრობა მსოფლიო პირველობას ვერ ამალეზინებდა. არც თანამდებობა მიმიღია პარტიის წყალობით. ისე კი, პარტია და კომკავშირი დიდი ხნის განმავლობაში კარიერის საფუძველი იყო. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პარტიაში მხოლოდ ამიტომ შედიოდა ხალხი. მის რიგებში ყოველთვის იყვნენ ძალიან ნორმალური და ღირსეული ადამიანები.

- ისევ თავდასხმების მიზეზზე მინდა გკითხოთ...

- ეს ვიღაც, ვიღაცეებს ჭირდებათ საკუთარი თავის წარმოჩენისათვის - ეგენი არ ვარგანან, ჩვენ გამოგვეყვითო. ხომ არ იყვნენ ქვეყნის მმართველობაში კომუნისტები ერთი წლის განმავლობაში, რა გაკეთდა? 70 წელი რაც მოახერხეს კომუნისტებმა, „ეროვნულებმა“ ერთ წელიწადში ისიც გააცამტვერეს. ვისაც რა უნდა, ის ითქვას, პირს ვერავის აუკრავს. საქმე გამოაჩენს მართალსა და მტყუნს.

- ომია საქართველოში. თქვენ, როგორც მოქალაქე, როგორ აფასებთ რესპუბლიკის ხელმძღვანელის პოლიტიკას ამ რთულ სიტუაციაში?

- მთელი ჩვენი ძალები რომ გაერთიანდებოდეს, შევარდნაძე უფრო მეტს გააკეთებდა. ამ კაცს არაფერი პირადული არ აინტერესებს, მით უმეტეს, რომ ასეთი კარიერა აქვს, გავლილი. მას, უბრალოდ, შესაძლებლობა უნდა მიეცეს, რომ გააკეთოს საქმე. გამოვიყენოთ ეს პიროვნება, მსოფლიოში აღიარებული პოლიტიკური მოღვაწე. ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ის ქართველია. სხვა ეროვნების რომ ყოფილიყო, უნდა გვეთხოვა, ფული მიგვეცა, რომ მოსულიყო და ეპატრონა ჩვენთვის. ჩვენ გვყავს და არ უნდა დავკარგოთ. მე ასე ვფიქრობ.

- გამოდის, რომ ზოგიერთი ძველები, თქვენი აზრით, მას ხელს უშლიან.

- კი არ მგონია, დარწმუნებული ვარ. ეშინიათ, არ დაკარგონ თანამდებობები, ან გამდიდრების მანიით არიან შეპყრობილი და იციან, თუ ის მოვა ხელისუფლების სათავეში, კანონი იკანონებს და ამ კანონს ყველა უნდა დაემორჩილოს. ასეთ ხალხს, ბუნებრივია, ხელს არ აძლევს სტაბილურობა. მღვრიე წყალში თევზს უფრო ადვილად იჭერენ. ერთი რამაა - სოციალისტური სისტემის გადმონაშთები მოგვდგამს დღესაც. ამას ჩვენი თაობა ცოტა უფრო ძნელად შეველევი, თუ არ გვექნა მართლა ნორმალური კანონი. თუ შენ დაარღვევ კანონს, ამ კანონით უნდა დაისაჯო, მაგრამ თუ შენ დაგჩაგრავს ვინმე ან რამე, ამავე კანონმა უნდა დაგიცვას. ამის იმედს მე სწორედ ამ კაცში ვხედავ და კიდევ იმ ადამიანეში, რომლებიც მიყვებიან მას.

- აფხაზეთზე რას იყვით?

- მე მგონია, აფხაზეთი კი არ დაეკარგეთ, შევიძინეთ. ის ჩვენ ფაქტობრივად, 15-20 წლის განმავლობაში მართლა დაკარგული გვექონდა. ახლა კი შევიძინეთ. მე ამას მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ და შემძლია ნებისმიერი ტრიბუნდანიაც განვაცხადო. კარგი აფხაზის მეტი რა არის, მაგრამ გააბითურეს. ეს საქართველოს ტერიტორიაა, ყველამ იცხოვროს, ღმერთმა შეარგოს, მაგრამ - ამბიციების გარეშე. ძალიან ბევრი არააფხაზი აფხაზად თანამდებობის მისაღებად ისევე, როგორც პარტიაში შედიოდა ხალხი. პარადოქსული რამ ხდება - ერთი ძმა ქართველი იყო, მეორე, აფხაზი ეწერა. ან რა თავმოყვარეობა აკეთებინებდა ამას, არ ვიცი.

- არასოდეს გიფიქრიათ, თქვენი გამოცდილება მომავალი სპორტსმენების არზრდაში გამოგეყენებინათ?

- მწვრთნელობაზე არც მიფიქრია. ეს უაღრესად რთული საქმეა. თანაც, მე მაქვს პროფესია - იურისტი ვარ. სპორტში ყველას თავისი ბედი აქვს - ვიღაც აღწევს დიდ წარმატებებს, ვიღაცას ან ტრამეა მოუვა, ან სხვა რამე შეუშლის ხელს... იცით, ძირითადად ასეთი ხალხი მიდის მწვრთნელად. იმ სპორტულ ჟინს, რომელიც ყველა ჩვენგანშია, ამ გზით იოკებენ. მე ვიცი, რომ ამ საქმისთვის ნერვები არ მეყოფოდა, სხვა კი, ვინც

შეიძლება ჩემზე კარგი სპორტსმენი ყოფილიყო, მაგრამ ხელი შეეშალა, ნამდვილი პროფესიონალი მწვრთნელი გახდა. მე ის ადამიანი არა ვარ, რომ სკოლის მერხიდან სხვის მიერ გამოზრდილი სპორტსმენი ავიჩემო. იცით, ეს ძალიან პრობლემური საკითხია სპორტში და ოდესმე, ალბათ, უფრო ღრმად და საფუძვლიანად მივუბრუნდები. ეს ის ხალხია, რომელიც, პრინციპში, ჩვენ გვჯობია. მე ეს ყველაფერი რომ გაეაცნობიერე, იმიტომ წავედი ამ საქმიდან. თუმცა, საერთოდ, სპორტის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. მე მის წინაშე ვალში ვარ და ყველაფერს გადაკეთებ, რომ დავეხმარო.

- ჭიდაობა არ გენატრებათ?

- მე ახლა ისეთ რამეს ვიტყვი, რომელიც ყველას გაუკვირდება. მე ჭიდაობის ფანატიკური სიყვარულის გამო არ გავმხდარვარ მოჭიდავე. ეს შემთხვევით მოხდა. მე უფრო ფეხბურთი მიყვარდა. მერე თქვეს, ვინც სპორტის ოსტატი გახდება, უმაღლესში მოწყობაში დაეხმარებიანო. მაგან მიბიძგა ვარჯიშისკენ. დავიწყე და ვეღარ გავჩერდი. უბრალოდ ამ ბუნების კაცი ვარ - სადაც ვარ, პირნათლად უნდა ვიყო. ალბათ, ბიზნესმენიც თუ ისეთსავე წარმატებებს მიაღწიეთ... - მე მინდა, ბევრი რამ ვისწავლო მათგან, ვინც იცის. დახმარების გარეშე წარმატება არ არსებობს. სიტყვა „დახმარებას“ მე სიამოვნებით ვამბობ, რადგან არ არსებობს ადამიანი, მის გარეშე რომ რამეს მიაღწიოს. კახელების არ იყოს, თუ ვიღაცამ ხელი არ წამოგკრა, ძნელია. და ეს არა მარტო სპორტში. ამ კეთილი ხალხის ბეჭებზე ვდგევართ ჩვენ, ვისაც ღღეს, ასე თუ ისე, ანგარიშს გვიწვევენ და ვუყვარვართ.

- ე.ი. ამბობთ, რომ სპორტი თქვენი გატაცება იყო?

- უფრო - კი.

- ბიზნესი?

- თქვენ წარმოიდგინეთ, ბიზნესიც. ჩვენში ხომ ეს საქმე ჩამოყალიბებული არ არის. სკეითების დონეზე ვართ. არავითარი გამოცდილება - გვატყუებენ, გვზღუდავენ, საბანკო სისტემა ვერ ერგება სიახლეებს. ერთი სიტყვით, რთულ პირობებში ვმუშაობთ. ამიტომ შედეგიც აგვიანებს. არც ერთ უცხოელ ბიზნესმენს არ უნდა ასეთ არეულ ქვეყანაში თავისი ინვესტიციების

ჩადება. მაგრამ ჩვენ მაინც ვიწვალათ. მთავარია სიმშვიდე, ნორმალური კანონები, კრედიტები და ამის შემდეგ რაც, მეტი ბიზნესმენი გვეყოლება, რაც მეტ ორგანიზაციას გავუწევთ შეფობას და ა.შ., მით მალე აყვავდება ქვეყანა. საქართველოს აქვს ამის შანსი, მით უმეტეს, ასეთი ხელმძღვანელის ხელში რომელსაც მთელი მსოფლიო ნდობის მანდატი აქვს.

...ქართველების გარდა ყველა ენდობა...

ნებისმიერ ქვეყანას გაუტოლდება, ყველა თვითონ დაინტერესდება ჩვენი კავშირით. ახლა ანარქიაა. კოლმეურნეობა, მეურნეობა დაშალეს, გლეხს მიწას აძლევენ, ამ დროს ტრაქტორი, საწვავი, არაფერი არ არის. გაურკვეველობაა ყველაფერში - ვის ხელში რა უფლებაა, არ ვიცით. უცხოეთში არავინ ამოწმებს ბიზნესმენს, მის საბანკო გარანტიებს. როცა კარგი ბანკი, კარგი კანონები გვექნება, ბიზნესიც აღორძინდება. ხალხიც ნორმალურად იცხოვრებს. რაც მეტი მდიდარი გვეყოლება, მით უკეთესი ჩვენი ქვეყნისათვის - მეტი სპონსორობა იქნება, მეტი ქველმოქმედება. თუ კაცს აქვს ფული, ის გასცემს კიდეც, და თუ არა აქვს, რა ქნას. სულ სახელმწიფოს იმედზე კი ჩემი მტერი იყოს. იმიტომ, რომ 70 წელი ვხედავდით, როგორ იკარგებოდა დახმარება ჩინოვნიკების ხელში. კერძო მესაკუთრე არც არავის მოაპარინებს, რაც არავის მოპარავს. თუ მოიპარავს

კანონი დასჯის. სახელმწიფომ თვითონ უნდა შეიმუშაოს თავისი სტრუქტურები. არ შეიძლება რომელიმე სხვა ქვეყნის სტრუქტურები ზედმიწევნით მოერგოს საქართველოს. ის თავისი ბუნებით ძალზე რთული ქვეყანაა. ახლაც როგორ ვიქცევით? ეს ყველაფერი ისეთ სახეს შეგვიქმნის მსოფლიოს თვალში, რომ ძალიან დიდი დრო დაგვჭმირდება მის გამოსასწორებლად. მე მაინც იმედი მაქვს იმ კანონის, რომელსაც ჯანსაღი დეკრეტატა კორპუსი მიიღებს. არა აქვს მნიშვნელობა, მე ვიქნები თუ არა მასში, ეს იქნება გონიერი ადამიანების კოლექტივი, ამის იმედი მაქვს. მიხედვა უნდა ნაციონალურ ამბავს. ქართველი ხარ - რა შუაშია კახელი, მეგრელი, გურული... თუ მიგაჩნია, რომ არა ხარ ქართველი, ჩაწერე პასპორტშიც, რომ არა ხარ.

კანონში, იცით, კიდეც რა უნდა იყოს?

დიდი ხნის განმავლობაში ჩამოგვიყალიბდა - ჩემი მეზობელი

ჩემზე უკეთესად ცხოვრობს. რაღაცა უნდა იძლეოდეს პასუხს კითხვაზე - რატომ ცხოვრობს ის შენზე კარგად. ალბათ, მეტს მუშაობს. ამიტომ უნდა დაკანონდეს, რომ ადამიანს შეუძლია, იყოს მდიდარი. ეს ჭორების, მითქმა-მოთქმის, ეჭვის საგანი არ უნდა იყოს. ამ კანონმა სწორედ ეს უნდა ასახოს. მე უფრო საბანკო სისტემიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ უნდა დაიშვას კრედიტები კონკრეტულ საქმეებზე. დავუშვათ, მე ვარ მწყემსი. გამომიყავი კრედიტი ძროხის მოსაველეად და არა სიგარეტი-სთვის და საღებავი რეზინისთვის. მე ეს ძროხები უნდა გავზარდო. თუ დავზარადდი, წინასწარ რომ სადაზღვევო თანხას ვიხდიდი, ის ამინაზღაურებს ზარალს. ამას ყველაფერს კანონი, გარანტი ესაჭიროება. თუ მთელი დღე მძინავს და არაფერს ვაკეთებ, პრეტენზიაც აღარ უნდა მქონდეს, რომ შეაეღარო ვიღაც-ვიღაცეებს. მე მჯერა - რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ამ ჭკვიანი ხალხის ხელში და მსოფლიო საზოგადოებრიობის მხარდაჭერით მართლა რაღაცას მივაღწევთ. ბევრს უნდა, რომ დაგვეხმაროს. მე ამას ვგრძნობ და ვიცი ჩემი გამოცდილებით.

- თქვენს ფირმებს რა სარგებლობის მოტანა შეუძლია საქართველოსთვის?

- ძალიან ბევრი - მაგრამ კონკრეტულად რა - ვერ გეტყვით. ძალიან ნელი ტემპით მიდის საქმე, ათასნაირი ბარიერი გველობება. ამ ბარიერზე მე ოდესმე, ნორმალური პარლამენტის წინაშე, ვიტყვი. რა მიშლიდა ხელს, რა არ მიშლიდა. თუ დასასჯელი ვარ, დამსაჯონ და, თუ მე ამ ფაქტორების გამო რამე წავაგე, ისინიც დაისაჯონ, ვინც მე ხელი შემიშალა.

- რა არის თქვენი ფირმების საქმიანობის ძირითადი მიზანი?

- ერთობლივი საწარმოების შექმნა. ამისთვის დიდი რაოდენობის ვალუტაა საჭირო, რაც რესპუბლიკას არ გააჩნია. იცით, იმის გარანტიაც არ არის, რომ უცებ რომ გაჩნდეს ამის საშუალება, ვიღაცა არ მეტყვის, სხვას სჭირდება და შენ კარგად მეყოლეო. ყველა ბიზნესმენს ეშინია ხვალინდელი დღის და დღევანდელიც, კაცმა რომ თქვას, ეს არის ჩვენი უბედურება, როგორც სოციალისტურ სისტემაში იყო, ახლაც მაკონტროლებელი ორგანო მოდის, არსებითად არაფერი შეცვლილა, შეიცვალა სახელები, სტრუქტურა დარჩა.

- მომავლის გეგმები როგორი გაქვთ?

- ძალიან მინდა, რომ ჩემმა ბიზნესმა გაამართლოს, ბევრი შემოსავალი გექონდეს, რომ ვისაც არა აქვს, დავეხმაროთ, პირველ რიგში, სპორტს, მერე უპატრონოთა სახლებს, ისე კი არა, ერთი „სალფეტკი“ ვაჩუქო და მერე ქვეყანა შევძრა. სპონსორობასაც რაღაც პროგრამის სახე უნდა მიეცეს. კონკრეტულად უნდა აიღოს რაღაც უბანი და ის უნდა დააფინანსოს. შენ რომც გაკოტრდე, საგარანტიო წერილში რასაც ჩადებ, იქიდან არაფერი არ უნდა მოაკლო. რაკი თქვა, რაკი ხელი მოაწერა, უნდა შეასრულო ყველა შემთხვევაში.

- დეკლარაცია ბიზნესში ხელს არ შეგიშლით?

- ცოტა არ იყოს, საჩოთირო მდგომარეობაში ვარ. ვერ წარმო-
მიდგენია ბიზნესს მოვწყდე. დებულებაში კი მითითებულია, რომ დეკლარაცია ბიზნესში არ უნდა იმოღეაწეოს. რამდენად სწორია ეს? უბრალოდ, მინდა ყურადღება გავამახვილოთ ასეთ რამეზე. რომელ ცივილიზებულ ქვეყანაში ხდება, რომ ირჩევდნენ პრეზიდენტს, რომელსაც ჯიბეში გროში არა აქვს. რომელი სენატორი ელოდება მივლინებას ამერიკაში წასასვლელად, რომ დღეში ათი დოლარი გამოეწეროს. მე ასეთი ცივილიზებული ქვეყანა არ ვიცი. კიდევ ერთი მომენტი, ნორმალურ ქვეყანაში არჩევნების დროს ხალხი ხარობს. ყოველ პარტიას აქვს თავისი ძლიერი ფინანსური საფუძველი, რომელსაც ის ამ არჩევნებში ხარჯავს. ხალხი რაღაცას ნახულობს, სარგებლობს, ეს იქ დღესასწაულია. რომელ სახელმწიფოში ნახავ, რომ კაცს გროში არა აქვს და პრეზიდენტად ირჩევენ, პოლიტიკა ბიზნესად გადაიქცა. ჩვენთან რატომ უნდათ მინისტრობა, დეკლარაცია?.. ძველი სისტემიდან მოსდგამთ - დასხდნენ სკამებზე, დანიშნონ, მოხსნან. სახელმწიფო თავისი ქონების მონოპოლიას არ თმობს, ატყობთ, ალბათ, მხოლოდ პატარა ჯიხურებს და მაღაზიებს თუ უკეთებენ პრივატიზებას, თორემ სახელმწიფო თავის თავს ინარჩუნებს. ეს არ არის სწორი, ეს არ არის დემოკრატია. იმ ადრე საქმოსნებმა, ახლა რომ ბიზნესმენებს ეძახიან, თვითონ იციან, რა უნდა გააკეთონ. მაფია, ეს უპატიოსნობა ყველგან არის და ჩვენთანაც იქნებუ, მაგრამ იქ მაფიოზი რომ აიღებს შენგან რაღაცას, გარანტიასაც გაძღევს, რომ სხვა ჯგუფი აქ

ვერ შემოვა. ჩვენთან? ავიდოთ პატარა ჯიხური. მოვა ერთი, შგაშინებს, წაართმევს. მერე წავა და ახლა სხვებს გამოგ ზავნის. ასე გრძელდება და აღარავის აღარ მოუნდება მუშაობა. მილიციაც არავითარ გარანტიას არ იძლევა. ალბათ, ეს დებულებაც ბიზნესში დეპუტატის მონაწილეობის შესახებ, შესაცვლელია. პარლამენტის წევრს ბიზნესი უნდა ქონდეს, პარლამენტში შემავალ ბლოკებს, პარტიებს დიდი თანხები უნდა ჰქონდეთ, რა თქმა უნდა, სახელმწიფო კონტროლის ქვეშ. როგორ შეიძლება დეპუტატი იყო და რომელიმე ქვეყანაში ვიზიტად წასულს დღეში, მაგალითად, 10 დოლარი გექლეოდეს. იმ სხდომების გარდა, ხომ არსებობს სხვა რამ - შეხვედრები, ურთიერთობები. ხომ უნდა შეგეძლოს, თავი გამოიჩინო და, დაეუშვათ, ინვალიდ ბავშვს რაღაცით დაეხმარო.

- თქვენ თუ დეპუტატი გახდით, რას გააკეთებთ კონკრეტულად საქართველოსათვის?

- ლიტონი სიტყვები გამომივა, ალბათ, მაგრამ ძალიან მინდა, რომ უცხოური ფირმები თავისუფლად საქმიანობდნენ ჩვენში. მინდა, რომ გლეხს ჰქონდეს საშუალება და პირობები, მოუაროს უკვე საკუთარ მიწას. მე მინდა, რომ ყველამ კარგად იცხოვროს. მინდა შეიგნოს ჩვენმა ხალხმა, რომ არ არის აუცილებელი, ყველამ უმაღლესი დაამთავროს. რაც შეიძლება მეტ ახალგაზრდას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გავიდეს საზღვარგარეთ სასწავლებლად. იყოს ორგანიზაციები, რომლებიც დააფინანსებენ ამას. უნდა შემოვიდეს ცივილიზაცია, აუცილებლად. აღარ შეიძლება ისე ცხოვრება, როგორც აქამდე ვცხოვრობდით. ეს უაზრო 1000-კაციანი ქორწილები, თავშეყრები, სადაც სრულიად უბარაქოდ ნადგურდება პროდუქტი, სახსრები, ამდენი ღვინის სმა, ამაზე უნდა ითქვას. შეიძლება, ამის წამკითხავს გაეცინოს კიდევ იმიტომ, რომ მე თვითონაც ბლომად მისვია და მიქეიფია, მაგრამ ახლა ნამდვილად ასე ვფიქრობ. ძალიან მინდა, რომ ნაციონალური შუღლი შეწყდეს, იყოს ბევრი დისკოთეკები, სტუდენტობისთვის ნორმალური თავშეყრის ადგილები, რომ რაღაცით დაკავებული იყოს ახალგაზრდა, უნდა მოიშალოს ეს უშნო ქართული ამპარტავნობა - მე როგორ დავგვი, რომ მოხუცებულობაში კარგად ვიცხოვროთ.

შესანიშნავი სურვილებია, გაქვთ იმედი პრაქტიკულად განხორციელების?

მე ბევრს არ მოეკიდებ ხელს პირველ რიგში, სპორტს დავეხმარები. სპორტის სავალალო მდგომარეობაშია. მე აქვთ გამიწვევს სხვაზე მეტად გული. ჭიდაობა, ფეხბურთი არ უნდა ჩავარდეს. დღეს საქართველოს სახელი და დიდება სპორტს მოაქვს. სათუთად უნდა მოვუაროთ სპორტული ბაზებს. საჭიროა, მეუბნებიან ხოლმე, შენ ხომ გახდი ჩემპიონი. მე კი გავხდი, მაგრამ მე საბჭოთა კავშირის ნაკრებში ვიყავი და იქ ყველა პირობა იყო. აქ არაფერი არ არის. ჩვენთან კარგი შესაძლებლობებია იმისათვის, რომ დიდი საერთაშორისო ღონისძიებები მოვაწყოთ და მათგან შემოსული თანხებით შეიძლება ბევრი პრობლემა გადავჭრათ. სამწუხაროდ, ვერ ვახერხებთ ჩვენი სპორტსმენების სრულად გამოყენებას და მე ძალიან მტკივა ხოლმე გული, როდესაც ვიგებ, რომ რომელიღაც სპორტსმენი ქურდობს, ყაჩაღობს. ეს ნიშნავს, რომ ამ ჯანსაღ ბიჭებს, რომელიც შეუძლიათ ქვეყანას სახელი და დიდება მიუტანონ, სხვები უფრო უღებენ ალღოს, იზიდავენ, აინტერესებენ. უნდა ვიფიქროთ ამაზეც.

ბოლოს ერთს დაგუმატებ. საარჩევნო ბრძოლა, ალბათ, იოლი არ იქნება. ამირჩევენ, არ ამირჩევენ - ეგ არ მაწუხებს. მთავარი ის არის, რომ ვიცი, ეს მძიმე უღელი იქნება. მე ვლოცულობ, რომ არჩევნები ჩატარდეს ნორმალურად, ობიექტურად, რომ ავირჩიოთ უამბიციო, მცოდნე ხალხი. ჩვენ, ახალგაზრდობა, კიდევ მოვასწრებთ. დღეს რომ არ ამირჩიონ, მომავალი არჩევნებისათვის, ალბათ, უფრო დავღვინდები და გავძლიერდები. ჩვენ კიდევ გავიზრდებით. ახლა კი გვჭირდება დადუღება, დაბრძენებული ხალხი, რომ შევძლოთ ნამდვილად დემოკრატიული ქვეყნის აშენება, ისეთისა, როგორიც ეკადრება საქართველოს.

მაია ალუდაური
გაზეთი „დემოკრატიული საქართველო“
15 სექტემბერი 1992წ.

„ბიზნესშიც გაქვდაუდგელი“

ლევან თედიაშვილი მოსკოვში გასამგზავრებლად იყო გამზადებული და ინტერვიუც ერთგვარად ნაუცბათევი გამოდგა. მას, სახელმოხვეჭილ ქართველ მოჭიდავეს, რომელმაც ახლო წარსულში მთელი მსოფლიო აალაპარაკა, დღეს ბიზნესისათვის მოუკიდია ხელი და დროის დეფიციტი სჭირს. ჩვენი საუბარიც, ბუნებრივია, სპორტის კი არა, ბიზნესის ირგვლივ წარიმართა, რომლის „ხალიჩაც“ ნაცადი ფალავეანი კელავ ბეჭდაუდებელი აღმოჩნდა.

კახელი კი ვარ, მაგრამ კარგად ვხვდები, რისთვისაც მოხვედით, - მეუბნება იუმორნარევი ღიმილით ბატონი ლევანი, - გაინტერესებთ, რა გზით და როგორ შევძელით მოკლე დროში იმდენი თანხის დაგროვება, რომ ვერტმფრენი, რომლის ღირებულება 50 მილიონ მანეთს აღემატება, რესპუბლიკის თავდაცვის ფონდს საჩუქრად გადავეცით. ბოდიში უნდა მოვიხადო, მაგრამ რას და როგორ ვაკეთებთ, ამაზე ლაპარაკი ბიზნესში მიღებული არ არის და არც მე ვაპირებ ფირმის საიდუმლოს გაცემას. ერთს კი ვერ დაეფარავ, სამადლობელი წერილი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავჯდომარემ - სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ თავისთან მიღებისას გადმოცემა, იმ თვითმფრინავზე გაცილებით მეტად ფასობს ჩემთვის და ჩემი ფირმის მთელი კოლექტივისთვის. ის ბარათი ჩვენ მთელი საქართველოს მადლობად აღვიქვით. მერწმუნეთ, დაუმატა შემდეგ, რაც მოვიმოქმედე, რეკლამისათვის არ გამიკეთებია. ახლან საქართველოში ომია და ვისაც რით შეუძლია, იმით უნდა წაადგეს ქვეყანას. ზოგი საკუთარ სიცოცხლეს სწირავს მას, ზოგი - ძვირფასეულობას, მე ამ ფორმით გამოვხატე ჩემი ერთგულება ერისადმი. რა თქმა უნდა, თუ სამშობლოს დასჭირდა, მეც შემიძლია იარაღით ვიბრძოლო, მაგრამ მიმაჩნია, რომ დღეს ბიზნესის „ფრონტზე“ უფრო ვჭირდები მას. ისედაც, ალბათ, უფრო გონივრული იქნება, ომი მოვამთავროთ და ხალხი გასაჭირიდან ამოვიყვანოთ. იარაღის ბათქა-ბუთქით ვერც ქართველები მოვიგებთ რამეს და ვერც

აფხაზები. მხოლოდ მშვიდობა, თანხმობა და დაუღალავი გარჯა თუ გადაარჩენს ქვეყანას დალუპვისაგან. უპირველესი სიტყვა ამ გზაზე ბიზნესს ეკუთვნის.

- კომერციულ ფირმას, რომლის პრეზიდენტიც თქვენ ბრძანდებით, „აბჯარი“ ჰქვია, თუ ესეც სათქმელი არ არის, იქნებ გვითხრათ, რატომ დაერქვაეს სახელი?

- „აბჯარი“, იცით, სიმბოლურია და დაკავშირებულია ჩვენი პოლიციის, ასე ვთქვათ, შეაბჯვრასთან. მოგეხსენებათ, დღეს ბანდიტები და ყაჩაღები გაცილებით უკეთესად არიან შეიარაღებულნი, ვიდრე პოლიციელები. ამიტომაც გააქტიურდა დამნაშავეთა სამყარო და ეკონომიკურად ისედაც შევიწროებულ მოსახლეობას ამოსუნთქვის საშუალებას აღარ აძლევს. ასეთ ვითარებაში, ალბათ, აღარგამოდგება ძველებური შეგონება: ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხისაო. დღეს ბოროტებასთან მებრძოლს გულიც რკინისა უნდა ჰქონდეს და აბჯარიც. ამიტომაც გადაწყვიტა ჩვენმა ფირმამ მთელი თავისი ამონაგები თანხები მოახმაროს პოლიციის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას, მისი მატერიალური პირობების გაუმჯობესებას და ამით თავისი წვლილი შეიტანოს. დღეს ესოდენ საჭირო წესრიგის დამყარებაში. თუ ვერ შევძელით, ერთი მხრივ, ომის დამთავრება, ხოლო მეორე მხრივ, წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცება, კატასტროფას ვერ ავცდებით, მხოლოდ სტაბილიზაციას შეუძლია შექმნას პირობები ბიზნესისა და გულდინჯი შრომისათვის.

- ამასთან, ვიცი, ქველმოქმედებასაც ეწევი.

- ეს თავისთავად. მატერიალურად ვეხმარებით იმ პოლიციელთა თუ მებრძოლთა ოჯახებს, რომლებმაც სიცოცხლე ერის კეთილდღეობას ანაცვალეს, ან დასახიჩრდნენ და ჯალაბის რჩენა გაუჭირდათ.

- ბატონო ლევან, ადრევე შენიშნეთ თქვენში ბიზნესისადმი მიდრეკილება თუ ამის უნარი ახლადა აღმოაჩინეთ?

- მაპატიეთ, მაგრამ ეს კითხვა მთლად გამართულად არ მეჩვენება. ადრე ჩვენში ბიზნესმენს როგორ აღმოვაჩენდი, როცა ეს სიტყვა სალანძღავად ითვლებოდა და ამ საქმის არც არავითარი წინამძღვარი არსებობდა? ბიზნესის რა მოგახსენოთ,

მაგრამ საგარეჯოს რაიონში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობის წლებში გლეხებისაგან ბევრი რამ კარგი ვისწავლე, ფაქტია. აი, ამ ორი წლის წინათ კი, როცა იაპონიაში იქაურ მოჭიდავეებთან კონტრაქტით ვმუშაობდი, პატარა ბიზნესშიც გავივარჯიშე. ჰოდა, რაკი კბილი გავუსინჯე, ვეღარ მოვეშვი - საქართველოში დაბრუნებისთანავე ჩავები ამ საქმეში და აღარც მოვცილებივარ.

- როგორც ვიცი, თქვენს ფირმას მოსკოვში ფილიალი აქვს გახსნილი. ჩვენთან კი ბევრს ასეთი კონტრაქტები არ მოსწონს - რუსეთის იმპერიას ორი საუკუნე ვმონობდით და რაკი განვთავისუფლდით, მასთან ყოველგვარი კავშირი უნდა გავწყვიტოთ.

- მე კი სულ სხვაგვარად ვფიქრობ. იმპერია რომ გეჩაგრავდა, ფაქტია, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ რუს ხალხს მოვემდურით და მასთან მეზობლური, საქმიანი კონტრაქტები გავწყვიტოთ. ასეთმა პოლიტიკამ კარგა გვარიანად გვაზარალა და დასკენები მაშინვე თუ არა ახლა მაინც უნდა გავაკეთოთ. ბიზნესი ის საქმეა, რომელსაც მეზობლებთან ზურგის შექცევა კი არა, მათთან სიახლოვე და თანამშრომლობა ახალისებს. მე პირადად ასე მწამს და ასეც ვიქცევი. რა თქმა უნდა, საქმიანი ურთიერთობა ბევრ ქვეყანასთან გვაქვს, მაგრამ ჩემი ძირითადი პარტნიორები მაინც რუსი ბიზნესმენები არიან. ბევრი მათგანი ყოფილი სპორტსმენია, მიცნობენ და მენდობიან, ნდობა კი ბიზნესში ნახევარ საქმეს ნიშნავს.

- კარგია, რომ თქვენ ასეთი ურთიერთობები გაქვთ პარტნიორებთან, მაგრამ საერთოდ ჩვენში ბიზნესმა, განსაკუთრებით კერძო მეწარმეობამ რომ ვერა და ვერ მოიკეთა, ესეც ფაქტია. თქვენ რით ახსნიდით ჩვენთან საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების ასეთ ჭირვეულობას?

